შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის ავტორიზაციის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვაიდოტას ვილიუნასი, დამოუკიდებელი ექსპერტი უმაღლესი განათლების საკითხებში, ლიტვა

წევრები:

მაირი სკოტი (თანათავმჯდომარე), დანდის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ცენტრის დირექტორი, დიდი ბრიტანეთი;

დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის ოფისის ხელმძღვანელი, საქართველო;

ნინო ამირანაშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო;

ელენე გიგინეიშვილი, დარგობრივი ექსპერტი სტომატოლოგიაში, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო;

ელენე ხურციძე, დამსაქმებელი ექსპერტი მედიცინის დარგში, ევექსის კლინიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველო;

დავით მაქასარაშვილი, სტუდენტი ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

14 ივნისი, 2022

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი (შემდგომში მილენიუმი) არის კერძო სამართლის იურიდიული პირი - შპს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ID 204379083). მილენიუმის მთავარი კამპუსი არის ქსნის ქუჩა №35-ზე, თბილისი 0140. მილენიუმი არის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა უსდ საქართველოში.

ორგანიზაციამ ავტორიზაცია ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 01.08.2013 წელს მოიპოვა. ავტორიზაციის შედეგად, ორგანიზაციას შემდეგი საბაკალავრო პროგრამების განხორციელების უფლება ჰქონდა მინიჭებული: ფარმაცია; მენეჯმენტი, ფინანსები და გამოთვლები. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით კი სტუდენტთა ადგილების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 400 სტუდენტით.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (60 კრედიტი), საბაკალავრო პროგრამას ფინანსებში და საბაკალავრო პროგრამას სამართალში აკრედიტაცია 2014 წელს მიენიჭა. მილენიუმმა განაგრძო განვითარება და, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2015 წელს მას მიენიჭა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება - ფარმაცია (ინგლისურენოვანი) და ჯანდაცვის მენეჯმენტი. დაწესებულების სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრა 800 სტუდენტით. ხოლო, 2016 წელს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

ამჟამად, მილენიუმი ახორციელებს 9 საბაკალავრო და 2 ერთსაფეხურიან პროგრამას. აღსანიშნავია, რომ მედიცინის (MD) პროგრამას ცოტა ხნის წინ უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

მილენიუმი არის საქართველოს რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის წევრი 2021 წლიდან.

არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, დაწესებულების სტატუსი რამდენჯერმე შეიცვალა, განხორციელდა რებრენდინგი და რეორგანიზაცია. 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის აგვისტომდე დაწესებულება ფუნქციონირებდა შპს „მილენიუმის სასწავლო უნივერსიტეტის“ სახელწოდებით, ხოლო 2020 წლის აგვისტოდან 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით, როგორც შპს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მილენიუმი“. ამჟამად, ორგანიზაციის სახელწოდებაა „სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი“.

ამ პერიოდში მუდმივად ზუსტდებოდა, იცვლებოდა და განისაზღვრებოდა დაწესებულების ფუნქციები, როლი, მახასიათებლები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. დაგეგმილი ავტორიზაციისთვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE)-ის მიერ ნომინირებულმა ექსპერტთა ჯგუფმა ორგანიზაციის შეფასება 2021 წლის მაისში ჩაატარა, თუმცა პროცესი შეწყდა ორი დაწესებულების გაერთიანების შესახებ განაცხადის გამო. შპს ბათუმის სასწავლო

უნივერსიტეტისა და შპს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მილენიუმის“ რეორგანიზაციის შედეგად დაარსდა შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი. ავტორიზაციის საბჭომ შპს „სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმს“, 2021 წლის 28 ივნისს, ერთი წლით მიანიჭა ავტორიზაცია. სტუდენტთა კონტინგენტის მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 1450-მდე (1050 თბილისში, 400 ბათუმში).

შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტისა და შპს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მილენიუმის“ გაერთიანებამ გამოიწვია შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმის რეორგანიზაცია და ხელახალი შეფასება. დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ექსპერტებმა ჩაატარეს დაწესებულების დოკუმენტაციისა და პროცესებისა შეფასება და დაწესებულების გაუმჯობესებისთვის შეიმუშავეს რეკომენდაციები. მილენიუმის ამჟამინდელი ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება და პერსონალის ფუნქციებისგადაფასდა ზემოაღნიშნული ექსპერტთა შეფასებისა და შიდა განხილვის შედეგად განხორციელდა.

მილენიუმმა ჩაატარა SWOT ანალიზი და განსაზღვრა სტრატეგიის შემუშავების საფუძვლები. მილენიუმის ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი ახალი ხედვის, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმებისა და ოპერაციული პროცესების შემუშავებისთვის, რომლებიც განიხილებოდა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და დამტკიცდა აკადემიური საბჭოსა და რექტორის მიერ. მილენიუმის მენეჯმენტთან, ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან ნ შეხვედრები მიუთითებს, რომ დაწესებულების რეორგანიზაცია ჯერ კიდევ გრძელდება.

ამჟამად, მილენიუმს ჰყავს 700 აქტიური სტუდენტი, მათ შორის 454 საერთაშორისო სტუდენტი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემებით. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, უნივერსიტეტს ჰყავს 533 აქტიური სტუდენტი და 873 სტატუსშეჩერებული სტუდენტი. თვითშეფასების ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ მილენიუმს ჰყავს 297 აქტიური და 867 სტატუსშეჩერებული საერთაშორისო სტუდენტი. პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 421-ს, მათ შორის 201 აკადემიური პერსონალის (მათ შორის 71 აფილირებული).

დაწესებულებაში განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებინა თბილისისა და ბათუმის ფილიალების კამპუსები ადგილზე და შეხვედროდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს 2022 წლის 2-4 მაისის პერიოდში. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში (SER) და თანდართული დოკუმენტები ვიზიტის მომზადების მიზნით. თუმცა ამ დოკუმენტებში არსებული ხარვეზების გამო,

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით 40 დოკუმენტი გამოითხოვა მილენიუმისგან. მოთხოვნილი დოკუმენტები, ექსპერტთა პანელის ვიზიტის დროს, მხოლოდ ნაწილობრივ იქნა წარმოდგენილი. დაწესებულების მიერ წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა მნიშვნელოვანი იყო ავტორიზაციის პროცესისთვის, თუმცა დოკუმენტთა გარკვეული ნაწილის არქონის გამო ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა ვიზიტამდე გაეაზრებინა რიგი საკითხები და მათზე გაემახვილებინა ყურადღება მილენიუმის მენეჯმენტთან და აკადემიურ სფეროსთან შეხვედრის დროს. საერთო ჯამში, რამდენიმე დოკუმენტი, როგორც ჩანს, დაწესებულების მიერ მომზადდა ნაჩქარევად, შეცდომებით, ხარვეზებით ან ძალიან მცირე ინფორმაციული დეტალებით.

ამის მაგალითი იყო რექტორის 10.11.2021 № 01/29 ბრძანებით დამტკიცებული ბიზნესის უწყვეტობის წესი და გეგმა, რომელიც, როგორც ჩანს, გადაწერილ იქნა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტიდან (ზემოხსენებული უნივერსიტეტის სახელწოდება დატოვებულია დოკუმენტის მე-2 გვერდზე).

უნივერსიტეტის ვებგვერდი წარმოადგენდა ინფორმაციის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროს. თუმცა, ვებგვერდი ყოველთვის არ იყო ხელმისაწვდომი მილენიუმის თბილისის კამპუსში არასტაბილური ინტერნეტისა და ინგლისურ ენაზე მწირი ინფორმაციის არსებობის გამო.

ვიზიტის პირველ და მეორე დღე ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა დაწესებულების თბილისის კამპუსში, ხოლო მესამე დღე - ბათუმის ფილიალში. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფს განუცხადეს, რომ დაწესებულების მენეჯმენტს ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა რა ფუნქციით გამოიყენებდა ფილიალის შენობას. ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებამ აჩვენა შენობა, რომელიც მათი ვარაუდით, შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო სტუდენტთა სწავლებისთვის (ლექციებისთვის, მცირე ჯგუფური მუშაობისთვის, ლაბორატორიისთვის, ტრენინგებისთვის), ბიბლიოთეკისთვის, სტუდენტური კაფეტერიისა და ფაკულტეტისთვის.

ვიზიტის მსვლელობისას, ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა და გასაუბრებოდა დირექტორს, რექტორს და პრორექტორს, თვითშეფასების ჯგუფს, აკადემიურ საბჭოს, ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებს, ფაკულტეტების დეკანებს, აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებს, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ასევე კურსდამთავრებულებს. მონაწილეთა უმრავლესობა მზად იყო თანამშრომლობისთვის და პასუხს სცემდა ექსპერტის კითხვებს.

შეხვედრების ნაწილი ჰიბრიდულ რეჟიმში იყო ორგანიზებული, კერძოდ, ერთი ან ორი მონაწილე ონლაინ ესწრებოდა ინტერვიუს. თუმცა, იყო ასევე შეხვედრები, როდესაც მონაწილეთა უმრავლესობა შეხვედრას დაესწრო ონლაინ (შეხვედრა კურსდამთავრებულებთან). კომუნიკაციის ჰიბრიდული მოდელი მისაღები იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის, თუმცა ეფექტური დისკუსიის წარმართვა იყო რთული = ტექნიკური ხარვეზების გამო - ონლაინ შეხვედრების დროს გამოყენებული იყო

მხოლოდ ერთი ლეპტოპი და ინტერნეტის კავშირი და/ან ხმა იყო საკმაოდ არასტაბილური. ბათუმის ფილიალში ინტერვიუზე მოწვეული პერსონალის ნაწილი იმყოფებოდა თბილისში და მათ ონლაინ რეჟიმში მოუწიათ შეხვედრაზე დასწრება. ასევე, სამი დღის განმავლობაში, არსებობდა ინტერვიუების თარგმნის საჭიროება, რამაც შეამცირა ექსპერტთა ჯგუფისთვის გამოყოფილი დრო შეკითხვებისთვის და სიტუაციის ანალიზისთვის.

თბილისის კამპუსის დათვალიერების ტური არ წარიმართა ეფექტურად. აღნიშნული შესაძლებელია აიხსნას იმ გარემოებით, რომ შესაბამისი პერსონალი ყოველთვის არ იყო ხელმისაწვდომი ან არ იყვნენ მზად პასუხი გაეცათ ექსპერტების კითხვებზე ან ექსპერტებს უწევდათ ლოდინი. აღნიშნულის მაგალითია სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ მოვიდა, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების დათვალიერება მეტწილად დასრულდა.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე ესტუმრა ორ კლინიკას - ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს და სტომატოლოგიურ კლინიკას „Leader Dental“, სადაც მილენიუმის სტუდენტები გაივლიან პრაქტიკულ მომზადებას სტომატოლოგიაში. განრიგის თანახმად, ასევე დაგეგმილი იყო ვიზიტი სტომატოლოგიურ კლინიკა V.P.-ში თბილისში, რომელიც დაწესებულების განმარტებით, მილენიუმის სტუდენტების პრაქტიკული მომზადებისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა, განრიგი შეცვალა მილენიუმმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან წინასწარი შეთანმებისა თუ შეტყობინების გარეშე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯფუგმა არ იცოდა იმ კლინიკის სახელი, რომელსაც ესტუმრა. ა აღნიშნულ კლინიკასთან უნივერსიტეტს მხოლოდ ახლახანს აქვს გაფორმებული ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმი და პრაქტიკულად არ დაწყებულა იქ სტუდენტების სწავლება. შესაბამისად, ვერ მოგვაწოდეს ინფორმაცია ვერც მილენიუმის სტუდენტების საჭიროებებზე და ვერც სტუდენტთა სწავლების გამოცდილებაზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

- **ნაწილობრივ შესაბამისობაშია** პირველ სტანდარტთან: უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება
- **არ არის შესაბამისობაში** მეორე სტანდარტთან: უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
- **არ არის შესაბამისობაში** მესამე სტანდარტთან: საგანმანათლებლო პროგრამები
- **ნაწილობრივ შესაბამისობაშია** მეოთხე სტანდარტთან: უსდ-ის პერსონალი
- **არ არის შესაბამისობაში** მეხუთე სტანდარტთან: სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები
- **ნაწილობრივ შესაბამისობაშია** მეექვსე სტანდარტთან: კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

- **არ არის შესაბამისობაში** მეშვიდე სტანდარტთან: მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა მილენიუმის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მცირე ცვლილებები შეიტანა მილენიუმის ავტორიზაციის დასკვნაში, ექსპერტთა მიგნებების კიდევ უფრო გამოკვეთის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ შეცვლილა დასკვნის შინაარსი, რადგან დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დამატებითი ღირებულების მქონე ინფორმაცია, დოკუმენტები ან არგუმენტირებული განაცხადი ფაქტობრივ უზუსტობასთან დაკავშირებით, რაც გამოიწვევდა შეფასების ცვლილებას, გარდა ქვესტანდარტი 1.2 შეფასებისა.

ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა ქვესტანდარტი 1.2.-ის შეფასების ცვლილებაზე „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ -დან „ნაწილობრივ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, მილენიუმის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებისა და არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ.

რეკომენდაციები

1.1.1. რეკომენდებულია, რომ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, მილენიუმმა ჩართოს უნივერსიტეტის საზოგადოება და გარე დაინტერესებული მხარეები მისიის, ხედვის და სტრატეგიული მიზნების პერიოდულ დახვეწაში, რათა მიაღწიოს მისიის განაცხადს, რომელიც ასახავს მილენიუმის განსაკუთრებულ როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

1.2.1. რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია სრულად განხორციელდეს და სრულად ამოქმედდეს მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში.

1.2.2. შემუშავდეს წლიური გეგმები დეტალური ამოცანებით, განისაზღვროს ამ ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები, ასევე, გაიწეროს მათი შესრულება ადეკვატურ დროში და განისაზღვროს შესრულების გაზომვადი (რაოდენობრივი) ინდიკატორები. ზემოაღნიშნულის დანერგვა განხორციელდეს ერთი წლის განმავლობაში.

1.2.3. რეკომენდებულია, დაინერგოს და ამუშავდეს შესაბამისი მონაცემთა შეგროვების სისტემა გეგმის განხორციელების პროგრესის შეფასების მონიტორინგისა და მენეჯმენტის რეაგირებისთვის და ამოქმედდეს უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში.

1.2.4. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს ქალაქისა და ქვეყნის სოციალურ განვითარებას ღია ლექციებისა და პრეზენტაციების ორგანიზებით და აკადემიური და გამოყენებითი კვლევის ცოდნისა და ინოვაციების გაზიარებით.

2.1.1. უზრუნველყავით, რომ მილენიუმის ორგანიზაციული სტრუქტურა აჩვენებდეს კავშირს ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს შორის, რათა ცხადი გახდეს, თუ როგორ არის ჩართული ფაკულტეტის საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების განვითარებაში, ბიუჯეტირებაში და ა.შ.

2.1.2. ბათუმის ფილიალი უნდა იყოს ნაჩვენები მილენიუმის ორგანიზაციულ სტრუქტურაში.

2.1.3. ინტერნაციონალიზაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის განვითარების დეპარტამენტი უნდა გაძლიერდეს და ჩამოყალიბდეს ცალკე სტრუქტურულ ერთეულებად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების სრულად და ეფექტურად შესრულება.

2.1.4. შეიმუშავეთ საკუთარი ბიზნეს უწყვეტობის წესი დაუზრუნველყავით, რომ ის ასახავდეს დაწესებულებაში არსებულ რეალობას.

2.1.5. ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს მკაფიო და კონკრეტული ხედვა, სტრატეგია და გეგმა ბათუმის ფილიალისთვის.

2.1.6. უზრუნველყავით, რომ ბათუმის ფილიალს ჰქონდეს შესაბამისი რესურსები და ჰყავდეს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რათა შესაძლებელი გახდეს სასწავლო პროცესის განხორციელება.

2.1.7. უზრუნველყავით, დოკუმენტების დამუშავების ელექტრონული სისტემის დანერგვა სისტემის მოდერნიზების მიზნით.

2.1.8. უზრუნველყავით,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის სისტემატური განახლება და ზუსტი, დროული და სწორი მონაცემების მიწოდება.

2.1.9. უზრუნველყავით,მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელება, შეფასების შედეგების მიწოდება და შესაბამისი საჭირო ქმედებების განხორციელება.

2.1.10. გააძლიერეთს დაწესებულების ინტერნაციონალიზაცია არა მხოლოდ თანამშრომლობის ხელშეკრულებების რაოდენობის გაზრდით, არამედ ისეთ შედეგებზე ფოკუსირებით, როგორიცაა სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამების ორგანიზება, ერთობლივი, გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, საერთაშორისო საგანმანათლებლო ან კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა.

2.1.11. უზრუნველყავით დაწესებულების მდგრადობა არსებულ საგანმანათლებლო გარემოში დაწესებულების პოზიციისა და საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო ყველა რესურსის მიმართ.

2.2.1. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ეფექტური მეთოდოლოგია და შეფასების შედეგები გამოიყენოს სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

2.2.2. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის პროცესი ფოკუსირებული უნდა იყოს PDCA ციკლის სრულ შესრულებაზე.

2.2.3. ადმინისტრაციამ უნდა მოახდინოს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებზე ეფექტური და დროული რეაგირება.

2.2.4. უზრუნველყავით, რომ დაწესებულებას ჰყავდეს საკმარისი ადმინისტრაციული პერსონალი დაწესებულების მიზნების განსახორციელებლად.

2.2.5. უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგების გამოიყენება პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის.

2.2.6. უსდ-მ უნდა შეიმუშაოს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მკაფიო და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია, რომელიც აჩვენებს, რომ მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეესაბამება დაწესებულების არსებულ რესურსებს.

2.2.7. უზრუნველყავით, სტუდენტთა კვოტის განსაზღვრა თითოეულ ლოკაციაზე (თბილისი, ბათუმი).

2.2.8. უსდ-მ უნდა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია და პოლიტიკა ბათუმის ფილიალში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის.

2.3.1. შეიმუშავეთ თქვენი ეთიკის კოდექსი ისე, რომ ასახავდეს დაწესებულებაში არსებულ რეალობას.

2.3.2. ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების და პლაგიატის თავიდან აცილების გზების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოაწყვეთშესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები.

2.3.3. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების სრულად რეალიზებისთვის, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების პირდაპირი წვდომა პლაგიატის გამოვლენის პროგრამაზე.

2.3.4. უზრუნველყავით, რომ სტუდენტის პერსონალური მონაცემები დაცულია პლაგიატის გამოვლენის პროცესში დამუშავების, გამოყენებისა და შენახვისას.

2.3.5. უზრუნველყავითესეების, მოხსენებების და სტუდენტების სხვა ნამუშევრების შემოწმდება პლაგიატის გამოვლენის პროგრამით.

3.1.1. დაზუსტდეს გადაწყვეტილება ბათუმის ფილიალის, როგორც პროგრამის განხორციელების ბაზად გამოყენების შესახებ, ასევე, კერძოდ, რომელი პროგრამები განხორციელდება იქ და/ან თბილისში, რათა მოხდეს განახლებული პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების განხორციელების დაგეგმვა.

3.1.2. ბათუმის ფილიალისფ გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რეკომენდებულია სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ განახლებული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის განახლდეს ინფრასტრუქტურა, შეიკრიბოს საკმარისი რაოდენობის

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, რათა პროგრამები ეფექტურად განხორციელდეს და განვითარდეს.

3.1.3. პროგრამების შეწყვეტის პოლიტიკა უნდა არსებობდეს და სტუდენტები უნდა იყვნენ ინფორმირებული მათი პროგრამის დახურვის გადაწყვეტილების შესახებ. ამის შემდეგ, ყველა დაზარალებულ სტუდენტს უნდა მიეცეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა თუ როგორ გააგრძელონ სწავლა ან განახორციელონ მობილობა, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი საზიანო გავლენა მათ სწავლაზე.

3.1.4. რეკომენდებულია, რომ პროგრამის ნებისმიერი მცირე ან ძირითადი ცვლილება (მაგალითად, სწავლების მუდმივად გადართვა ონლაინ რეჟიმზე), განხორციელდეს სისტემური დონეზე, პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის ფორმალური გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.1.5. რეკომენდებულია, რომ ფაკულტეტი და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები ერთობლივად იყვნენ ჩართულნი თავიანთი კურსებისა და პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებაში, მიწოდებასა და განვითარებაში.

3.1.6. სწავლების პროცესის თბილისში გადატანის შემდეგ, უნდა მოხდეს სტუდენტთა რაოდენობისა და შეთავაზებული პროგრამების დეტალური დაგეგმვა, რათა ეს შეესაბამებოდესდაწესებულების შესაძლებლობებს.

3.1.7. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შეიტანოს ცვლილება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტში, რათა სტუდენტებს, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ აკადემიური პროგრესის არქონის გამო, ოფიციალურად გავიდნენ პროგრამიდან 5 წელზე (მაქსიმალური ვადა) ნაკლებ პერიოდში.

3.1.8. რეკომენდებულია, რომ მილენიუმმა შეიმუშავოს დეტალური პოლიტიკა მუდმივი დისტანციური სწავლებისა და შეფასებებისთვის, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო ტექნიკურ და აკადემიურ მხარდაჭერას როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

3.1.9. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შექმნას სწავლის „კამპუსში დაბრუნების“ პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება ფორმალიზებულ მიზეზებსა და გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ რომელი პროგრამები განხორციელდება, რომელ ფორმატში და ადგილზე. უნდა შემუშავდეს პროგრამის შესაბამისი დოკუმენტაცია, დამატებითი ინფორმაციის ჩათვლით და შემდეგ წარედგინოს აკადემიურ საბჭოს ოფიციალურად დამტკიცების მიზნით.

3.1.10. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გადახედოს უცხო ენის დაშვების კრიტერიუმებს, რათა უზრუნველყოს იმ სტუდენტების შერჩევა, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ენობრივი კომპეტენცია შედეგის მისაღწევად.

3.2.1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა მოახდინოს ყველა პროგრამისა და სილაბუსის სტრუქტურისა და სქემის სტანდარტიზაცია,

რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა პროგრამების მიწოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ.

3.2.2. პროგრამის სტანდარტიზაციის პროცესში შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის მონაცემები უნდა გაზიარდეს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და გამოყენებულ იქნას როგორც მტკიცებულება პროგრამის მიწოდების, განვითარებისა და გაუმჯობესების მხრივ.

3.2.3. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და დაცული ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის დანერგვა პერსონალისა და სტუდენტებისთვის, და შეწყვიტოს პირადი ელ. ფოსტის გამოყენება, რომელიც არ არის დაცული.

3.2.4. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა განახორციელოს თბილისში არსებული სასწავლო სივრცისა და ობიექტების (განსაკუთრებით ლაბორატორიის და კლინიკური უნარების სწავლებისთვის)დეტალური დაგეგმვა , რომ ის იყოს ადეკვატური სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობისთვის და მათ შეძლონ შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევა.

3.2.5. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა მოაგვაროს ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომის პრობლემა (განსაკუთრებით კამპუსის გარე ტერიტორიიდან), რათა სტუდენტებმა შეიძინონ ციფრული წიგნიერების უნარები, რაც აუცილებელია მომავალი პროფესიული დასაქმებისთვის.

3.2.6. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს ჰქონდეს ონლაინ სწავლების პლატფორმა ან მეთოდოლოგია, რაც შესაძლებელს გახდის უწყვეტი საკლასო სწავლებაგაგრძელდეს 45 წუთზე მეტხანს.

3.3.1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შეიძინოს საკუთარი ლიცენზია პლაგიატის პროგრამული უზრუნველყოფისთვის, რათა სტუდენტებმა და პერსონალმა გაიაზროს თავიანთი ვალდებულება, მარტივად შეძლონ საკუთარიაკადემიური ნაწერის შემოწმება და თავიდან აიცილონ შემთხვევითი პლაგიატი.

3.3.2. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შექმნას ყოვლისმომცველი შეფასების პოლიტიკა დეტალური გეგმით (მათ შორის, შეფასების ტიპები, თარიღები და ა.შ.) ყველა პროგრამისთვის, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრული შეფასების ციკლი, რაც საშუალებას მისცემს პერსონალს ჩაერთოს შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაში.

3.3.3. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა მოახდინოს ყველა პროგრამის დოკუმენტის ტიპისა და ფორმატის სტანდარტიზებაშეფასების ტიპის,დროისა და ფორმატების მხრივ (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და მათი შესაბამისობა მარეგულირებელ კრიტერიუმებთან.

3.3.4. რეკომენდირებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა დაატრენინგოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეფასების

თანამედროვე პრინციპებში და კერძოდ, კითხვების წერასა და სტანდარტების განსაზღვრაში.

3.3.5. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა ჰქონდეს მიდგომა სტანდარტების დადგენისა და მოდერაციის მიმართ ყველა შეფასებაში, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა და სამართლიანობა.

3.3.6. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა რეგულარულად განახორციელოს სავალდებულო შეფასების სტანდარტიზება ყველა პერსონალის მონაწილეობით, რომლებიც ახდენენ სტუდენტების შეფასებას.

4.1.1. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა განსაზღვროს მიდგომები და სტრატეგია თავისი პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, თანამშრომლების მუშაობის შედეგებზე და საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით.

4.1.2. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა დააწესოს მკაფიო და ადეკვატური მოთხოვნები აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისა და წახალისებისთვის და გაზარდოს მათი ინფორმირებულობა.

4.1.3. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გაზარდოს თანამშრომელთა რაოდენობა ადმინისტრაციულ/დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში, მათი მოვალეობებისა და სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (განსაკუთრებით განყოფილებებში/სამსახურებში, სადაც მხოლოდ ერთი თანამშრომელია) და განსაზღვროს ბათუმის ფილიალის ორგანიზაციული სტრუქტურა და დასაქმებულთა რაოდენობა სტუდენტების რაოდენობისა და საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით.

4.1.4. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შეიმუშავოს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრირებას სამუშაო გარემოში და მათ ეფექტურ ჩართვას სამუშაო პროცესში.

4.1.5. სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი უნდა გამოიყენოს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები პერსონალის მართვის პროცესში.

4.1.6. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გადახედოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უცხო ენის კომპეტენციებთან დაკავშირებით.

4.1.7. მილენიუმმა უნდა გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

4.2.1. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შეიმუშავოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, თითოეულ პროგრამაზე არსებული და მომავალი სტუდენტების რაოდენობის, პროგრამის სპეციფიკისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

4.2.2. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გაზარდოს მასწავლებლების რაოდენობა მედიცინის პროგრამისთვის.

5.1.1. საჭიროა სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მაღალი მაჩვენებლის მიზეზების კვლევა და ამის თანდათან შემცირების გეგმის შემუშავება.

5.1.2. უზრუნველყავით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ ორგანოებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა.

5.1.3. უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყველა საჭირო დოკუმენტაცია განათავსეთ რუსულ და ინგლისურ ენებზე.

5.1.4. მიაწოდეთ ტურიზმისა და ჟურნალისტიკის პროგრამების სტუდენტებს დეტალური ინფორმაცია პროგრამების შეწყვეტისა და სწავლის გაგრძელების სამომავლო შესაძლებლობებთან დაკავშირებით. პროცესი უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ნორმატიულ აქტებში აღწერილ წესებს.

5.1.5. სტუდენტური თვითმმართველობის აქტივობები მის წესდებას უნდა შეესაბამებოდეს, ხოლო საარჩევნო პროცესი შესაბამისი წესით წარიმართოს.

5.1.6. პროცესის მკაფიოდ განსაზღვრისთვის რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წესების დახვეწა. ასევე, ენის ტესტი უნდა შეესაბამებოდეს B2 დონეს, რომელიც მოთხოვნილია უსდ-ში მოქმედი წესით.

5.2.1. საჭიროა საკონსულტაციო მომსახურების სისტემური მიდგომის შემუშავება, განსაკუთრებითსასწავლო პროცესთან და სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებით.

5.2.2. გაზარდეთ საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობები; უზრუნველყავით, რომ სტუდენტებმა შეიძინონ ამ აქტივობებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარები.

5.2.3. საჭიროა კურსდამთავრებულთა უფრო ღრმა კვლევების ჩატარება და პროგრამის შემუშავებაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

5.2.4. უნდა შემუშავდეს კურსდამთავრებულთა შორის უმუშევრობის შემცირების გეგმა.

5.2.5. გააძლიერეთ დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. გაზარდეთ სტუდენტების სტაჟირების შესაძლებლობები.

5.2.6. შეიქმნას დასაქმების მონაცემთა ბაზა. საჭიროა დამსაქმებლებთან გრძელვადიანი პარტნიორობის/კომუნიკაციის დამყარება.

5.2.7. უზრუნველყავით სტუდენტური პორტალის დროული დანერგვა, უცხოენოვანი მხარდაჭერით.

6.1.1. რეკომენდებულია, სასწავლო უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს კვლევითი სტრატეგია და სამეცნიერო აქტივობების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს დაფინანსების კომპონენტსაც.

6.1.2. რეკომენდებულია, სასწავლო უნივერსიტეტმა მოიზიდოს ისეთი კვლევითი პერსონალი, რომელიც არის კვალიფიციური და შეძლებს სტუდენტების დატრენინგებასა და სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

6.1.3. უზრუნველყავით, რომ ყველა აკადემიური პერსონალი იყოს ინფორმირებული ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული სამეცნიერო და კვლევითი მხარდაჭერის შესახებ.

6.2.1. განხორციელეთ სამეცნიერო და კვლევითი აქტივობები მედიცინისა და სტომატოლოგიის მიმართულებით.

6.2.2 უზრუნველყავით, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა და პარტნიორ უნივერსიტეტში მათი დარჩენა, საერთაშორისო კომპონენტის სასწავლო უნივერსიტეტის მხარდაჭერის გეგმაში ინტეგრირების მიზნით.

6.3.1. განახორციელეთ ფაკულტეტის ყველა წევრის სამეცნიერო აქტივობების შეფასება.

6.3.2. შეფასების პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ აფილირებული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა კვლევითი საქმიანობის დაწყების მიზნით.

7.1.1. უზრუნველყოფილ იქნეს თბილისის კამპუსისა და ბათუმის ფილიალის აღჭურვა მატერიალური რესურსებით (კომპიტერებით, ლაბორატორიებით, სასწავლო და რეკრეაციული სივრცეებით, საბიბლიოთეკო რესურსებით), რომ საკმარისი იყოს 1450 სტუდენტისთვის.

7.1.2. ბათუმის ფილიალი უნდა იყოს აღჭურვილი ყველა საჭირო რესურსით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით

7.1.3. შეიქმნას უსაფრთხო გარემო ლაბორატორიაში

7.1.4. გამოიყოს შესაბამისი სივრცე არქივისთვის ბათუმის ფილიალში და თბილისის კამპუსში

7.1.5. ყველა შენობა უნდა იყოს ხელმისაწვდომი საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის როგორც ბათუმის ფილიალში, ასევე თბილისის კამპუსში.

7.1.6. სანიტარული ოთახები აღიჭურვოს და გახდეს ადაპტირებული სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის როგორც თბილისის ფილიალში, ასევე ბათუმის კამპუსში.

7.1.7. ცენტრალური გათბობა უნდა იყოს დამონტაჟებული ბათუმის ფილიალში.

7.1.8. დამატებითი სათადარიგო გასასვლელი უნდა იყოს უზრუნვეყოფილი და ფუნქციონირებადი საჭიროების შემთხვევაში როგორც ბათუმის ფილიალში, ასევე თბილისის კამპუსში.

7.1.9. უზრუნველყოფილ იქნეს ვიდეო მონიტორინგი უსაფრთხოების მიზნით როგორც შენობის გარეთ, ასევე შიგნით ბათუმის ფილიალში.

7.1.10. ბათუმის ფილიალში სამედიცინო ოთახი აღიჭურვოს ყველა საჭირო რესურსით (მედიკამენტებით, თერმომეტრით და ა.შ.)

7.2.1. გაიზარდოს მედიცინისა და სტომატოლოგიის მიმართულებით წიგნების რაოდენობა

7.2.2. უზრუნველყოფილ იქნეს წვდომა საბიბლიოთეკო რესურსებზე უნივერსიტეტის გარე სივრციდან, რომ სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს სახლიდან გამოყენება

7.2.3. უნივერსიტეტმა შესთავაზოს ტრენინგები აკადემიურ პერსონალს, რათა გაიზარდოს ბიბლიოთეკით სარგებლობის მაჩვენებელი

7.2.4. განვითარდეს სასწავლო მასალების გამოყენების მონიტორინგის სისტემა საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების მიზნით.

7.2.5. რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ადეკვატური საბიბლიოთეკო რესურსები (ელ. წიგნები, ჟურნალები) ყველა საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით.

7.2.6. უზრუნველყოფილ იქნეს წიგნები და სხვა მასალები ბათუმის ფილიალში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით

7.2.7. გაიზარდოს ბიუჯეტი ბიბლიოთეკის განვითარებისთვის, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამა იყოს საბიბლიოთეკო რესურსით უზრუნვეყოფილი როგორც ბათუმის ფილიალში, ასევე თბილისის კამპუსში.

7.3.1. გაიზარდოს კომპიუტერების რაოდენობა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

7.3.2. განახლდეს ელექტრონული პორტალი ინგლისურ და რუსულ ენებზე უცხოელი სტუდენტებისთვის.

7.3.3. გაიზარდოს Wifi-ის დაფარვა და ინტერნეტის ხარისხი.

7.4.3. შეიქმნას დაწესებულების კორპორატიული ელ. ფოსტის სისტემა.

7.3.5. განავითარდეს დაწესებულების ვებგვერდის ტექნიკური მხარდაჭერა, რომ ვებგვერდი ფუნქციონირებდეს რეგულარულად და ახლდებოდეს ინფორმაცია

7.4.1 მეტი ფინანსები უნდა გამოიყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით.

7.4.2. უფრო მეტი ფინანსური რესურსებია საჭირო სასწავლო და სამეცნიერო აქტივობების, ადამიანური რესურსების და ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარებისთვის.

7.4.3 შესაბამისი ფინანსური რესურსები არის საჭირო მატერიალური და საინფორმაციო რესურსების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და მუდმივი განვითარებისთვის, განსაკუთრებით ბათუმის ფილიალის შემთხვევაში.

7.4.4 ჩატარდეს 2 განსხვავებული ავტორიზებული აუდიტორული შემოწმება კომპანიის მიერ შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებით.

7.4.5. უზრუნველყოფილ იქნეს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საფინანსო მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემა, დაწესებულების მიზნების მიღწევის მიზნით/

რჩევების შეჯამება

1.2.1. მილენიუმს ვურჩევთ, განიხილოს ღია სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება უნივერსიტეტის თბილისის კამპუსში.

2.2.1. პროცესის მართვის მიდგომა რაოდენობრივ ინდიკატორებთან ერთად (KPI) არის ხარისხის მართვის პრაქტიკის ფართოდ აღიარებული მოთხოვნა.ამ მიდგომის დანერგვამ შეიძლება ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

2.2.2. გირჩევთ ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის რაოდენობის გაზრდას, ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

3.2.1. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა განიხილოს დატრენინგება და მხარდაჭერა სტუდენტების, რომლებიც ვერ ახერხებემ პროგრესს ინგლისური ენის არცოდნის გამო. 3.2.2. შეიძლება განხილულ იქნეს „კლინიკური კვლევის საფუძვლების“ გადატანა ფარმაციის პროგრამის სავალდებულო მოდულში.

3.2.3. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შესაძლოა განიხილოს პორტფოლიოს დანერგვა, განსაკუთრებით ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რადგან ის იმ უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას იძლევა, რაც აუცილებელია მომავალი პროფესიონალების უწყვეტი პრაქტიკისთვის.

5.1.1. ყველა ახლად ჩარიცხულ სტუდენტს მიეცით სახელმძღვანელო, რაც მათ დაეხმარება საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრაციასა და უსდ-ის რეგულაციების გაცნობაში.

6.1.1. მასწავლებლებისთვის შესაძლებელი მეტი ონლაინ რესურსების უზრულველყოფა

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

არ არის მითითებული

შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☐	☐	☒	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☒	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☐	☐	☒
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☒
2.2	ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☒
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☐	☐	☐	☒
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☒
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☒

3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☒
4	**უსდ-ის პერსონალი**	☐	☐	☒	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☒	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☒	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☐	☐	☐	☒
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☒
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☒
6	**კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☐	☒	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☒	☐
7	**მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები**	☐	☐	☐	☒
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☒
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☒
7.3	ინფორმაციული რესურსები	☐	☐	☐	☒
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☒

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ვაიდოტას ვილიუნასი (თავმჯდომარე)
2. მაირი სკოტი (თანათავმჯდომარე)
3. დიანა მჭედლიშვილი (წევრი)
4. ნინო ამირანაშვილი (წევრი)
5. ელენე გიგინეიშვილი (წევრი)
6. ელენე ხურციძე (წევრი)
7. დავით მაქასარაშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
➢ უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა მილენიუმის ხედვის, მისიისა და ღირებულებების გადახედვისა და განახლებისთვის. განახლებული დოკუმენტის პროექტი წარედგინა უნივერსიტეტის საზოგადოებას. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა. დოკუმენტის პროექტი გამოქვეყნდა მილენიუმის ვებგვერდზე და გარე დაინტერესებული მხარეები მოწვეულნი იყვნენ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად და თავიანთი მოსაზრებების და შენიშვნების გამოსახატად. სამუშაო ჯგუფმა შეაჯამა შიდა დისკუსიებისა და საჯარო მოსმენების შედეგები და აკადემიურ საბჭოსა და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინა ორგანიზაციის ხედვის, მისიისა და ღირებულებების განახლებული განაცხადი. აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა წარდგენილი განაცხადი. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრაზე, მოწვეულნი იყვნენ დაწესებულების ახალი პარტნიორები, გარე დაინტერესებული მხარეები - დამსაქმებლები. მაგრამ მათ ვერ შეძლეს კომენტარის გაკეთება მილენიუმთან თანამშრომლობის წინა გამოცდილებაზე. მათ არ ჰქონდათ წარმოდგენა სასწავლო პროგრამების შინაარსთან დაკავშირებით, რადგან პროგრამის შემუშავების პროცესში არ იყვნენ ჩართულნი დისკუსიებში. მათ ვერ გააკეთეს კომენტარი სტუდენტ-სტაჟიორთა და კურსდამთავრებულთა ხარისხსა და კომპეტენციებზე. ასეთი ვითარება მიუთითებს, რომ მილენიუმს არ აქვს ძლიერი თანამშრომლობის ისტორია გარე დაინტერესებულ მხარეებთან. მისიის მიხედვით (თვითშეფასების ანგარიში) მილენიუმი მიზნად ისახავს, შექმნას თანამედროვე, საერთაშორისო ასპარეზზე ორიენტირებული უნივერსიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლეს განათლებას მედიცინის, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების სფეროებში. უნივერსიტეტი ქმნის მაქსიმალურ შესაძლებლობებს სტუდენტებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალისთვის, ასევე ასახავს ახალგაზრდების საჭიროებებს. მისია პასუხობს უნივერსიტეტის მთავარ გამოწვევებს და პასუხისმგებლობას მისი აკადემიური საზოგადოების წინაშე სწავლებისა და კვლევისთვის ოპტიმალური გარემოს შექმნით,

მულტიკულტურული, განათლებაზე ორიენტირებული და განათლებაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობით.

უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ ახალი მისია ნათლად ასახავს ინსტიტუტის როლს დემოკრატიული, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების აქტიური წევრის ჩამოყალიბებაში. ხოლო, დეკლარირებული მისიით, უნივერსიტეტი მოამზადებს კრიტიკულად მოაზროვნე, კონკურენტუნარიან და მოტივირებულ კვალიფიციურ სპეციალისტებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხოდ, რომლებიც წვლილს შეიტანენ ქვეყნის მდგრად განვითარებაში. თუმცა, ახალი მისია მხოლოდ ფრაგმენტულად ასახავს უმაღლესი განათლების მიზნებს საქართველოში, განსაკუთრებით ქართული და საერთაშორისო კულტურული ღირებულებების ხელშეწყობისადა ჩამოყალიბების, ასევე დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კუთხით. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. თავი 1, მუხლი 3. უმაღლესი განათლების მიზნები). მილენიუმის მისია ძირითადად ორიენტირებული იყო სტუდენტის პირადი ინტერესების, პოტენციალისა და კომპეტენციების განვითარებაზე და არა ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. ეს მიდგომა უფრო აქტუალურია მილენიუმისთვის ფინანსური ეფექტურობის გამო. ეს მიდგომა იწვევს მილენიუმის კურსდამთავრებულთა დასაქმების საკმაოდ დაბალ მაჩვენებელს და შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს გრძელვადიან პერსპექტივაში დაწესებულების სანდოობასა და მისდამი პატივისცემაზე. მილენიუმის მისია მეტად ორიენტირებულია რეგულარულ სასწავლო პროცესზე კამპუსში, აერთიანებს რა ონლაინ და ჰიბრიდულ სწავლებას. ამჟამად, ორიენტაცია უწყეტ განათლებაზე ან ზრდასრულ მოსწავლეთა ტრენინგზე და გადამზადებაზე ნაკლებადწახალისებული და განვითარებულია. EHEA-ს პოლიტიკა მწვანე და ციფრული ეკონომიკაზე, უმაღლესი განათლების მოქნილობის ზრდაზე შრომის ბაზრისთვის რელევანტურ შეთავაზებების კუთხით ასევე არ არის ნახსენები მისიის განაცხადში

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, უნივერსიტეტის მისია განსაზღვრავს ძირითად პრიორიტეტებს, და ახორციელებს საქმიანობას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე:

- ორიენტირება დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, რაც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის;
- მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციისა და გადამზადების საჭიროებების დაკმაყოფილება, რომელიც შეესაბამება ინდივიდის ინტერესებსა და შესაძლებლობებს. პირადი პოტენციალის რეალიზება;
- კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შიდა და გარე შრომის ბაზრებზე;
- სამეცნიერო კვლევისათვის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;
- უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა.

თუმცა, ზემოაღნიშნული პრიორიტეტები უფრო ლოზუნგებს ჰგავს, ვიდრე უნივერსიტეტის რეალურ მიღწევებს.. ეს მოსაზრება გამყარდა წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებებით და მილენიუმის მენეჯმენტთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საზოგადოების სხვა წევრებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შემდეგ დარჩენილი შთაბეჭდილებებით. არ არსებობს მკაფიო ურთიერთკავშირი მილენიუმის

მისიას, პრიორიტეტებსა და სტრატეგიულ მიზნებს შორის და აღნიშნული არც პერსონალს არ აქვს გააზრებული.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები • საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ 2004-2012; • შპს სასწავლო უნივერსიტეტის მილენიუმის ხედვა, მისია და ღირებულებები (26.11.2021); • შპს სასწავლო უნივერსიტეტის მილენიუმის დებულება (15.11.2021); • თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://millennium.edu.ge/en/home--page/ • გასაუბრებები მილენიუმის დირექტორთან, რექტორთან და პრორექტორთან, აკადემიურ საბჭოსთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის დეკანებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებთან და კოორდინატორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: 1.1.1. რეკომენდებულია, რომ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, მილენიუმმა ჩართოს უნივერსიტეტის საზოგადოება და გარე დაინტერესებული მხარეები მისიის, ხედვის და სტრატეგიული მიზნების პერიოდულ დახვეწაში, რათა მიაღწიოს მისიის განაცხადს, რომელიც ასახავს მილენიუმის განსაკუთრებულ როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
1.2 სტრატეგიული განვითარება
➢ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო (3-წლიანი) გეგმები. ➢ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას. ➢ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მილენიუმს შემუშავებული აქვს და მოქმედებს 3-წლიანი (სამოქმედო) და 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავს ხუთ სტრატეგიულ მიზანს. 2020-2022 და 2020-2026 წლების განვითარების წინა სტრატეგიული

გეგმები განიხილა და განაახლა რექტორების გუნდმა და დაამტკიცა პარტნიორთა კრებამ და აკადემიურმა საბჭომ (8.12.2021) 2022-2024 და 2022-2028 წლების პერიოდებისთვის. ორივე გეგმა მოიცავსუნივერსიტეტის ხუთი სტრატეგიული მიზნის შესაბამის ნარატიულ აღწერას:

- სტრატეგიული მიზანი N 1 - საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესების უწყვეტი დახვეწა და განვითარება.
- სტრატეგიული მიზანი N 2 - შესაბამისი R&D პროექტების დანერგვა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.
- სტრატეგიული მიზანი N 3 - სერვისების განვითარება სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით.
- სტრატეგიული მიზანი N 4 - პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარების მექანიზმების შემუშავება.
- სტრატეგიული მიზანი N 5 - ინსტიტუციური განვითარების შესაბამისი მექანიზმების დახვეწა.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიზნები ფარავს უნივერსიტეტის ფუნქციონირების ძირითად ასპექტებს და განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაციას და გაუმჯობესებას, უწყვეტი განათლებისა და ტრენინგის განვითარებას, გამოყენებითი კვლევების განვითარებას, საერთაშორისო თანამშრომლობასა და პროექტებს, საერთაშორისო სტუდენტების მობილობის ხელშეწყობას, სტუდენტების ჩართვას კლასგარეშე სასწავლო აქტივობებში, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას და ეფექტურ მმართველობას. დაგეგმილი ამოცანები საკმაოდ მასშტაბურია და გასაკვირია, რომ ამ ამოცანების აბსოლუტური უმრავლესობა შესაბამისი სტრატეგიული გეგმის ვადებშია მოქცეული - 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმის ამოცანების შესრულება შეზღუდულია 2022-2028 წლების ბოლოსთვის. ხოლო 2022-2024 წლების სტრატეგიულ გეგმაში ამოცანების შესრულება შეზღუდულია შესაბამისად 2024 წლის ბოლომდე. სტრატეგიულ ამოცანებთან მიმართებით განისაზღვრა შესაბამისი განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები და მონიტორინგის/მაკონტროლებელი ორგანოები (ძირითადად რექტორი, ასევე პრორექტორი ან აკადემიური საბჭო). ამოცანები განისაზღვრება შესრულების კრიტერიუმებითა და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. თუმცა, ორივე სტრატეგიულ გეგმას აკლია გაზომვადი რაოდენობრივი შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI). ასეთი გაზომვადი KPI-ების ნაკლებობა ართულებს ან ხელს უშლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროგრესის ეფექტურ მონიტორინგს. ორივე (3 და 7 წლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმები კორელაციაშია უნივერსიტეტის მისიასთან და შეუძლია ხელი შეუწყოს მილენიუმის მიზნების მიღწევას. თუმცა, მილენიუმის მენეჯმენტს ჯერ არ აქვს დადგენილი წლიური სამოქმედო გეგმა. მილენიუმის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტური განხორციელება ძალიან რთული ან შეუძლებელიც კი იქნება უნივერსიტეტის საერთო დაგეგმვის სისტემაში ოპერატიული წლიური გეგმის დანერგვის გარეშე. სტრატეგიული ამოცანები უნდა ჩაიშალოს მცირე აქტივოებად - კონკრეტული განმახორციელებელი, მონიტორინგისა და მაკონტროლებელი ორგანოებით, საჭირო რესურსების ლიმიტებით და KPI-ებით გაზომილი შედეგების აღწერით.

მილენიუმის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა განსაზღვრავს ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანებს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმების ფარგლებში და ხელს უწყობს ამ კუთხით გადასაჭრელი საკითხების უკეთ გააზრებას და მათზე ფოკუსირებას. თუმცა, პერსონალისა და სტუდენტების ინგლისური ენის შეზღუდული ცოდნა არის ერთ-ერთი

სერიოზული დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის საერთაშორისო ასპარეზზე ორიენტირებული უნივერსიტეტის შეუფერხებლად შექმნას.

მილენიუმმა შეიმუშავა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (2021), თუმცა რეალურად სტრატეგიული დაგეგმვა, მონიტორინგი და კონტროლი არ პასუხობს ზემოაღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნებს. გაზომვადი (რაოდენობრივი) ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KPI) არ არის მოცემული (ან ნაწილობრივ აკლია) სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების/აღრიცხვის სისტემას, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა. ამოცანების შესრულებასა და მის ხარისხზე პასუხისმგებელი პირები ხშირად არ არის განსაზღვრული. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შემდეგ შესაძლებელია განისაზღვროს მილენიუმის სამომავლო განვითარების ძირითადი მიმართულებები, თუმცა ისინი ნათლად არ განმარტავენ უნივერსიტეტის მომავალს, მაგალითად, ბათუმის ფილიალის მომავალს. განცხადება იმის შესახებ, რომ მილენიუმის სტრატეგიული მიზნები მიღწევადია, დროში გაწერილია და გაზომვადია, სრულად არ დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით, არც მმართველ რგოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და დისკუსიებით.

მილენიუმის თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა არის მონაწილეობითი პროცესი, რომელშიც ჩართულია უნივერსიტეტის მენეჯმენტი, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები და სტუდენტური თვითმმართველობა. ეს ნაწილობრივ დადასტურდა შესაბამის მონაწილეებთან შეხვედრების დროს, გარდა იმ შეხვედრებისა, რომელიც გაიმართა უნივერსიტეტის გარე პარტნიორებთან.

მილენიუმის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შემდეგ შთაბეჭდილება საკმაოდ ბუნდოვანია. ზოგიერთი დოკუმენტი ეკუთვნის ორგანიზაციაში უახლესი ცვლილებების დაწყებამდე არსებულ პერიოდს. აქედან გამომდინარე, რთული იყო იმის დადგენა, რომელი დოკუმენტებია ჯერ კიდევ აქტუალური და რომელია მოძველებული.

მილენიუმის სტრატეგიული დაგეგმვა, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დაფუძნებული იყო გარე (სამუშაო ბაზრის ანალიზი, და აბიტურიენტების საჭიროებები და მოლოდინები) და შიდა მონაცემების (ტექნიკური და HR შესაძლებლობები ჩარიცხვისა და ხარისხანი განათლების უზრუნველყოფის კუთხით) ანალიზზე და ორგანიზებული იყო ძირითადი გარე დაინტერესებული მხარეების და უნივერსიტეტის საზოგადოების წარმომადგენლების, მათ შორის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური მონაწილეობით. ჩატარდა SWOT ანალიზი. გეგმის პროექტი გაუზიარეს დაინტერესებულ მხარეებს შენიშვნებისა და წინადადებებისთვის. სტრატეგიული გეგმის დამტკიცებული ვერსია უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. თუმცა, SWOT ანალიზის შედეგები არ აისახება სტრატეგიული განვითარების გეგმებში. ორგანიზაციის სუსტი მხარეები განსხვავდება თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი სიტუაციისგან.მაგალითად, საკმაოდ პრობლემური სიტუაციაა დეკანატების საქმიანობის შესახებ ინფორმაციისა და გამჭვირვალობის კუთხით, შეინიშნება შიდა საკომუნიკაციო სისტემის გაუმართაობა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა და ა.შ. თუმცა, ამ ხარვეზებზე რეაგირების ზომები ან არ არის მოცემული სტრატეგიულ გეგმაში ან ძალიან აბსტრაქტურადაა ჩამოყალიბებული საიმისოდ, რომ გავიგოთ.

საზოგადოების განვითარების ხელშემწყობი საუნივერსიტეტის მიღწევები, გასული წლის განმავლობაში, საკმაოდ მოკრძალებული იყო. გასული წლის განმავლობაში მილენიუმმა

მოაწყო სამი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლებიც მოიცავდა საუნივერსიტეტო დისციპლინების საკითხებს. ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი ღია წყაროებში (ინგლისურ ენაზე). თუმცა, მხოლოდ ერთი კონფერენციის შესახებ მასალებია გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი მილენიუმის ვებგვერდზე (ქართულ ენაზე). უნივერსიტეტმა გასული წლის განმავლობაში მოაწყო სამი საჯარო ლექცია საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმების, ადამიანის უფლებათა პოლიტიკის შემუშავებისა და მონიტორინგის შესახებ საქართველოში, და ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე. ეს ღონისძიებები ღია იყო, თუმცა უფრო მეტად შიდა აუდიტორიაზე იყო ორიენტირებული. 2021 წლის 6 ნოემბერს მოეწყო ერთი კულტურული ღონისძიება - საერთაშორისო სტუდენტებმა ინდოეთიდან აღნიშნეს დივალის ფესტივალი, განათებისა და კეთილდღეობის ფესტივალი, ქართველ, თურქ, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებთან ერთად. მილენიუმის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სხვადასხვა სოციალური აქტივობებისთვის, მათ შორის საქველმოქმედო და მოხალისეობრივი ღონისძიებებისთვის. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი უწევს უფასო იურიდიულ და ბიზნეს კონსულტაციებს დაინტერესებულ პირებს, პოპულარიზაციას უწევს მეცნიერებას მოზარდ თაობაში და ატარებს სტუდენტთა და მოსწავლეთა კონფერენციებს, კონკურსებს, ღია კარის დღეებს და ა.შ. თუმცა, აღნიშნული საქმიანობის ამსახველი მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი ექსპერტთა ჯგუფის შეფასებისთვის.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები • შპს სასწავლო უნივერსიტეტის მილენიუმის ხედვა, მისია და ღირებულებები (26.11.2021); • შპს სასწავლო უნივერსიტეტის მილენიუმის დებულება (15.11.2021); • თვითშეფასების ანგარიში; • სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026; • ტრატეგიული განვითარების გეგმა -2022-2028 (8.12.2021); • 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმა; • სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (11.10.2021); • ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა; • ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (18.01.2022); • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (18.01.2022); • მენეჯმენტის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკა (12.10.2021); • საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის კომპონენტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება (10.11.2021); • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (10.11.2021); • კვლევის განვითარების სტრატეგია (12. 11.2021); • სამწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და რეკომენდაციები (კონსოლიდირებული ანგარიში 2020 წ.); • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში (2020-2021); • სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://millennium.edu.ge/en/home--page/ ;

• ინტერვიუები მილენიუმის დირექტორთან, რექტორთან და პრორექტორთან, აკადემიურ საბჭოსთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის დეკანებთან, ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებთან და კოორდინატორებთან.
რეკომენდაციები: 1.2.1. რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია სრულად განხორციელდეს და სრულად ამოქმედდეს მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში. 1.2.2. შემუშავდეს წლიური გეგმები დეტალური ამოცანებით, განისაზღვროს ამ ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები, ასევე, გაიწეროს მათი შესრულება ადეკვატურ დროში და განისაზღვროს შესრულების გაზომვადი (რაოდენობრივი) ინდიკატორები. ზემოაღნიშნულის დანერგვა განხორციელდეს ერთი წლის განმავლობაში. 1.2.3. რეკომენდებულია, დაინერგოს და ამუშავდეს შესაბამისი მონაცემთა შეგროვების სისტემა გეგმის განხორციელების პროგრესის შეფასების მონიტორინგისა და მენეჯმენტის რეაგირებისთვის და ამოქმედდეს უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში. 1.2.4. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს ქალაქისა და ქვეყნის სოციალურ განვითარებას ღია ლექციებისა და პრეზენტაციების ორგანიზებით და აკადემიური და გამოყენებითი კვლევის ცოდნისა და ინოვაციების გაზიარებით. 1.2.1.
რჩევები: 1.2.1. მილენიუმს ვურჩევთ, განიხილოს ღია სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება უნივერსიტეტის თბილისის კამპუსში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ეფუძნება განათლების სექტორის საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვის პროცესში მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის

ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
➢ უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და ღონისძიებების განხორციელებას. ➢ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ➢ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას. ➢ უსდ-ის მისიისა და მიზნების შესაბამისად, უსდ-ის ხელმძღვანელობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მილენიუმის ორგანიზაციული სტრუქტურა დამტკიცებულია რექტორის #01/31 ბრძანებით (18.11.2021). სტრუქტურა აღწერს, თუ როგორ ურთიერთობენ მართვის ორგანოები სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, აჩვენებს დაქვემდებარებულ კავშირებს. მილენიუმის დებულება დამტკიცებულია რექტორის #01/30 ბრძანებით (15.11.2021). იგი აწესრიგებს დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პრინციპებს, სტრუქტურას და გადაწყვეტილების მიღების საკითხებს. მილენიუმისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას მართავს მმართველი ორგანოები (მმართველი ერთეულები). მილენიუმის მმართველი ორგანოებია: პარტნიორთა კრება, აკადემიური საბჭო, რექტორი, პრორექტორი, ადმინისტრაციის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მილენიუმის სტრუქტურა შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისგან - ფაკულტეტები, ბიბლიოთეკა, დამხმარე სტრუქტურული ერთეულები - ადმინისტრაცია და ინტერნაციონალიზაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის განვითარების დეპარტამენტები. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები რეგულირდება რექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ერთეულის დებულებით. თუმცა, მილენიუმის სტრუქტურა არ ასახავს ურთიერთობას ფაკულტეტის საბჭოებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოს ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შორის, რაც გაურკვეველს ხდის, თუ როგორ არის ჩართული ფაკულტეტის საბჭოები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უსდ-ის განვითარებაში, ბიუჯეტირებაში და ა.შ. გარდა ამისა, სტრუქტურა არ აჩვენებს ბათუმის ფილიალის ერთეულს. აღსანიშნავია, რომ ინტერნაციონალიზაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის განვითარების დეპარტამენტი შედგება ორი თანამშრომელისაგან – დეპარტამენტის უფროსისა და კოორდინატორისგან, ასე რომ, ერთი ადამიანი ხელმძღვანელობს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის განვითარების საკითხებს, ხოლო ერთი ადამიანი პასუხისმგებელია ინტერნაციონალიზაციის ამოცანებზე. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების ერთ-ერთი მიზანია შექმნას თანამედროვე, საერთაშორისო მიმართულებით ორიენტირებული უნივერსიტეტი, არსებული სტრუქტურა არ უზრუნველყოფს აღნიშნულიმიზნების მიღწევას. სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა შექმნას ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც იმუშავებს ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახურები ასევე უნდა გაძლიერდეს და

ჩამოყალიბდეს ცალკეულ ერთეულებად, რათა სრულყოფილად განახორციელონ თავიანთი ფუნქცია-მოვალეობები.

მილენიუმს ხელმძღვანელობს და წარადგენს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული რექტორი. რექტორი არის უმაღლესი აკადემიური და ადმინისტრაციული პირი მილენიუმში. რექტორი იღებს გადაწყვეტილებას უსდ-ს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განეკუთვნება პარტნიორთა კრებისა და აკადემიური საბჭოს კომპეტენციას. როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, ეს ცვლილება ძალაშია რეორგანიზაციის შემდეგ. როგორც ითქვა, მანამდე გადაწყვეტილების მიმღები მხოლოდ რექტორი იყო.

აკადემიური საბჭო არის უმაღლესი წარმომადგენლობითი კოლეგიალური მმართველი ორგანო, რომლის გადაწყვეტილებები სავალდებულოა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისთვის, სტრუქტურული ერთეულებისთვის, პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. აკადემიური საბჭო შედგება 7 წევრისაგან: ოთხი აკადემიური პერსონალი (ორი წევრი თითოეული ფაკულტეტიდან) და ორი სტუდენტი (თითო ფაკულტეტის თითო წევრი). აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ძირითადად საგანმანათლებლო და აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის უფროსი არის ადმინისტრაციული პირი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი, პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით, და ანგარიშვალდებულია რექტორისა და პარტნიორთა კრების წინაშე. მთავარი პასუხისმგებლობაა ადმინისტრაციული ერთეულების მხარდაჭერადა ფინანსური საკითხების მართვა.

მილენიუმის მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეული არის ადმინისტრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის უფროსი. მასში შედის: ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი; პერსონალის მართვისა და განვითარების კოორდინატორი; დოკუმენტების დამუშავებისა და არქივის სპეციალისტი; ადვოკატი; IT სპეციალისტი; მატერიალური რესურსების მართვის სპეციალისტი; უსაფრთხოების სპეციალისტი; სამედიცინო მომსახურების კოორდინატორი, დასუფთავების სამსახურის სპეციალისტი (დამლაგებელი). ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დაწესებულების ორგანიზაციული ამოცანების ყოველდღიურ და შეუფერხებელ შესრულებას, მართავს დაწესებულების ადმინისტრაციულ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მტკიცდება რექტორის №01/31 ბრძანებით (18.11.2021წ.). ამ დოკუმენტში აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ბიბლიოთეკის, ადმინისტრაციის და ფაკულტეტის ფუნქციები. ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების ფუნქციები, რომლებიც განიხილება ადმინისტრაციის ქვეშ, ამ დოკუმენტში არ არის გამიჯნული და, შესაბამისად, გაუგებარია, როგორ იყოფა მათ შორის მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ამ ადმინისტრაციული ერთეულების სამუშაო აღწერილობები მოცემულია ცალკე დოკუმენტებად და დამტკიცებულია რექტორის #01-32 (19.11.2021წ.) ბრძანებით.

უნივერსიტეტმა გაიარა რამდენიმე ორგანიზაციული ცვლილება, მათ შორის ბათუმში მდებარე სხვა უმაღლეს სასწავლებელთან შერწყმა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს პროცესი საჭიროებდა შესაბამის რებრენდინგს და ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებებს, ასევე ინსტიტუციური მართვის მთლიანი სისტემისა და მრავალი შიდა

მარეგულირებელი დოკუმენტის გადახედვას. წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების ერთობლიობა მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა გააუმჯობესა მენეჯმენტი რამდენიმე მიმართულებით და ეს პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება. თუმცა, როგორც გასაუბრების დროს გაირკვა, მმართველ ორგანოებს არ აქვთ მკაფიო და კონკრეტული ხედვა სამომავლო საქმიანობაზე, განსაკუთრებით ბათუმის ფილიალთანნ დაკავშირებით. ბათუმში დაქირავებული ადმინისტრაციული პერსონალის ან საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია ექსპერტებს არ მიუღიათ. ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა სურვილი, შეხვედროდა ბათუმის ფილიალის მენეჯერს და სხვა პერსონალს, თუმცა გასაუბრებაზე მხოლოდ IT სპეციალისტი იყო წარმოდგენილი. არ იყო მკაფიო პასუხი, თუ რომელი საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდებოდა ბათუმში, რამაც შეუძლებელი გახადა სასწავლო პროცესების თავსებადობისა და შესაძლებლობის შეფასება. ეს ინფორმაცია არც თვითშეფასების ანგარიშში ყოფილა წარმოდგენილი.

უმაღლესი სასწავლებლის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები რეგულირდება რექტორის №01/24 (12.10.2021) ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მართვისა და განვითარების წესით. პროცედურები გამჭვირვალეა, სამართლიანი და შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. გასაუბრების დროს, პერსონალის მართვისა და განვითარების კოორდინატორმა განმარტა, რომ მმართველ ორგანოებსი სამუშაოზე აყვანის ორი გზა არსებობდა - რექტორის მიერ პირდაპირი დანიშვნა და შერჩევის პროცედურა. წესში აღნიშნულია, რომ კონკურსის გზით შერჩევის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება საკონკურსო კომისიის ხმების უმრავლესობით, რექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული საკონკურსო პირობებისა და კრიტერიუმების საფუძველზე.

გასაუბრებაზე მონაწილე აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელმა ორგანოებმა სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება მოთხოვნისთანავე დაუფინანსეს. მეორე მხრივ, აკადემიური საბჭოს წევრთა პანელზე, რომელთა პასუხისმგებლობაც არის ამ გადაწყვეტილებების მიღება, უკიდურესად გაუჭირდათ საბჭოს როლზე, ანგარიშვალდებულებაზე, საერთო ხედვასა და მიზნებზე საუბარი და ისინი ძირითადად საუბრობდნენ თავიანთ ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, როგორც აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები.

დაწესებულებაში დოკუმენტების დამუშავების რეგულაციები შეესაბამება დადგენილ კანონმდებლობას. გასაუბრებაზე, დოკუმენტების დამუშავებისა და არქივის სპეციალისტმა აღწერა დოკუმენტების დამუშავების სისტემა და შესაბამისი წესები. დაწესებულების მენეჯმენტი არ იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. აღინიშნა, რომ მილენიუმი ელექტრონული სისტემის დანერგვას უახლოეს მომავალში გეგმავს.

მილენიუმი აწარმოებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულეების რეესტრს. როგორც გასაუბრების დროს გაირკვა, ინფორმაციის განახლების მიზნით, რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი ერთი პირია. მაგრამ, მიუხედავად მოთხოვნისა, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა მასთან გასაუბრების შესაძლებლობა, რადგან მილენიუმმა ვერ მოახერხა მასთან შეხვედრის ორგანიზება. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან გამოთხოვილი მონაცემები აჩვენებს, რომ რეესტრში ზუსტი მონაცემები არ არის შეყვანილი; რადგან

აკადემიური პერსონალის რაოდენობა არ ემთხვევა თვითშეფასების ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას. გარდა ამისა, რამდენიმე აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეესტრში შეყვანილია რამდენჯერმე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, მილენიუმმა შეიმუშავა მენეჯმენტის ეფექტურობის მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკა, რომლის მიზანია მართვის ეფექტიანობის ხელშეწყობა და მონიტორინგი, თუმცა ის განხორციელების პროცესშია, როგორც ეს აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში და აღინიშნა ინტერვიუს დროსაც. დოკუმენტი დამტკიცებულია რექტორის #01/24 ბრძანებით (12.10.2021წ.). მართვის ეფექტურობის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი კომპონენტებია აკადემიური საქმიანობა და ადამიანური და ფინანსური რესურსების მართვა. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, მენეჯმენტის ეფექტიანობის გაუმჯობესების პროცედურები პერიოდულად განხორციელდება და ჩაერთვებიან უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები და სტუდენტები.

ინსტიტუტში მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესის ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, უსდ-მ შეიმუშავა გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუტში მიმდინარე ყველა ძირითადი ბიზნესპროცესის უწყვეტობას. დოკუმენტი დამტკიცებულია რექტორის #01/29 ბრძანებით (12.11.2021წ.). გეგმა ითვალისწინებს ყველა შესაძლო რისკს, მათი პრევენციის მექანიზმს და პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს.. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის ინგლისურ ვერსიაში წერია:

„მუხლი 1 ზოგადი დებულებები.

1. ბიზნესის უწყვეტობის წესს ადგენს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, (შემდგომში – სასწავლო უნივერსიტეტი) გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში, უწყვეტი მუშაობის რეგულირებით. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია ნებისმიერ შემთხვევაში დაიცვას და უწყვეტი მომსახურება გაუწიოს სტუდენტებს, პერსონალს და სტუმრებს;“.

აღნიშნულმა ჩანაწერმა გამოიწვია ეჭვი, რომ ბიზნესის უწყვეტობის წესი და გეგმა არ ასახავს ამ დაწერებულებაში არსებულ რეალობას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის ვარაუდით, დოკუმენტი არ არის შექმნილი მილენიუმის მიერ, არამედ კოპირებულია სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რათა მიეღოთ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის უწყვეტობის გეგმა“. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ნებართვით, ცენტრმა ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარა „ბიზნესის უწყვეტობის გეგმა“ გორის სასწავლო უნივერსიტეტის გასული წლის ავტორიზაციის დოკუმენტაციიდან. დოკუმენტის შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ მხოლოდ მცირე ცვლილებებია მილენიუმის დოკუმენტში შეტანილი ვერბალური კუთხით, სხვაგვარად კი ეს ორი დოკუმენტი მსგავსია. იმის გათვალისწინებით, რომ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის უწყვეტობის გეგმა“ დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 14.12.2020 წლის № 6-76 გადაწყვეტილებით და მილენიუმის შესაბამისი დოკუმენტი დამტკიცებულია რექტორის 12.11.2021 #01/29 ბრძანებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დოკუმენტი დაკოპირებულია. მაგალითისთვის, მილენიუმის ბიზნესის უწყვეტობის დოკუმენტის მე-11 მუხლში ნათქვამია, რომ ამ დოკუმენტში ცვლილებების შეტანა ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო მილენიუმს არ აქვს

ასეთი სტრუქტურული ერთეული.
მისიისა და მიზნების შესაბამისად, მილენიუმმა შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, დამტკიცებული რექტორის №01/28 (10.11.2021) ბრძანებით. სასწავლო უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ სწავლა/სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმში პრიორიტეტული მიმართულებებია და ორგანიზაციის მიზანია ინტერნაციონალიზაციის პროცესების აქტიური მხარდაჭერა და განვითარება. უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული მიზნებია ხელი შეუწყოს ქვეყნის განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის პროცესს, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, ერთობლივი პროექტების განხორციელებას, საერთაშორისო კვლევით საქმიანობაში მონაწილეობსა, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განვითარებისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმების შემუშავების მიზნით, უნივერსიტეტი თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხოურ უნივერსიტეტებთან. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაზე პასუხისმგებელია ინტერნაციონალიზაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის განვითარების დეპარტამენტი აკადემიურ საბჭოსთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით. მიუხედავად იმისა, რომ კოორდინატორი ახლად დანიშნულია და მან ხაზგასმით აღნიშნა სამომავლო გეგმები და სტრატეგიები. ბოლო წლების განმავლობაში ჩატარდა მხოლოდ ერთი საერთაშორისო კონფერენცია და ხელი მოეწერა რამდენიმე თანამშრომლობის ხელშეკრულებას, ძირითადად 2021 წელს. თანამშრომლობის ხელშეკრულება ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტთან, პოზნანი, დაიდო 15.10.2021-ში, კვლევის და აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გაცვლის ხელშეწყობის მიზნით. სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა 10-მდე თანამშრომლობის ხელშეკრულება. არ იყო წარმოდგენილი გაცვლით პროგრამებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობისა და მონაწილეობის დამადასტურებელი კონკრეტული სტატისტიკური მონაცემები. უფრო მეტი საერთაშორისო სტუდენტის მოსაზიდად მილენიუმმა ჩაატარა პერსონალის შრომის ბაზრის ანალიზი საერთაშორისო სტუდენტებისთვის და დაასკვნა, რომ მილენიუმს აქვს რელევანტური ფასები საგანმანათლებლო გარემოში არსებულ სხვა პრაქტიკებთან შედარებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს შეჩერებული სტატუსის მქონე საერთაშორისო სტუდენტების დიდ რაოდენობას. ადმინისტრაციამ განმარტა, რომ ამის მიზეზია მობილობით გადმოსული სტუდენტების ენობრივი ბარიერი.
შეჯამების სახით, აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას მუდმივი რებრენდინგის, სახელების, რესურსებისა და სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, რაც ზიანს აყენებს დაწესებულების მდგრადობას და მიზნების მიღწევას.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- მილენიუმის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- მილენიუმის დებულება;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები რეგულირდება შესაბამისი ერთეულის დებულებით და დამტკიცებულია რექტორის №01/31 (18.11.2021წ.) ბრძანებით;
- რექტორის #01-32 (19.11.2021) ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ერთეულების სამუშაო აღწერილობები;

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მართვა და განვითარება, დამტკიცებულია რექტორის №01/24 (12.10.2021) ბრძანებით;
- რექტორის #01/24 (12.10.2021) ბრძანებით დამტკიცებული მილენიუმის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკა;
- რექტორის №01/29 (12.11.2021) ბრძანებით დამტკიცებული მილენიუმის ბიზნესის უწყვეტობის წესი და გეგმა;
- რექტორის (10.11.2021) №01/28 ბრძანებით დამტკიცებული მილენიუმის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები;
- პერსონალის შრომის ბაზრის ანალიზი საერთაშორისო სტუდენტებისთვის;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

2.1.1.

2.1.1. უზრუნველყავით, რომ მილენიუმის ორგანიზაციული სტრუქტურა აჩვენებდეს კავშირს ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს შორის, რათა ცხადი გახდეს, თუ როგორ არის ჩართული ფაკულტეტის საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების განვითარებაში, ბიუჯეტირებაში და ა.შ.

2.1.2. ბათუმის ფილიალი უნდა იყოს ნაჩვენები მილენიუმის ორგანიზაციულ სტრუქტურაში.

2.1.3. ინტერნაციონალიზაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის განვითარების დეპარტამენტი უნდა გაძლიერდეს და ჩამოყალიბდეს ცალკე სტრუქტურულ ერთეულებად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების სრულად და ეფექტურად შესრულება.

2.1.4. შეიმუშავეთ საკუთარი ბიზნეს უწყვეტობის წესი დაუზრუნველყავით, რომ ის ასახავდეს დაწესებულებაში არსებულ რეალობას.

2.1.5. ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს მკაფიო და კონკრეტული ხედვა, სტრატეგია და გეგმა ბათუმის ფილიალისთვის.

2.1.6. უზრუნველყავით, რომ ბათუმის ფილიალს ჰქონდეს შესაბამისი რესურსები და ჰყავდეს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რათა შესაძლებელი გახდეს სასწავლო პროცესის განხორციელება.

2.1.7. უზრუნველყავით, დოკუმენტების დამუშავების ელექტრონული სისტემის დანერგვა სისტემის მოდერნიზების მიზნით.

2.1.8. უზრუნველყავით,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის სისტემატური განახლება და ზუსტი, დროული და სწორი მონაცემების მიწოდება.

2.1.9. უზრუნველყავით,მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელება, შეფასების შედეგების მიწოდება და შესაბამისი საჭირო ქმედებების განხორციელება.

2.1.10. გააძლიერეთს დაწესებულების ინტერნაციონალიზაცია არა მხოლოდ თანამშრომლობის ხელშეკრულებების რაოდენობის გაზრდით, არამედ ისეთ შედეგებზე ფოკუსირებით, როგორიცაა სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამების ორგანიზება, ერთობლივი, გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, საერთაშორისო საგანმანათლებლო ან კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა.

2.1.11. უზრუნველყავით დაწესებულების მდგრადობა არსებულ საგანმანათლებლო გარემოში დაწესებულების პოზიციისა და საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო ყველა რესურსის მიმართ.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულების ხელმძღვანელობა უწყვეტად მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შეიმუშავა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მოქმედებს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის წესების, დაწესებულების დებულების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს ორი ძირითადი შიდა დოკუმენტის შესაბამისად - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 18.01.2022 წლის #01/02 ბრძანებით. ამ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და სწავლების მაღალი დონე, ასევე ხელი შეუწყოს კვლევის განვითარებას და გააუმჯობესოს მენეჯმენტის ეფექტურობა. მილენიუმის მისიისა და მიზნების მისაღწევად, სასწავლო უნივერსიტეტი

ცდილობს ორგანიზაციის ინსტიტუციურ განვითარებას და ნერგავს მექანიზმებს სწავლებისა და სწავლის ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესებისთვის. ასევე ნათქვამია, რომ მილენიუმის პერსონალი იზიარებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების როლს და მნიშვნელობას და ზრუნავს ხარისხის გარე შეფასების ხელშეწყობაზე. ძირითად პრიორიტეტად განიხილება სასწავლო პროცესის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესება, ადამიანური რესურსების გაძლიერება და სხვადასხვა აქტივობების შესრულება. ყველა სტრუქტურული ერთეული ჩართულია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებაში. ხარისხის მექანიზმების მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასება და განვითარება. სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ხარისხის შეფასებიდან მიღებულ შედეგებს იყენებს თავისი საქმიანობის განვითარებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტური განხორციელებისთვის, მილენიუმი უზრუნველყოფილია არასაკმარისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსით. გარე შეფასების პროცესმა აჩვენა, რომ მილენიუმში არ არის საკმარისი ადმინისტრაციული პერსონალი დაწესებულების მიზნების განსახორციელებლად. დაწესებულება ასევე განიცდის ინფორმაციის და მატერიალური რესურსების ნაკლებობას. ეს გამოწვევები არ არის გამოვლენილი მილენიუმის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა თავისი პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემა, აკონტროლებს და აფასებს მათ საქმიანობას, მაგრამ არ არის დადასტურებული, თუ როგორ გამოიყენება მიღებული შედეგები პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის.

მილენიუმმა წარმოადგინა გარკვეული ინფორმაცია სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ, მაგრამ არ არსებობს მტკიცებულება, თუ როგორ გამოიყენება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები სწავლების პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიზნად ისახავს იმუშაოს PDCA ციკლის შესაბამისად, რადგან ის უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების უწყვეტობას.

თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასების, ასევე მატერიალური, ადამიანური და სხვა რესურსების შემოწმების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და საჭიროებს განვითარებას მანამ, სანამ ის საკმარისად ეფექტურად იმუშავებს. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის პროცესი ფოკუსირებული უნდა იყოს PDCA ციკლის სრულ შესრულებაზე.

ხარისხის სამსახურმა შეიმუშავა გამოკითხვის ფორმები და ჩაატარა სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა შემდეგ საკითხებზე: საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი, სტუდენტური მომსახურება, კვლევით საქმიანობაში ჩართულობა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერა, ბიბლიოთეკის გარემო და რესურსები; ასევე ჩატარდა აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანონიმური გამოკითხვა პერსონალის მუშაობის შეფასებისა და კმაყოფილების გამოკითხვის კუთხით; ჩატარდა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ანონიმური გამოკითხვა. კვლევის შედეგების ანალიზზე დაფუძნებული რეკომენდაციები უნდა ემსახურებოდეს

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და მთლიან ინსტიტუციურ პროცესებს. მაგალითად, მილენიუმმა წარმოადგინა დოკუმენტი - ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები და მათზე რეაგირება 2020 წლისთვის. თუმცა, ადგილზე ვიზიტმა და წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმებამ არ აჩვენა ამ პროცესის ფუნქციონირება.

შემუშავებულია შემდეგი წესები: აკადემიური პერსონალის შეფასების წესი უნივერსიტეტის პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საქმიანობაში მონაწილეობის გათვალისწინებით; სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებს და შეფასების კომპონენტებს. ასევე გამოვლინდა ზომები შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისებისთვის.

მილენიუმი აცხადებს, რომ მიჰყვება და იზიარებს ცენტრის ექსპერტებისა და მოწვეული ექსპერტების დასკვნებსა და რეკომენდაციებს. მილენიუმის ხელმძღვანელობა გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვას ყოველდღიურ საქმიანობაში, აკადემიური პერსონალის, პროგრამის კოორდინატორების, სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით და ჩართულობით.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა მნიშვნელოვანი სირთულეები, როგორიცაა პროგრამებში აღწერილი სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მატერიალური, ტექნიკური, ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსების ნაკლებობა, პერსონალის მიერ ინგლისური ენის არასაკმარისი ცოდნა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების არასათანადო ინფორმირებულობა ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების თაობაზე და ა.შ. შედეგად ვასკვნით, რომ ადმინისტრაცია არ ახდენს სრულყოფილ და დროულ რეაგირებას ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებზე.

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია. სტუდენტების ზღვრულ რაოდენობაზე გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები ითვალისწინებს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ შემდეგ ასპექტებს:

- ბაზრის კვლევის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- საგანმანათლებლო პროგრამების მახასიათებლები;
- ადამიანური რესურსები (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი);
- პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- სტუდენტების ზღვრული რაოდენობა და აქტიური/შეჩერებული/შეწყვეტილი სტატუსის მქონე სტუდენტებისა და პოტენციური კურსდამთავრებულების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

თუმცა, არ იყო წარმოდგენილი კონკრეტული გაანგარიშების ფორმულა, რითაც ზღვრულ რაოდენობად დაადგინა 1450 და არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება იმისა, არის თუ არა საკმარისი დაწესებულების მატერიალური, ადამიანური და სხვა რესურსები ამ რაოდენობის სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროცესის ჩასატარებლად. გაანგარიშების მეთოდოლოგია წარმოდგენილია მარტივ word-ის დოკუმენტში, ყოველგვარი ფორმალური რეკვიზიტების გარეშე. გარდა ამისა, ადმინისტრაციას არ ჰქონდა მკაფიო ხედვა თბილისის

კამპუსსა და ბათუმის ფილიალს შორის მოთხოვნილი 1450 სტუდენტთა კვოტის განაწილების შესახებ, ასევე არ ჰქონდა კონკრეტული გეგმა, თუ რომელი პროგრამები განხორციელდებოდა ბათუმში. არ არის წარმოდგენილი რაიმე შეფასების შედეგი იმის დასადგენად, მზად არის თუ არა ბათუმის ფილიალი სასწავლო პროცესისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს: • თვითშეფასების ანგარიშში არ არის მოცემული არსებული (ავტორიზაციის საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრული) და შეთავაზებული სტუდენტთა კონტიგენტის განაწილება ბათუმის ფილიალსა და თბილისის კამპუსებს შორის; • ავტორიზაციის საბჭომ 2021 წლის 28 ივნისს გადაწყვიტა, რომ ბათუმში სტუდენტური კვოტა იქნება 400, ხოლო თბილისისთვის არაუმეტეს 1050. თუმცა, მილენიუმი ირწმუნება, რომ საბჭომ გადაწყვიტა 300 ბათუმისთვის და 1150 თბილისისთვის. • ამასობაში, მომდევნო „ვორდის“ დოკუმენტში მილენიუმი აღნიშნავს 1000 სტუდენტს თბილისის კამპუსისთვის და 450 სტუდენტს ბათუმის ფილიალისთვის:სტუდენტური კვოტები ბათუმსა და თბილისში.docx – დამატებითი „50“ ადგილია ბათუმის ფილიალში წარმოდგენილი. მილენიუმი აკონკრეტებს, რომ „შეიძლება“ 450-ის განთავსება ბათუმში და არც ერთი ოფიციალური მოთხოვნა არ ყოფილა არც თვითშეფასების ანგარიშში და/ან ცალკე იურიდიულ დოკუმენტში შესაბამისი და ოფიციალური რეკვიზიტებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოდგენილი იყო ორი პირით - ხელმძღვანელი და კოორდინატორი. გასაუბრებისას ცნობილი გახდა, რომ ისინი აპირებენ კიდევ ორი კოორდინატორის აყვანას თითოეული ფაკულტეტისთვის.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 18.01.2022 წლის #01/02 ბრძანებით; • ჩატარებული გამოკითხვების შედეგები; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; • QA რეკომენდაციები და მათზე რეაგირება 2020 წლისთვის; • Word ფაილი: სტუდენტური კვოტები ბათუმსა და თბილისში.docx; • ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: 2.2.1. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ეფექტური მეთოდოლოგია და შეფასების შედეგები გამოიყენოს სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

2.2.2. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის პროცესი ფოკუსირებული უნდა იყოს PDCA ციკლის სრულ შესრულებაზე.

2.2.3. ადმინისტრაციამ უნდა მოახდინოს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებზე ეფექტური და დროული რეაგირება.

2.2.4. უზრუნველყავით, რომ დაწესებულებას ჰყავდეს საკმარისი ადმინისტრაციული პერსონალი დაწესებულების მიზნების განსახორციელებლად.

2.2.5. უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგების გამოიყენება პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის.

2.2.6. უსდ-მ უნდა შეიმუშაოს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მკაფიო და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია, რომელიც აჩვენებს, რომ მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეესაბამება დაწესებულების არსებულ რესურსებს.

2.2.7. უზრუნველყავით, სტუდენტთა კვოტის განსაზღვრა თითოეულ ლოკაციაზე (თბილისი, ბათუმი).

2.2.8. უსდ-მ უნდა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია და პოლიტიკა ბათუმის ფილიალში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის.

რჩევები:

2.2.1. პროცესის მართვის მიდგომა რაოდენობრივ ინდიკატორებთან ერთად (KPI) არის ხარისხის მართვის პრაქტიკის ფართოდ აღიარებული მოთხოვნა.ამ მიდგომის დანერგვამ შეიძლება ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

2.2.2. გირჩევთ ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის რაოდენობის გაზრდას, ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.

- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა წარმოადგინა ეთიკის კოდექსი, რომლის მიზანია დაეხმაროს დაწესებულების პერსონალს და სტუდენტებს ეთიკური საკითხების გადაჭრასა და იდენტიფიცირებაში, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მათი მუშაობის ან სწავლის დროს. ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპების თანახმად, ყველა სტუდენტს აქვს თანასწორი უფლება საქართველოს კანონმდებლობისა და დაწესებულების დებულების ფარგლებში.

სტუდენტისთვის შეუსაბამო და არაეთიკური ქცევებისა და დარღვევების ჩამონათვალში შედის:გაყალბება, სხვისი ნამუშევრის თავისად წარმოჩენა, კვლევითი ინფორმაციის გაყალბება და პლაგიატი. ეთიკის წესების დარღვევისთვის სანქციები დაწესებულია დარღვევის სიმძიმის მიხედვით. ეთიკის კოდექსის მიხედვით, სტუდენტის მიერ კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, რექტორის ბრძანება დისციპლინური კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც არანაკლებ 5 და არაუმეტეს 7 წევრისაგან შედგება. დისციპლინურ კომისიაში შედის: ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტების წარმომადგენელი და სხვა წევრ(ებ)ი. საკითხის განხილვისას სტუდენტს ეძლევა საშუალება გააკეთოს საკუთარი ახსნა-განმარტებანი. სტუდენტის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, საკითხი განიხილება საჯარო განხილვაზე. გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ შეტანილია სტუდენტის პირად საქმეში.

ეთიკის კოდექსის თანახმად, დასაქმებულები უნდა დაემორჩილონ დაწესებულების მიერ დადგენილ წესებსა და პროცედურებს, ეფექტურად გამოიყენონ დაწესებულების რესურსები და თავიანთი ინტელექტუალური შესაძლებლობები. ისინი ვალდებულნი არიან, არ გაამჟღავნონ პროფესიული საქმიანობისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რადგან ეთიკის ნორმების დარღვევისთვის გატარდება შინაგანაწესით დადგენილი ზომები. დაწესებულება ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს კვლევითი საქმიანობის ეთიკას და დროულად მოახდინოს რეაგირება ზოგადი წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თუ შევადარებთ მილენიუმის ეთიკის კოდექსს შემდეგს: http://www.freeuni.edu.ge/sites/default/files/freeuni_EK.pdf, მნიშვნელოვანი მსგავსება შეიძლება გამოვლინდეს ამ ორ დოკუმენტს შორის, მუხლებში 1, 2, 3. იგივე შეიძლება გამოვლინდეს რექტორის #01/29 (12.11.2021) ბრძანებით დამტკიცებული მილენიუმის ბიზნესის უწყვეტობის წესსა და გეგმაში. აუცილებელია, რომ მილენიუმმა აამაღლოს მისი პერსონალის ცნობიერება აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით.

მილენიუმში პლაგიატზე შემოწმება ვრცელდება სავალდებულო ნაშრომებზე, როგორიცაა საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები, რომლებიც ქვეყნდება მილენიუმის სახელით, აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ. ნაშრომის განხილვა ხდება ავტორის მიერ ნაწარმოების და იმ განცხადების წარდგენის შემდეგ, სადაც ნათქამია, რომ წარმოდგენილი ნამუშევარი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს, არის ორიგინალური, ციტირება ხდება ნორმების დაცვით და დაცულია ეთიკური ნორმები. აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების, მათ შორის პლაგიატის გამოვლენისა და აღმოფხვრის საკითხების მონიტორინგი ხორციელდება საქართველოს ტექნიკურ

უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. კვლევით და სასწავლო საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების შესანარჩუნებლად, სასწავლო უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რომელიც საშუალებას აძლევს მილენიუმს, გამოიყენოს პლაგიატის გამოვლენის პროგრამა. სამეცნიერო ნაშრომები და სტუდენტური ნაშრომები შესამოწმებლად იგზავნება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და შედეგები უბრუნდება მილენიუმს თუმცა, ეს სისტემა არ გამოიყენება ესეების, მოხსენებებისა და სტუდენტების სხვა შემოქმედებითი ნამუშევრების შესამოწმებლად. გარდა ამისა, გასაუბრებაზე არ იყო აღწერილი, თუ როგორ ხდება ამ პროცესში სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და შენახვა. მილენიუმმა ჩაატარა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა პლაგიატის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის მიმართულებით ცნობიერების შესახებ 2021 წელს. შედეგმა აჩვენა, რომ მონაწილეთა უმეტესობა იცნობს ამ წესებს. თუმცა, თანამშრომლებთან და სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აქვს მწირი ცოდნა პლაგიატის მექანიზმების, პლაგიატის სახეების და თავიდან აცილების გზებისშესახებ. მათ ვერ გაიხსენეს ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის შემთხვევები. გარდა ამისა, აკადემიურმა პერსონალმა ვერ გამოავლინა, რომ ინფორმირებული პლაგიატის გამოვლენის სხვა მექანიზმების შესახებ, გარდა პლაგიატის გამოვლენის პროგრამის მეშვეობით შემოწმებისა. როგორც ჩანს, აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს არ უტარდებათ შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი მხრიდან ეთიკური და აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობის გაცნობიერებას. მილენიუმი აცხადებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებისადმი ერთგულებას. პერსონალი და სტუდენტები ინფორმირებულნი არიან და იზიარებენ აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი იცავს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებას, რაც დასტურდება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კვლევის 2021 წლის შედეგებით.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები - დამტკიცებული რექტორის №01/24 (12.11.2021) ბრძანებით; • აკადემიური საბჭოს #2 (8.12.2021) გადაწყვეტილებით დამტკიცებული პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მათზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები; • შეთანხმება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან პლაგიატის გამოვლენის პროგრამის გამოყენების შესახებ; • 2021 წელს ჩატარებული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგები; • ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:

2.1.3.შეიმუშავეთ თქვენი ეთიკის კოდექსი ისე, რომ ასახავდეს დაწესებულებაში არსებულ რეალობას. 2.2.3.ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების და პლაგიატის თავიდან აცილების გზების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოაწყვეთშესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები. 2.3.3.აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების სრულად რეალიზებისთვის, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების პირდაპირი წვდომა პლაგიატის გამოვლენის პროგრამაზე. 2.3.4.უზრუნველყავით, რომ სტუდენტის პერსონალური მონაცემები დაცულია პლაგიატის გამოვლენის პროცესში დამუშავების, გამოყენებისა და შენახვისას. 2.3.5.უზრუნველყავითესეების, მოხსენებების და სტუდენტების სხვა ნამუშევრების შემოწმდება პლაგიატის გამოვლენის პროგრამით.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
➢ უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთო ჯამში, ბოლოდროინდელმა შერწყმამ, რამაც გამოიწვია სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის დაარსება, გააერთიანა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები ორ ფაკულტეტზე. ესენია: ჯანდაცვის ფაკულტეტი, რომელიც მოიცავს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას (ინგლისურენოვანი), სტომატოლოგიას (ინგლისურენოვანი და

ქართულენოვანი), ფარმაციას და ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციას; და ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომელიც მოიცავს სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი და ქართულენოვანი) და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამებს. დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) პროგრამა არ არის აკრედიტებული და ამიტომ ამ პროგრამაზე სტუდენტები არ ირიცხებიან. თუმცა სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა შექმნა სიმულაციური ცენტრი პროგრამის აკრედიტაციისთვის მოსამზადებლად.

პროგრამები ჟურნალისტიკასა და ტურიზმის მიმართულებით უნდა შეწყდეს, რადგან როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ბაზარზე არასაკმარისი მოთხოვნაა ამ პროგრამებზე, რაც მას არამდგრადს ხდის. ასევე, ესპერტთა ჯგუფს განუცხადეს, რომ ყველა დაზარალებული სტუდენტი შეძლებს თავისი პროგრამის დასრულებას. თუმცა, როგორც ჩანს, არ არსებობს დეტალური პოლიტიკა, რომელიც აღწერს პროგრამის დახურვის შემდგომ ნაბიჯებს და ამ პროგრამებზე სტუდენტების „დაწესებულების გარეთ სწავლებას“ ჩვენთვის მოწოდებულ „სწავლის პროცესის მარეგულირებელი წესების“ დოკუმენტში. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის წესდების შესაბამისი რეგულაციები მოცემულია VII თავში - საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება, სადაც ნათქვამია, რომ „მსგავსი პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა სწავლა გააგრძელონ აღნიშნულ პროგრამასთან თავსებად საგანმანათლებლო პროგრამაზე მანამდე მოპოვებული კრედიტების აღიარებით“, ან „თუ მილენიუმში არ არსებობს გაუქმებულთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, შემდგომი რეაგირებისთვის დაწესებულება აცნობებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს“. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ორ სტუდენტს, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ მათ გაიგეს მათი პროგრამის დახურვის შესახებ, სტუდენტებს არ მიუღიათ ოფიციალური შეტყობინება ან შეხვედრის შეთავაზება, სადაც ინფორმაციას მიიღებდნენ სწავლის გაგრძელების ხელმისაწვდომი ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. ექსპერტთა პანელს განუცხადეს, რომ სტუდენტებს მიეცემოდათ საშუალება დაემთავრებინათ პროგრამა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შეიძლება დატოვოს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი იმ თარიღამდე, სანამ სტუდენტები სწავლას დაასრულებენ,და პროგრამის განხორციელების ხარისხი შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს. დაწესებულებამ უნდა დაიცვას საკუთარი პოლიტიკა, როგორც ეს ზემოთაა აღწერილი.

აღსანიშნავია, რომ, როგორც მოწოდებული მონაცემები მთლიანობაში აჩვენებს, სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 30% არის დასაქმებული. პროგრამის პერსონალთან განხილვისას ამის მიზეზები ნათლად არ იყო აღნიშნული. აღნიშნულის მიზეზად შეუძლებელია გამოირიცხოს ის გარემოება, რომ პროგრამების დაგეგმვასა და განახლების პროცესი არ ითვალისწინებს დამსაქმებლის მოთხოვნებს იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების შესახებ, რაც კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს სამომავლოდ დასაქმების მიზნით.

თავდაპირველად გაურკვეველი იყო, რამდენი სტუდენტი იყო რეგისტრირებული სხვადასხვა პროგრამაზე და რომელი კამპუსის ბაზაზე იყო დარეგისტრირებული სასწავლო

პროცესზე დასასწრებად. ეს ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ვიზიტის 1-ელ დღეს, რათა ინფორმაცია მიწოდებული ყოფილიყო მე-2 და მე-3 დღეებში დისკუსიების გამართვის მიზნით, თუმცა კონკრეტული მონაცემები ვიზიტის დროს მოწოდებული არ ყოფილა. აღნიშნულმა რთული გახადა საერთო სწავლების ადეკვატურობის და ამ პროგრამებზე სტუდენტებისთვის საჭირო ადმინისტრაციული მხარდაჭერის განსაზღვრა.

თუმცა, სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა დაადასტურა, რომ მათი მიზანია შეინარჩუნონ სტუდენტების რაოდენობა ადრე შეთანხმებულ რაოდენობაზე - 1050 სტუდენტი. ამიტომ, როგორც ჩანს, არსებითად სარისკოა, რომ სტუდენტების რაოდენობა (და ფაკულტეტებსა და პროგრამებს შორის რაოდენობის განაწილება) არც ისე შესაბამისი იყოს 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებისთვის. ინსტიტუციური საგანმანათლებლო პოლიტიკის ნორმალური პრაქტიკა არის ის, რომ „შეწყვეტის“ თარიღები შეთანხმდეს მარკეტინგისა და რეკრუტირების წლიური ციკლის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე და რომ რაოდენობები დაეფუძნოს არსებული (როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული) პერსონალის ზუსტ ანალიზს. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ განვითარდეს და განხორციელდეს სასწავლო პროცესი და პროგრამის დაგეგმვაში ჩართულ პერსონალს მიეცეს პროგრამების წინასწარ დაგეგმვის საშუალება, რათა შექმნას და/ან განაახლოს შესაბამისი სწავლების შინაარსი და შეფასების გეგმები.

სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა განაცხადა, რომ 2022 წლის სექტემბრიდან მზად იქნება დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვან) პროგრამაზე სტუდენტების მისაღებად. სტუდენტები ჩაითვლებიან საერთო რაოდენობაში, თუმცა პროგრამა არ არის აკრედიტებული. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ სულ 873 სტუდენტის სტატუსი შეჩერებულია (სტუდენტთა საერთო რაოდენობის 62%). როგორც ექსპერტთა პანელს განუცხადეს, ეს ძირითადად უცხოელი სტუდენტები არიან (მათ შორის აზერბაიჯანელი სტუდენტები ქართულენოვან სტომატოლოგიის პროგრამაზე), რომელთა წარუმატებლობა გამოწვეული იყო ქართული ენის არასაკმარისი ცოდნით, მიუხედავად იმისა, რომ მათ უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე ჩააბარეს ენობრივი კომპეტენციის ტესტები. დამატებითი მტკიცებულებად მოწოდებული იქნა სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმის მიერ გამოყენებული ენის ტესტები (3 ინგლისურ ენაზე, 3 ქართულ ენაზე და 1 რუსულზე). ეს იყო წერილობითი ტესტები, რომლებიც შედგებოდა 100 კითხვის სახით დაწერილი მოკლე წინადადებებით, ერთი სწორი ერთსიტყვიანი პასუხით და არ აკმაყოფილებს ენის კომპეტენციის B2 დონის სტანდარტს. მთლიანობაში, სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი აჩვენებს, რომ პროგრამებზე მიღების კრიტერიუმები არაადეკვატურია და/ან მილენიუმის მიერ გათვალისწინებული ტრენინგი და მხარდაჭერა ენობრივი უნარების განვითარებისთვის არაადეკვატურია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების პოლიტიკის დოკუმენტი „სტატუსის შეჩერებას“ განსაზღვრავს, როგორც „სტუდენტების უფლება-მოვალეობების დროებით შეჩერებას დაწესებულებაში“ და რომ შეჩერების დროს „მილენიუმსა და სტუდენტს შორის საგანმანათლებლო ხელშეკრულება შეჩერდება“. დოკუმენტში მითითებულია, რომ სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა არის 5 წელი, ხოლო სტატუსის შეწყვეტის შესაძლო საფუძველი შეიძლება გახდეს, თუ „5 წლის განმავლობაში სტატუსი არ აღდგება“, ადგილი ექნება აკადემიურ გადაცდომას, სხვა

უმაღლეს სასწავლებელში გადასვლას, პროგრამის დასრულებას ან გარდაცვალებას. აღნიშნული არ გულისხმობს წარუმატებელი სტუდენტების პროგრამიდან „მოხსნას“ 5 წლის ვადის გასვლამდე. ეს

ნებადართულია სტუდენტების მობილობა (როგორც შიდა, ასევე გარე) და ამის განხორციელების სისტემაც დაწესებულების წარმამდგენლებმა ახსნეს. რამდენიმე სტუდენტი, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, მობილობით იყო ჩარიცხული (ერთი შიდა და მეორე გარე მობილობით) და ინტერვიუზე მათ აღნიშნეს, რომ პროცესმა მათთვის კარგად იმუშავა.

ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ყველა პროგრამის განხორციელება, რომელიც გადართული იყო ონლაინ რეჟიმში Covid-19-ის პანდემიის გამო, დარჩა ისევ ონლაინ ფორმატში. ეს ფაქტი ნათლად არ იყო ასახული ვიზიტთან დაკავშირებით მოწოდებულ დოკუმენტაციაში და, კერძოდ, არ იყო აღნიშნული თვითშეფასების ანგარიშში. როდესაც პროგრამის ხელმძღვანელებს ექსპერტებმა კითხეს ამის მიზეზები, მათ აღნიშნეს, რომ ეს იყო ზედა რგოლის მენეჯმენტის გადაწყვეტილება და ეფუძნებოდა განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევდა აერჩიათ სწავლის გაგრძელება ონლაინ რეჟიმში მიმდინარე სემესტრში. იმის გამო, რომ მანამდე ექსპერტთა ჯგუფი არ იყო ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ , მათ ვერ შეძლეს სრულად შეესწავლათ კამპუსში სწავლების აღდგენის გეგმები ზედა დონის მენეჯმენტის გუნდთან. ვიზიტის დროს მოთხოვნილი იქნა დოკუმენტაცია, რომელიც აღწერდა ონლაინ სწავლების პოლიტიკას და ექსპერტებმა მიიღეს ერთი დოკუმენტი სათაურით „ელექტრონული სწავლება“. ეს არ იყო სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტი, რადგან ის მხოლოდ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აწვდიდა პრაქტიკულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებოდა ზუმი, როგორც პლატფორმა მასალების და ჩაწერილი ლექციების ასინქრონულად მიწოდებისთვის, ასევე სემინარებისთვის.თუმცა, მათთვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ 45 წუთიანი ზუმის სესიის ვარიანტი. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა შექმნა ონლაინ სწავლების მართვის ჯგუფი მასწავლებლების მხარდასაჭერად. ექპერტთა ჯგუფთან აღნიშნეს, რომ ყველა პროგრამის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდებოდა კამპუსში და რამდენიმე სტუდენტი, რომელსაც ინტერვიუს დროს ექსპერტები შეხვდნენ, მათ დაადასტურეს, რომ ისინი დაესწრნენ დაგეგმილ პრაქტიკულ სესიებს. ვიზიტის დროს ჩვენ მოვითხოვეთ დამატებითი ინფორმაცია სტუდენტთა განლაგების შესახებ, მათ შორის ადგილების რაოდენობა, ადგილმდებარეობა, თარიღები და სტუდენტების რიცხვი. თუმცა ჩვენ მივიღეთ მხოლოდ შეზღუდული ინფორმაცია თარიღებისა და ადგილების რაოდენობასთან დაკავშირებით, სტუდენტების რაოდენობის გარეშე.

გარდა ამისა, მიუხედავად პროგრამის ხელმძღვანელების საკმაოდ დეტალური გამოკითხვისა, არ იყო აშკარა, რომ სრულმასშტაბიანად აღდგებოდა ონლაინ და კამპუსში სწავლება მომდევნო 2022-2023 აკადემიურ წელს. ინტერვიუს დროს პროგრამის არც ერთმა ხელმძღვანელმა არ მოგვაწოდა რამე ინფორმაცია გადაწყვეტილების და პოლიტიკის შესახებ, რომლებიც უკავშირდება ონლაინ სწავლების შემდგომ განვითარებას თუ გაძლიერებას ან კამპუსში სწავლების სრულად აღდგენას. ეს საკითხი პირდაპირ ეხება ექსპერტთა ჯგუფის

შეშფოთებას თბილისის კამპუსის გარე ტერიტორიიდან სტუდენტებისა და პერსონალის ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომის თაობაზე (უფრო დეტალურად მოგვიანებით იქნება განხილული).

ამჟამად, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე არ ირიცხება სტუდენტი და სტომატოლოგიის სტუდენტები გადაიყვანეს ბათუმის ფილიალიდან თბილისში. ეს ნაწილობრივ იმის გამო მოხდა, რომ სტუდენტები ძირითადად თბილისში ცხოვრობდნენ. ექსპერტთა ჯგუფს არ მიუღია კონკრეტული პოლიტიკის ან დაგეგმვის დოკუმენტი პროგრამისა და სტუდენტების გადაადგილების გადაწყვეტილების თაობაზე (როგორც ჩანს, 10 სტუდენტი ირიცხებოდა ქართულენოვან პროგრამაზე და 45 სტუდენტი კი ინგლისურენოვანზე). ჯგუფს არ მიუღია არც მასშტაბირების დოკუმენტი გადაადგილების ლოგისტიკური შედეგების მინიმუმამდე დაყვანის შესახებ, რომელიც ეხება უნარების ტრენინგის ცენტრის აღჭურვილობას. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა სამი სტომატოლოგიური სკამი ბათუმის ფილიალში და მხოლოდ ორი ახალი სტომატოლოგიური სკამი, რომელიც შეძენილია თბილისის კამპუსისთვის. რადგან სტუდენტთა ამჟამინდელი რაოდენობა 55-ია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს რესურსი საკმარისი იყოს სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა ექსპერტთა ჯგუფს არ შესთავაზა გარკვეული გეგმა მათი პროგრამების განვითარებისა და განხორციელებისთვის (მათ შორის, ადგილმდებარეობისა და სტუდენტების რაოდენობის შესახებ), რადგან აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს სურს დაელოდოს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ. როდესაც ექსპერტთ ჯგუფი ესტუმრა ბათუმის ფილიალს, მათ ნახეს, რომ სასწავლო სივრცე სრულიად დაცლილი იყო ავეჯისგან, სასწავლო აღჭურვილობისგან, საბიბლიოთეკო რესურსებისგან და ა.შ. ასევე ექსპერტთა ჯგუფს განუცხადეს, რომ არც ერთ აკადემიურ პერსონალს არ ჰქონდა სამუშაო ოფისი ადგილზე. ბათუმის ფილიალის შესახებ დაწესებულების მიზნის სიცხადის ნაკლებობამ და მისმა განვლენამ თბილისის კამპუსში პროგრამის განხორციელებაზე, ექსპერტთა ჯგუფისთვის რთულია ისაუბროს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების შესაბამისობისა და მიღწევადობის შესახებ, ასევე რთულია კონკრეტული კონსტრუქციული რჩევების შეთავაზება. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებს ასევე არ მოჰყოლია ინფორმაცია მომავალი სასწავლო წლის დეტალური დაგეგმვის შესახებ კამპუსში სწავლების თუ ონლაინ პროგრამების სახით. უცნობია თუ არსებობდა პროგრამების რეგულარული განხილვის გრაფიკი სწავლების ხარისხისა და აკადემიური სტანდარტების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. თუმცა ახლახანს შეიქმნა აკადემიური საბჭო, როგორც უსდ-ის უმაღლესი მმართველი ორგანო, რომელიც ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს და იღებს გადაწყვეტილებებს მათი განხორციელების თუ გაუქმების შესახებ. ასევე აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შემდგომი პროცესი. იმის გათვალისწინებით, რომ არ არის სიცხადე ორგანიზაციული სტრუქტურის ირგვლივ, როგორც ეს აღწერილია სტანდარტ 2.1-ში, რომელიც მხარს უჭერს პროგრამის დაგეგმვისთვის აუცილებელ კომუნიკაციას აკადემიურ საბჭოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და ფაკულტეტის საბჭოებს შორის, გაუგებარია, თუ როგორ არიან ჩართულნი ფაკულტეტების საბჭოები პროგრამის შემუშავებაში და როგორ ახდენენ ისინი ხარისხის

უზრუნველყოფის განხორციელებას ამ პროცესებში. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა აღწერა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები „2021 წლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტის N2 დანართში. მასში ნათქვამია, რომ პროგრამის დაგეგმვა (როგორც ახალი, ასევე განახლებული პროგრამები) ეფუძნება დისციპლინებთან შესაბამისობის შეფასებას, შრომის ბაზრის ანალიზს (როგორც ქართული ასევე საერთაშორისო) დამსაქმებლის ჩართულობით, დაწესებულების მიზანს, სტუდენტზე და უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებს, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევას და შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან.

თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა „პროგრამების ძლიერი და სუსტი მხარეების სწრაფ იდენტიფიცირებას და სწრაფ რეაგირებას“. ეს ეფუძნება პერსონალის, სტუდენტების გამოკითხვებს ელექტრონული პლატფორმის საშუალებით. დაწესებულების წარმომადგენლები ციტირებდნენ შრომის ბაზრის კვლევას (სამაგიდო კვლევა), რომელიც ჩატარდა 2011-2018 წლებში შრომის ბაზრის მოთხოვნების აღმოსაჩენად, რამაც განაპირობა სამართლის და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების შემუშავება. დაწესებულების წარმომადგენლებმა ასევე მოიყვანეს სტუდენტების კმაყოფილების კვლევის მაგალითები 2021 და 2022 წლებში, რამაც გამოიწვია პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერება და სასწავლო ლიტერატურის განახლება. თუმცა, როგორც ჩანს, დაწესებულებაში არ არსებობდა თანმიმდევრული მიდგომა როგორც კითხვარების შედგენაში, ისე ანალიზისა და შედეგის შემდგომ გამოყენებასთან დაკავშირებით, ხოლო ზოგიერთი გამოკითხვის შედეგები საკმაოდ დაბალია. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშის ინგლისურ ვერსიაში წარმოდგენილ მონაცემებს არ ჰქონდა ინგლისურ ენაზე თარგმნილი არც ერთი სვეტოვანი დიაგრამის/ცხრილის შედეგი. შესაბამისად, ექსპერტებისთვისშეუძლებელი იყო მონაცემების კრიტიკა პანელის ქართულად მოლაპარაკე წევრებთან კითხვის დასმის გარეშე. ეს კი ძალიან რთული იყო, რადგან დრო შეზღუდული იყო, ხოლო განსახილველი დოკუმენტები- ძალიან ბევრი. 2021-2022 სასწავლო წლისთვის უნდა ჩატარდეს ხარისხის უზრუნველყოფის შემდგომი კვლევები, შედეგები კი ხელმისაწვდომი იქნება 2022 წლის ბოლოს. გამოკითხულმა პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა ვერ შეძლო აღეწერა, თუ რამდენად დიდი იყო მათი ჩართულობა ამ ტიპის პროცესებში ბოლო დროს. თუმცა მათი განცხადებით, როდესაც თვლიდნენ, რომ მათი პროგრამა უნდა შეცვლილიყო ან გაუმჯობესებულიყო, სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის უფროსი პერსონალი მზად იყო აღნიშნული გაეთვალისწინებინა.

მთლიანობაში, დოკუმენტაციაში და ინტერვიუების დროს წარმოდგენილი მტკიცებულებები ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების სტანდარტიზებული მიდგომის სასიცოცხლო მნიშვნელობის გაცნობიერების ნაკლებობას. ეს წარმოდგენილია დოკუმენტაციის ყოვლისმომცველ კომპლექტში, რომელიც შექმნილია მილენიუმის პროგრამების განხორციელების სირთულის დასადასტურებლად. იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე მათგანი ჯანდაცვის პროგრამაა, ეს ვითარება

შემაშფოთებელია. ეს კი აისახება ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებაში, რომ სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი არ შეესაბამება სტანდარტ 3-ის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებს
მტკიცებულელები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამა და სილაბუსების დოკუმენტები; • პერსონალის, სტუდენტების და ა.შ. გამოკითხვები; • ენის ტესტების ნიმუშები (ინგლისური, ქართული და რუსული); • ონლაინ სწავლებისა და შეფასების პოლიტიკა; • დოკუმენტი - „ინსტრუქცია გამოცდების ჩატარების შესახებ“; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და ინიცირება (დანართი N4); • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, 2021 წ., დანართი N2; • სამედიცინო პერსონალის შრომის ბაზრის ანალიზი საერთაშორისო სტუდენტებისთვის; • დასაქმების ბაზრის კვლევა სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო ადმინისტრირების, ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერების სფეროებში; • სტუდენტის გზამკვლევი; • გასაუბრება სტუდენტებთან; • ინტერვიუები პერსონალთან.
რეკომენდაციები: 3.1.1. დაზუსტდეს გადაწყვეტილება ბათუმის ფილიალის, როგორც პროგრამის განხორციელების ბაზად გამოყენების შესახებ, ასევე, კერძოდ, რომელი პროგრამები განხორციელდება იქ და/ან თბილისში, რათა მოხდეს განახლებული პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების განხორციელების დაგეგმვა. 3.1.2. ბათუმის ფილიალისფ გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რეკომენდებულია სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ განახლებული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის განახლდეს ინფრასტრუქტურა, შეიკრიბოს საკმარისი რაოდენობის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, რათა პროგრამები ეფექტურად განხორციელდეს და განვითარდეს. 3.1.3. პროგრამების შეწყვეტის პოლიტიკა უნდა არსებობდეს და სტუდენტები უნდა იყვნენ ინფორმირებული მათი პროგრამის დახურვის გადაწყვეტილების შესახებ. ამის შემდეგ, ყველა დაზარალებულ სტუდენტს უნდა მიეცეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა თუ როგორ გააგრძელონ სწავლა ან განახორციელონ მობილობა, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი საზიანო გავლენა მათ სწავლაზე.

3.1.4. რეკომენდებულია, რომ პროგრამის ნებისმიერი მცირე ან ძირითადი ცვლილება (მაგალითად, სწავლების მუდმივად გადართვა ონლაინ რეჟიმზე), განხორციელდეს სისტემური დონეზე, პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის ფორმალური გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.1.5. რეკომენდებულია, რომ ფაკულტეტი და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები ერთობლივად იყვნენ ჩართულნი თავიანთი კურსებისა და პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებაში, მიწოდებასა და განვითარებაში.

3.1.6. სწავლების პროცესის თბილისში გადატანის შემდეგ, უნდა მოხდეს სტუდენტთა რაოდენობისა და შეთავაზებული პროგრამების დეტალური დაგეგმვა, რათა ეს შეესაბამებოდესდაწესებულების შესაძლებლობებს.

3.1.7. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შეიტანოს ცვლილება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტში, რათა სტუდენტებს, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ აკადემიური პროგრესის არქონის გამო, ოფიციალურად გავიდნენ პროგრამიდან 5 წელზე (მაქსიმალური ვადა) ნაკლებ პერიოდში.

3.1.8. რეკომენდებულია, რომ მილენიუმმა შეიმუშავოს დეტალური პოლიტიკა მუდმივი დისტანციური სწავლებისა და შეფასებებისთვის, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო ტექნიკურ და აკადემიურ მხარდაჭერას როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

3.1.9. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შექმნას სწავლის „კამპუსში დაბრუნების“ პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება ფორმალიზებულ მიზეზებსა და გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ რომელი პროგრამები განხორციელდება, რომელ ფორმატში და ადგილზე. უნდა შემუშავდეს პროგრამის შესაბამისი დოკუმენტაცია, დამატებითი ინფორმაციის ჩათვლით და შემდეგ წარედგინოს აკადემიურ საბჭოს ოფიციალურად დამტკიცების მიზნით.

3.1.10. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გადახედოს უცხო ენის დაშვების კრიტერიუმებს, რათა უზრუნველყოს იმ სტუდენტების შერჩევა, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ენობრივი კომპეტენცია შედეგის მისაღწევად.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
➢ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ➢ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მიმდინარე პროგრამებისა და სილაბუსების დოკუმენტები განსხვავებული ფორმატით არის წარმოდგენილი. რვა პროგრამის დოკუმენტიდან ოთხს ჰქონდა დამტკიცების თარიღი „დამტკიცებულია შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმის აკადემიური საბჭოს ოქმით 9.03.2022, N3“, თუმცა ოთხში არ იყო მითითებული ასეთი დამტკიცების რეკვიზიტები. პროგრამის კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). მონაცემები მოწოდებული იყო სტუდენტების რაოდენობაზე (როგორც აქტიური, ისე შეჩერებული სტატუსის მქონე), კურსდამთავრებულთა კოეფიციენტზე და კურსდამთავრებულთა კარიერისა და დასაქმების მონიტორინგის თაობაზე (პროგრამებში, რომლებსაც უკვე ჰყავდათ კურსდამთავრებულები). როგორც 3.1-ში აღინიშნა, საერთო ჯამში 873 სტუდენტის სტატუსი შეჩერებულია (სტუდენტების საერთო რაოდენობის 62%) და მილენიუმში გვითხრეს, რომ ამის მიზეზები ძირითადად დაკავშირებულია ენის არასაკმარის უნარებთან. თუმცა არ იყო წარმოდგენილი ხელმძღვანელობის დეტალური წინადადებები იმის შესახებ, თუ როგორ აგვარებენ ამ პრობლემას. მთლიანობაში, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს პროგრამებსა და სილაბუსებს იმ ფორმატით რომელიც მუშაობს პრაქტიკაში. არსებობს ძველი ნომენკლატურის ზოგიერთი მტკიცებულება, მაგალითად, ერთ დოკუმენტზე მითითებულია - ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტი,ზოგი დოკუმენტი კი არასრული ჩანდა. თუმცა, სილაბუსების უმეტესობა შეიცავს ინფორმაციას სავალდებულო და არჩევით კურსებზე და დეტალებს პროგრამის შინაარსისა და კურსზე გამოყოფილი ECTS/კრედიტის საათების რაოდენობაზე. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის გათვალისწინებით, განსხვავდება და შეესაბამება კურსის/მოდულის/სტაჟირების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. აღწერილია სწავლებისა და სწავლის მეთოდების შედარებით მრავალფეროვანი სპექტრი, თუმცა ეს არის საერთო სტანდარტული პრაქტიკა და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, სწავლის შედეგებისა და შეფასების დეტალების დოკუმენტაციის სტანდარტიზებული მიდგომის გარეშე შეუძლებელია პროგრამის შედეგების ხარისხის მყარად უზრუნველყოფა და ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადგინა პროგრამის რეგულაციებთან სრული შესაბამისობა. მართლაც, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროს მცირე დამადასტურებელი დეტალი იყო იმის შესახებ, რომ არსებობს აღიარებული პოლიტიკის მიდგომა პროგრამისა და მოდულის შინაარსისა და შეფასებების შეკრული და მტკიცე ფორმით კოორდინაციის შესახებ. მათ აღწერეს მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია ძირითადად საკუთარ ინიციატივაზე შექმნან შინაარსი და შეფასებები მოდულის/სილაბუსების მარეგულირებელ დოკუმენტებზე დაყრდნობით და სხვა პერსონალის შეზღუდული ჩართულობით. გაურკვეველია, რამდენად საკმარისი იყო

ზედამხედველობა ინსტიტუციურ დონეზე პროგრამული მასალების შემუშავებასა და მიწოდებაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი საკითხები, როგორიცაა პროგრამის შინაარსისა და შეფასებების თანმიმდევრობის ნაკლებობა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამების თეორიული ელემენტები კვლავ დისტანციურად ხორციელდება.

რამდენიმემ აღწერა, რომ მათ შეიმუშავეს მიდგომა პროგრამის შინაარსის განვითარებისა და მიწოდების თანმიმდევრული შემუშავებისადმი. ის დაფუძნებულია კურსის სხვა განმახორციელებელ პირებთან არაფორმალურ კონტაქტზე, თუ მათ სჭირდებათ ისეთი საკითხების შემოწმება, როგორიცაა:

- სტუდენტის წინასწარი ცოდნის შემოწმება წინა კურსებიდან რამეს შესაძლო არცოდნის შემთხვევაში, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ სწავლაზე;
- ნებისმიერი ხარვეზი/განმეორება შინაარსის დიზაინში, გარდა იმისა, რომელიც შექმნილია სპირალურ სასწავლო გეგმაში, როგორიცაა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა;
- ნებისმიერი კონკრეტული საზრუნავი ცალკეულ სტუდენტთან დაკავშირებით, რისი განხილვაც შეიძლება საჭირო გახდეს დეკანთან/პროგრამის ხელმძღვანელთან;
- როგორც აკადემიურმა, ისე მოწვეულმა პერსონალმა განაცხადეს, რომ ზოგჯერ მათ იცოდნენ კურსის სხვა მასალების გადამოწმების აუცილებლობის შესახებ, რასაც აკეთებდნენ ელ-ფოსტით ან ტელეფონით კურსის სხვა პედაგოგებთან, რათა შეემოწმებინათ ეს და, საჭიროების შემთხვევაში, შეეტანათ ცვლილებები ერთ კურსში ან ორივეში.

არც ერთმა გამოკითხულმა მასწავლებელმა არ იცოდა რამე კონკრეტული ყოვლისმომცველი ინსტიტუციური პოლიტიკა, რომელიც აღწერდა ინსტიტუციურ მიდგომას პროგრამის განვითარების დაგეგმვისა და პროგრამის თანმიმდევრულობის მიმართ. მათ არც იცოდნენ რამე მიდგომა ზღვრული კონცეფციების ჩამოყალიბებისა და პროგრამის შეფასების გრძელვადიან ასპექტებში მათი ინტეგრირებისთვის. როდესაც ვკითხეთ, რას გააკეთებდნენ სტუდენტების მოსწრებასთან დაკავშირებით, როგორიცაა, მაგალითად, ჩართულობის ნაკლებობა, სწავლის ცუდი უნარები ან ჯანმრთელობის პრობლემები, მათ თქვეს, რომ დაუკავშირდებიან პროგრამის ხელმძღვანელს, ან დეკანს (გარემოებების მიხედვით).

ონლაინ სწავლებისა და შეფასების შესახებ კითხვაზე დაწესებულების მხარემ აღნიშნა, რომ უზრუნველყოფილი იყო ტექნიკური მხარდაჭერა და სასწავლი მასალები მოწოდებული იყო სტუდენტებისთვის მილენიუმის შიდა პლატფორმის გამოყენებით. ლექციები, გაკვეთილები და ა.შ ტარდება ზუმის პლატფორმის გამოყენებით, თუმცა სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს არ აქვს ზუმის სრული ლიცენზია შეძენილი, ამიტომ ლექციის მაქსიმალური ხანგრძლივობა გათიშვამდე არის 45 წუთი. ამან შეიძლება ხელი შეუშალოს სწავლების შეუფერხებელ მიწოდებას და ასევე სტუდენტებს, რომლებიც ერთვებიან დაბალი გამტარუნარიანობის მქონე უბნებიდან და უფრო ხშირად შეიძლება გაეთიშოთ კავშირი. დოკუმენტი სათაურით „ელექტრონული სწავლების პირობებში ლექციების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ“ 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში იძლევა შედეგებს, როგორიცაა: „ლექციების რაოდენობა: 27; სასწავლო კურსების რაოდენობა: 46. ორგანიზაცია 18%, ეთიკა 19%, კონტაქტი სტუდენტებთან 19%, სტუდენტთა

ჩართულობა 13%, ელექტრონული სწავლების საშუალებები 16%, ტექნიკური შესრულება 15%”, თუმცა არ არის ნათელი, რას უკავშირდება ეს მაჩვენებლები.

როგორც აკადემიურმა, ასევე მოწვეულმა პერსონალმა განაცხადა, რომ ისინი უკავშირდებიან სტუდენტებს პირადი ელფოსტის საშუალებით, რადგან სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმში არ არსებობს კორპორატიული ელ.ფოსტის ანგარიშები. იმის გათვალისწინებით, რომ ეს კომუნიკაციები შეიძლება შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს და ინფორმაციას ჯანმრთელობისა და ქცევის საკითხებზე, ეს არ არის კომუნიკაციის უსაფრთხო გზა და ამიტომ არ არის მიზანშეწონილი.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია მტკიცებულება იმისა, რომ უსდ იყენებს ინდივიდუალურ განათლების დაგეგმვას (IEP), რათა დაეხმაროს სტუდენტს ინდივიდუალური მიზნების მიღწევაში. ინდივიდუალური განათლების დაგეგმვა ორიენტირებულია სტუდენტის სპეციფიკური შედეგებზე, მიზნებზე, სწავლების მეთოდებზე, მასალებსა და განახლებულ სტრატეგიებზე. მოყვანილი იყო მაგალითი, როდესაც ლექტორმა ამოიცნო სტუდენტი, რომელსაც, მისი აზრით, შეიძლება ჰქონოდა აუტისტური სპექტრის აშლილობა და რომელსაც შემდეგ მან მხარი დაუჭირა ინდივიდუალური სასწავლო სესიებით. ლექტორმა ამის შესახებ აცნობა მილენიუმის მენეჯმენტს. თუმცა, როდესაც გარე ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-ის მენეჯმენტს ჰკითხა ზოგადად შეთავაზებული ინდივიდუალური მხარდაჭერის შესახებ, მათ განაცხადეს, რომ ჯერჯერობით არ ჰყავთ სტუდენტები, რომლებსაც შეიძლება დასჭირდეთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა შეიმუშავა კლინიკური უნარების ცენტრი, რათა ჩაატაროს პრაქტიკული უნარების ტრენინგი მულაჟების ფართო სპექტრით. არსებობს სპეციალური ოთახები, თითქოს OSCE-ს გამოცდისთვის. მაგრამ ყველა ამ ოთახის სივრცე მოქნილია სტუდენტების სწავლების დასაშვებად და საკმარისად დიდია, რომ კომფორტულად დაიტიოს 8-10 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი. ამ ოთახებს ასევე აქვთ CCTV სისტემა საკონტროლო ოთახით ზემოთ სართულზე. დაინიშნა კლინიკური უნარების მენეჯერი. უნარების ცენტრი უნდა იქნეს გამოყენებული პრაქტიკული სწავლების ხარისხისა და მნიშვნელობის გაზრდის მიზნით, ამიტომ მიზანშეწონილია განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება. როგორც ჩანს, დაწესებულებაში არსებული გარემო დააკმაყოფილებს სტუდენტების მხოლოდ მცირე რაოდენობის საგანმანათლებლო საჭიროებებს პრეკლინიკურ კურსებზე, საჭირო იქნება დამატებით მომზადებული აკადემიური პერსონალი და ტექნიკური მხარდაჭერა კლინიკური მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების უფრო ინტეგრირებული უნარების შესწავლის სრულად მხარდასაჭერად.

ასევე, დაწესებულებაში არის ორი ლაბორატორია მიკროსკოპით და ნიმუშებით, ანატომიის მოდელების ჩათვლით, თუმცა სივრცე არ იყო დიდი და ჯანდაცვის ფაკულტეტზე დამატებით სტუდენტების მიღების შემთხვევაში საკმარისი არ იქნება სივრცე შესაბამისი ლაბორატორიული სწავლების შეთავაზებისთვის.

ბიბლიოთეკას აქვს კომპიუტერი და მცირე სივრცე, თუმცა ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომა უკიდურესად შეზღუდულია. კამპუსში ბიბლიოთეკართან შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ არსებობდა შეზღუდული წვდომა ზოგიერთ წიგნთან და ელექტრონული ჟურნალების მონაცემთა ბაზასთან, ხოლო თავისუფალი წვდომა

შემთხვევით ჟურნალებთან. დაწესებულების მხრიდან არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე ადეკვატური წვდომისა და ციფრულ წიგნიერებაში ტრენინგის გარეშე, სტუდენტები ვერ შეძლებენ დამოუკიდებლად იმ უნარების განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია კვლევასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების მიღწევასთან. აქვე აღსანიშნავია, რომ კამპუსიდან შეზღუდული წვდომის ფონზე, ბაზები სახლიდან კიდევ უფრო ნაკლებად ხელმისწვდომია (ბიბლიოთეკარისთვისაც კი). დამაფიქრებელია, რომ სტუდენტები უკვე თითქმის 2 წელია სწავლობენ დისტანციურად და მათ არ აქვთ შესაძლებლობა პროგრამის და კურსების ძირითადი ლიტერატურის გარდა წვდომა ჰქონდეთ დამატებით მასალებთან. რამდენიმე კლინიკამ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ჯანდაცვის ფაკულტეტის პროგრამებისთვის. ასევე, გაფორმდა მემორანდუმები, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება სთავაზობს სტუდენტებს სტაჟირებას სხვა პროგრამებზე. ექსპერტთა ჯგუფი ეწვია ღუდუშაურის ეროვნულ სამედიცინო ცენტრის კლინიკას (პოლიკლინიკას), სადაც ექსპერტთა ჯგუფს განუცხადეს, რომ ამჟამად იქ ასწავლიან სხვა სამედიცინო სკოლების სტუდენტებს. კლინიკა კარგად არის აღჭურვილი სამედიცინო პროგრამის მომავალი სტუდენტებისთვის სწავლების ჩასატარებლად. კლინიკაში მიმდინარეობს როგორც კლინიკური სფეროების, ასევე სასწავლო სივრცეების გაერთიანების პროცესი. თუმცა გამოკითხულმა პერსონალმა არ იცოდა ბევრი დეტალი, თუ რა იქნებოდა საჭირო მილენიუმის სტუდენტებისთვის, რადგან მათ მხოლოდ ცოტა ხნის წინ მოაწერეს ხელი თანამშრომლობის მემორანდუმს. ექსპერტთა ჯგუფს ასევე უთხრეს, რომ მოინახულებდნენ „VP დენტალ კლინიკს“, თუმცა მარშრუტი შეიცვალა მილენიუმის მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეტყობინების ან შეთანხმების გარეშე. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფმა არ იცის იმ კლინიკის სახელი, რომელიც ვიზიტის ფარგლებში ნახეს. ამ კლინიკის თანამშრომლებმა გვითხრეს, რომ სულ ახლახან მოაწერეს ხელი მემორანდუმს და, მიუხედავად იმისა, რომ მათი კლინიკა კარგად იყო აღჭურვილი და პერსონალს სწავლების ჩატარების სურვილიც ჰქონდა, ჯერ კიდევ არ იცოდნენ სწავლებასთან დაკავშირებული დეტალები. ეს მემორანდუმი ძალიან ზოგადია. მემორანდუმი შეეხება სტუდენტთა პრაქტიკული სწავლების მხარდაჭერას, თუმცა არ შეიცავს დეტალებს არც შესასწავლი საგნების და არც სტუდენტების რაოდენობის შესახებ, რომლებიც სწავლებას დაესწრებიან. კონტრაქტები სხვა სტომატოლოგიურ კლინიკებთან, როგორც ჩანს, უფრო სპეციფიკურია სასწავლო გეგმის მიწოდებასთან დაკავშირებით.

ჯანდაცვის მეცნიერებებში კვლევით სწავლება არის ხარისხის ნიშანი და საშუალებას აძლევს სტუდენტს ჰქონდეს სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროფესიული პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის ფაკულტეტის სასწავლო კურიკულუმები მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიას, როგორც პროგრამის სავალდებულო ნაწილს, აღინიშნა, რომ ფარმაციის პროგრამას აქვს „კლინიკური კვლევის საფუძვლები“ მხოლოდ როგორც არჩევითი საგანი. ეს არ არის საკმარისი თანამედროვე ჯანდაცვის პროგრამისთვის, სადაც კლინიკური კვლევა მნიშვნელოვანია.

ყველა პროგრამა მოიცავს აკადემიური წერის ზოგიერთ ელემენტს და/ან დისერტაციის წერის მოთხოვნებს, თუმცა სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს არ აქვს საკუთარი წვდომა პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამაზე. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტებს არ შეუძლიათ რეგულარულად შეამოწმონ თავიანთი ნამუშევარი. შესაბამისად, მათ არ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ ნაშრომში დაშვებულ აკადემიური წერის შეცდომებს და

შესაბამისად თავიდან აიცილონ ისინი. ამან შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური ზეგავლენა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ უცხო ენაზე და შეიძლება გაუჭირდეთ ლიტერატურის ინტერპრეტაცია და პერიფრაზირება მათი აკადემიური წერის კონტექსტისთვის.

რთული იყო სწავლების პრაქტიკული ელემენტების დადგენა, რადგან ამის შესახებ ძალიან შეზღუდული ინფორმაცია იყო წარმოდგენილი დოკუმენტაციაში. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია, თუმცა ინფორმაცია მოწოდებულ იქნა მხოლოდ რეაბილიტაციის პროგრამისთვის, რომელიც ტარდება საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრში, Gepha/GPC-ში აფთიაქებში და რამდენიმე კლინიკურ ლოკაციაზე სტომატოლოგიური პროგრამისთვის (არ იყო მითითებული სტუდენტების რაოდენობა პროგრამაში/ჯგუფში).

არც ერთ განხილულ ჯანდაცვის პროგრამაში არ არსებობდა მტკიცებულება, რომ გამოყენებული იყო პორტფოლიოს მიდგომა სწავლისა და უნარების განვითარებისთვის. ეს არის განსაკუთრებით სასარგებლო მიდგომა უნარების განვითარებისთვის არა მხოლოდ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლებისთვის, არამედ პროფესიულ პრაქტიკაში ჩართვისთვის და სამომავლოდ დასაქმებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სილაბუსების დოკუმენტები;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ინგლისურენოვანი);
- სწავლის შედეგები (ინგლისურენოვანი);
- სასწავლო გეგმა, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ინგლისურენოვანი);
- მილენიუმის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის (ინგლისურენოვანი) სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა;
- ჯანდაცვის ფაკულტეტის ცხრილების ნიმუშები პრაქტიკული გაკვეთილებისთვის;
- დოკუმენტი - „ინსტრუქცია გამოცდების ჩატარების შესახებ“;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და ინიცირება (დანართი N4);
- სტუდენტის გზამკვლევი;
- გასაუბრება სტუდენტებთან;
- ინტერვიუები პერსონალთან.

რეკომენდაციები:

3.2.1.

3.2.1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა მოახდინოს ყველა პროგრამისა და სილაბუსის სტრუქტურისა და სქემის სტანდარტიზაცია, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა პროგრამების მიწოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ.

3.2.2. პროგრამის სტანდარტიზაციის პროცესში შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის მონაცემები უნდა გაზიარდეს პროგრამის

	განმახორციელებელ პერსონალთან და გამოყენებულ იქნას როგორც მტკიცებულება პროგრამის მიწოდების, განვითარებისა და გაუმჯობესების მხრივ.
3.2.3.	სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და დაცული ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის დანერგვა პერსონალისა და სტუდენტებისთვის, და შეწყვიტოს პირადი ელ. ფოსტის გამოყენება, რომელიც არ არის დაცული.
3.2.4.	რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა განახორციელოს თბილისში არსებული სასწავლო სივრცისა და ობიექტების (განსაკუთრებით ლაბორატორიის და კლინიკური უნარების სწავლებისთვის)დეტალური დაგეგმვა , რომ ის იყოს ადეკვატური სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობისთვის და მათ შეძლონ შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევა.
3.2.5.	სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა მოაგვაროს ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომის პრობლემა (განსაკუთრებით კამპუსის გარე ტერიტორიიდან), რათა სტუდენტებმა შეიძინონ ციფრული წიგნიერების უნარები, რაც აუცილებელია მომავალი პროფესიული დასაქმებისთვის.
3.2.6.	რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს ჰქონდეს ონლაინ სწავლების პლატფორმა ან მეთოდოლოგია, რაც შესაძლებელს გახდის უწყვეტი საკლასო სწავლებაგაგრძელდეს 45 წუთზე მეტხანს.
რჩევები:	
3.2.1.	სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა განიხილოს დატრენინგება და მხარდაჭერა სტუდენტების, რომლებიც ვერ ახერხებემ პროგრესს ინგლისური ენის არცოდნის გამო. 3.2.2. შეიძლება განხილულ იქნეს „კლინიკური კვლევის საფუძვლების“ გადატანა ფარმაციის პროგრამის სავალდებულო მოდულში.
3.2.3.	სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შესაძლოა განიხილოს პორტფოლიოს დანერგვა, განსაკუთრებით ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის,

რადგან ის იმ უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას იძლევა, რაც აუცილებელია მომავალი პროფესიონალების უწყვეტი პრაქტიკისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
➢ უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არსებობს დადგენილი პოლიტიკის დოკუმენტი სახელწოდებით "ინსტრუქცია გამოცდების ჩატარების შესახებ", რომელიც აღწერს შეფასების პროცესებს და სხვადასხვა მუხლები მოიცავს ზოგიერთ აუცილებელ დებულებას. თუმცა მე-10 მუხლის დასკვნითი დებულებები ამბობს მხოლოდ, რომ "ეს წესი დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით" და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა ასპექტის გაშუქება იყო გამიზნული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროგრამისა და სილაბუსების დოკუმენტაცია განსხვავდება და ყველა არ იძლევა საკმარის დეტალებს განხორციელებული შეფასებების შესახებ. თუმცა უფრო დეტალური პროგრამის მაგალითია ფარმაციის პროგრამა, რომელიც იყენებს უწყვეტი შეფასების მიდგომას, რაც აერთიანებს შეფასების საერთო მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალება, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და ა.შ.). ეს შეფასებები დაკავშირებულია შესაბამის კრიტერიუმებთან და შეფასებებთან და ისინი შეესაბამება სტანდარტიზებული შეფასების სისტემას. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა, დეტალურად აღწერს ფარმაციის პროგრამის მსგავსი შეფასების მიდგომას და ასევე აკავშირებს მას როგორც კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემასთან (ECTS), ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულაციებთან. მედიცინის პროგრამის დოკუმენტაცია იძლევა შეზღუდულ დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი შეფასების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ნაწილობრივ ინტეგრირებული სამედიცინო პროგრამის სასწავლო გეგმის ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი. ნახსენებია სხვადასხვა ტიპის შეფასების გამოყენება, მაგ. ტესტური შეკითხვა, ღია კითხვები, OSCE-ს გამოცდა და ა.შ. არსებობს საორიენტაციო დოკუმენტი, რომელიც ნაწილობრივ აკავშირებს სწავლის ინდიკატორებს შეფასების მეთოდებთან. თუმცა არ არის დეტალური ახსნა იმის შესახებ, თუ როგორ იქნა გამოთვლილი საორიენტაციო ინდიკატორები, ან როგორ მოხდება მათი მონიტორინგი და ხარისხის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, გამოკითხულმა პერსონალმა, რომელიც ჩართული უნდა ყოფილიყო დიპლომირებული მედიკოსის შემოთავაზებულ პროგრამაში, ძალიან ცოტა რამ იცოდა

შეფასების პროცესების სირთულის შესახებ. სიმულაციური ცენტრი, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი ესტუმრა, შეიქმნა OSCE-ს გამოცდის მოდელირებისთვის და მას აქვს საგამოცდო სადგურები. თუმცა, რადგან ცენტრი ჯერ არ გამოიყენება, შეუძლებელი იყო დეტალურად შეემოწმებინა ექსპერტთა ჯგუფს, რამდენად კარგად ესმის პერსონალს, თუ როგორ მუშაობს იგი პრაქტიკაში.

სხვა პროგრამების დოკუმენტაციაშიც აღწერილია შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს ტუტორის მხრიდან საგამოცდო კითხვარის შედგენას და არსებობს ვადები, როცა უნდა მოხდეს ამ შეკითხვების გაგზავნა და საგამოცდო ნაშრომების შეფასება.

ვერც დოკუმენტაციამ და ვერც აკადემიურმა პერსონალმა ვერ აღწერა გამოცდის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი. კერძოდ, არ იყო ნახსენები შეფასებების სტანდარტული ნაკრები, როგორც გრძელვადიანად, ისე ჰორიზონტალურად, ზღვრული ცნებების დაწესების თვალსაზრისით. არც მარკირების მოდერაციის პროცესი იყო ნახსენები, არც რამე სტანდარტიზაციის ტრენინგი აღწერილი, შედეგების თანმიმდევრულობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. პედაგოგებმა თქვეს, რომ მათ მიეცათ მონაცემები შეფასების შემდეგ, რათა გაეგოთ, როგორ გაეუმჯობესებინათ წერის უნარები. მაგრამ, როგორც ჩანს, არ ყოფილა ცენტრალიზებული მიმოხილვა, რათა უზრუნველყოფილიყო თანმიმდევრულობა. ვერც ერთმა გამოკითხულმა თანამშრომელმა ვერ აღწერა „კითხვების ბანკის“ შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში წერდნენ ონლაინ საგამოცდო კითხვებს. მთელი პროცესის მჭიდრო განრიგმა შეიძლება გაამწვავოს სამართლიანობის ნაკლებობა. ამას ემატება დაშლილი პედაგოგიური პერსონალი (განსაკუთრებით დისტანციურად მუშაობისას), რამაც შეიძლება გაამწვავოს პრობლემა. როგორც ასეთი, აუცილებელია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს ჰქონდეს ყოვლისმომცველი დეტალური პოლიტიკა და მიწოდების გეგმა იმის გარდა, რაც აღწერილია „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციაში“, რათა უზრუნველყოს შეფასების პროცესი რეგულაციებთან შესაბამისობაში.

არსებობს გასაჩივრების სისტემა. სტუდენტებმა იცოდნენ, რომ მათ ჰქონდათ გასაჩივრების უფლება, როგორც ეს აღწერილია სასწავლო პროცესის რეგულირების წესში და უფრო დეტალურად დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები და პასუხი, 2020 წლის ანგარიში“. თუმცა, რადგან არც ერთ სტუდენტს და არც ჯგუფის მიერ გამოკითხულ პერსონალს არ ჰქონია პრაქტიკაში გასაჩივრების შემთხვევა , შეუძლებელი იყო ამ პროცესის შემოწმება.

და ბოლოს, როგორც აღინიშნა სტანდარტში 3.1, სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა უნდა შეიძინოს პლაგიატთან ბრძოლის საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფა, რადგან ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობა არა მხოლოდ წაახალისებს სტუდენტებს, რომ გაიგონ მეტი პლაგიატის თავიდან აცილების მიდგომების შესახებ, არამედ უზრუნველყოფს, რომ ყველა შეფასება სრულად შემოწმდეს და ამგვარად იქნეს დაცული შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები.

საერთო ჯამში, შემაშფოთებელია ოპერაციული თანმიმდევრულობის ნაკლებობა სხვადასხვა შეფასებების შემუშავებასა და მიწოდებაში და, კერძოდ, ესეების შეფასების მოდერაციისა და სტანდარტიზაციის ნაკლებობა. ყოვლისმომცველი სტანდარტების დადგენის, ტესტებად გამოსაყენებელი კითხვების სრული რუკის და სამიზნე ნიშნულების აშკარა ნაკლებობამ შეიძლება გავლენა იქონიოს ზოგიერთ პროგრამაში შეფასებების

სანდოობასა და ვალიდურობაზე. ორივე ეს ფაქტორი ითვალისწინებს, რომ საბოლოო შეფასება ჩაითვლოს შეუსაბამოდ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამა და სილაბუსების დოკუმენტები; • დოკუმენტი - „ინსტრუქცია გამოცდების ჩატარების შესახებ“; • სასწავლო პროცესის რეგულირების წესები; • დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ინგლისურენოვანი); • სწავლის შედეგები (ინგლისურენოვანი); • სასწავლო გეგმა, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ინგლისურენოვანი); • მილენიუმის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის (ინგლისურენოვანი) სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; • საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და ინიცირება (დანართი N4); • სტუდენტის გზამკვლევი; • გასაუბრება სტუდენტებთან; • ინტერვიუები პერსონალთან.
რეკომენდაციები: 3.3.1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შეიძინოს საკუთარი ლიცენზია პლაგიატის პროგრამული უზრუნველყოფისთვის, რათა სტუდენტებმა და პერსონალმა გაიაზროს თავიანთი ვალდებულება, მარტივად შეძლონ საკუთარიაკადემიური ნაწერის შემოწმება და თავიდან აიცილონ შემთხვევითი პლაგიატი. 3.3.2. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შექმნას ყოვლისმომცველი შეფასების პოლიტიკა დეტალური გეგმით (მათ შორის, შეფასების ტიპები, თარიღები და ა.შ.) ყველა პროგრამისთვის, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრული შეფასების ციკლი, რაც საშუალებას მისცემს პერსონალს ჩაერთოს შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაში. 3.3.3. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა მოახდინოს ყველა პროგრამის დოკუმენტის ტიპისა და ფორმატის სტანდარტიზებაშეფასების ტიპის,დროისა და ფორმატების მხრივ (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და მათი შესაბამისობა მარეგულირებელ კრიტერიუმებთან. 3.3.4. რეკომენდირებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა დაატრენინგოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეფასების თანამედროვე პრინციპებში და კერძოდ, კითხვების წერასა და სტანდარტების განსაზღვრაში. 3.3.5. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა ჰქონდეს მიდგომა სტანდარტების დადგენისა და მოდერაციის მიმართ ყველა შეფასებაში, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა და სამართლიანობა.

3.3.6. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა რეგულარულად განახორციელოს სავალდებულო შეფასების სტანდარტიზება ყველა პერსონალის მონაწილეობით, რომლებიც ახდენენ სტუდენტების შეფასებას.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
➢ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ➢ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროცესისა და სხვა აქტივობების განსახორციელებლად, სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს აქვს მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც განსაზღვრულია შემდეგ დოკუმენტებში: • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მართვა და განვითარება • სამუშაო მოთხოვნები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული საქმიანობა • აკადემიური პერსონალის მიღების წესი ზემოაღნიშნული დოკუმენტები შემუშავდა 2021 წლის ოქტომბერში და მოიცავს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის არჩევისა და

დანიშვნის გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურებს, ასევე აფილირების ვადებსა და პირობებს. აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინი აირჩიეს/დანიშნეს ამ პროცედურებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს განსაზღვრული აქვს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები მათ სამუშაო აღწერილობებში, ძირითადი ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება უმაღლესი სასწავლებელში დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა ყოველთვის არა.. მაგალითად, უცხო ენების ცოდნა არ არის სავალდებულო IT სპეციალისტის, ბიბლიოთეკარისა და ექიმისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მილენიუმის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების 67,3% უცხოელია.

აკადემიური პერსონალის მიღების წესი განსაზღვრავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დეტალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ შორის უცხოენოვანი აკადემიური პროგრამების განხორციელებისთვის. ეს მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და პროგრამულ სპეციფიკას, თუმცა უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია შესაბამისი დოკუმენტაცია და ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა დაადგინოს, განხორციელდა თუ არა არჩევნების/დანიშვნის პროცესი წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები და დიპლომები და მიიჩნევს, რომ მათი კვალიფიკაცია საკმარისია აკადემიური პროგრამის კომპონენტების განხორციელებისთვის.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი ახორციელებს 7 საბაკალავრო და 3 ერთსაფეხურიან აკადემიურ პროგრამას 201 აკადემიური და 220 მოწვეული პერსონალით, ხოლო 201 აკადემიური პერსონალიდან მხოლოდ 71 არის აფილირებული უნივერსიტეტთან. საგანმანათლებლო პროგრამების თანმიმდევრულობისა და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქტივობების (განსაკუთრებით – სამეცნიერო აქტივობების) განსახორციელებლად, სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. ამ მხრივ, უფრო პრობლემურია ჯანდაცვის ფაკულტეტი - 122 აკადემიური პერსონალიდან 93 არ არის აფილირებული უნივერსიტეტთან, მათ შორის მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი.

2021 წლის ოქტომბერში სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შეიმუშავა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის წესი, რომელიც არის ძალიან ზოგადი დოკუმენტი და აწესებს ერთნაირ მოთხოვნებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა დააფინანსა ზოგიერთი სამეცნიერო საქმიანობა (მაგ. პუბლიკაციის საფასური და მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციაში), მაგრამ კვლევის შედეგების მიხედვით, აკადემიური პერსონალის 50%-მა არ იცის ანაზღაურებისა და წახალისების შესაძლებლობებისა და მოთხოვნების შესახებ.

3-წლიან სამოქმედო გეგმაში (2022-2024) სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა მიუთითა, რომ დახარჯავს 150 000 ლარს ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბებისთვის, მაგრამ ავტორიზაციის

ვიზიტის დროისთვის ეს მექანიზმები არ იყო განხორციელებული.

ბოლო 2 წლის განმავლობაში მილენიუმმა ჩაატარა 2 ტრენინგი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის (სწავლების მეთოდები, 2021 წლის ნოემბერში და სწავლის შედეგების შეფასება, 2022 წლის აპრილში) და მოაწყო შეხვედრები ადმინისტრაციულ პერსონალთან, სადაც მოწვეულმა ექსპერტებმა განიხილეს უნივერსიტეტის მუშაობის რამდენიმე ძირითადი ასპექტი. თუმცა, სტრატეგიული მიზნების ეფექტური განხორციელებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს უნდა ჰქონდეს კარგად ჩამოყალიბებული მიდგომა და სტრატეგია თავისი ადმინისტრაციული/დამხმარე და აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და შესთავაზოს მათ ტრენინგები და ღონისძიებები საჭიროებების შეფასების საფუძველზე, როგორც ერთჯერადად, ისე რეგულარულად.

სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა დაიწყო პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევა, მაგრამ არ იყენებს კვლევის შედეგებს პერსონალის მართვის პროცესში.

ავტორიზაციის ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სხვა დაწესებულებასთან შერწყმის შემდეგ მათ გადახედეს მილენიუმის ორგანიზაციულ სტრუქტურას, დაიქირავეს ახალი თანამშრომლები და გეგმავენ მათი რაოდენობის გაზრდას. თუმცა, მათი გეგმები ბათუმის ფილიალთან დაკავშირებით გაურკვეველი იყო. ექსპერტთა ჯგუფი მხარს უჭერს ამ ცვლილებებს და რეკომენდაციას იძლევა, რომ საგანმანათლებლო პროცესისა და სხვა აქტივობების ეფექტური განხორციელებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა გაზარდოს თანამშრომელთა რაოდენობა ადმინისტრაციულ/დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში, მათი მოვალეობებისა და სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (განსაკუთრებით განყოფილებებში/სამსახურებში, სადაც მხოლოდ ერთი თანამშრომელია) და განსაზღვროს ორგანიზაციული სტრუქტურა და დასაქმებულთა რაოდენობა ბათუმის ფილიალისთვის სტუდენტების რაოდენობისა და საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით.

დამატებით, უნივერსიტეტის სტრუქტურაში განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით (მათ შორისაა შერწყმა და სრულ განაკვეთზე დისტანციურ სამუშაოზე სწრაფი გადასვლის სირთულეები, გამოწვეული COVID-19 პანდემიით), სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შეიმუშავოს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრაციას და მათ ეფექტურ ჩართვა სამუშაო პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მართვა და განვითარება;
- სამუშაო მოთხოვნები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული საქმიანობა;
- აკადემიური პერსონალის მიღების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის წესი;
- საქმიანობის შეფასების მონაცემები (ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის);
- საქმიანობის შეფასების მონაცემები (ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის);

- კმაყოფილების კვლევის შედეგები (აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის);
- საქმიანობის შესრულების შეფასების მონაცემები (ადმინისტრაციული პერსონალისთვის);
- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

4.1.1. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა განსაზღვროს მიდგომები და სტრატეგია თავისი პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, თანამშრომლების მუშაობის შედეგებზე და საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით.

4.1.2. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა დააწესოს მკაფიო და ადეკვატური მოთხოვნები აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისა და წახალისებისთვის და გაზარდოს მათი ინფორმირებულობა.

4.1.3. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გაზარდოს თანამშრომელთა რაოდენობა ადმინისტრაციულ/დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში, მათი მოვალეობებისა და სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (განსაკუთრებით განყოფილებებში/სამსახურებში, სადაც მხოლოდ ერთი თანამშრომელია) და განსაზღვროს ბათუმის ფილიალის ორგანიზაციული სტრუქტურა და დასაქმებულთა რაოდენობა სტუდენტების რაოდენობისა და საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით.

4.1.4. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შეიმუშავოს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრირებას სამუშაო გარემოში და მათ ეფექტურ ჩართვას სამუშაო პროცესში.

4.1.5. სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი უნდა გამოიყენოს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები პერსონალის მართვის პროცესში.

4.1.6. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გადახედოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უცხო ენის კომპეტენციებთან დაკავშირებით.

4.1.7. მილენიუმმა უნდა გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა
➢ უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულებაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.
2021 წლის ნოემბერში სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შეიმუშავა დოკუმენტი - აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა, რომელიც არეგულირებს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის განაწილებას სასწავლო, კვლევით და სხვა აქტივობებს შორის. ამავე დოკუმენტში აღწერილია უნივერსიტეტთან აფილირების პირობები და აფილირებული აკადემიური პერსონალის ვალდებულებები. ინტერვიუს შედეგები და წარდგენილი დოკუმენტები (შეთანხმებები, კონფერენციის ნაშრომები და ა.შ.) ადასტურებს, რომ აფილირებული პერსონალი აცნობიერებს აფილირების წესსა და პირობებს და მოქმედებს მათ შესაბამისად. აკადემიური/მოწვეული პერსონალის სწავლების დატვირთვის სქემები ახლდება ყოველ სემესტრში, ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიხედვით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა საკმარისია საბაკალავრო პროგრამების განსახორციელებლად (თუ არ ჩავთვლით ბათუმის ფილიალის კამპუსსა და ტურიზმისა და ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამებს, რომლებიც უნდა შეწყდეს). სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს არ ჰყავს სამეცნიერო პერსონალი. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დათვალიერებისას, სიიდან გამოჩნდა, რომ ბევრ საგანში მხოლოდ ერთი აკადემიური პერსონალია დასაქმებული ამ საგნების სწავლებისთვის, რაც აშკარად არ არის საკმარისი. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დასაგეგმად სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შეიმუშავა აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპები და მეთოდოლოგია, რომელიც არის ძალიან ზოგადი დოკუმენტი, გარკვეული მეთოდოლოგიისა და სტატისტიკური მონაცემების გარეშე. უფრო დეტალური ინფორმაცია აკადემიური პერსონალის დაგეგმვის შესახებ იხილეთ დოკუმენტში - სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია, სადაც დაწესებულება უთითებს ფორმულას: 1 აკადემიური პერსონალი 50 სტუდენტზე, პროგრამის სპეციფიკაციებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების გარეშე. ასევე, გაუგებარია, როგორ უკავშირდება ზემოთხსენებულ დოკუმენტს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა და სამიზნე ნიშნულები. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებამ და დამატებით მოთხოვნილმა დოკუმენტებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნია აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მკაფიო ხედვა და სტრატეგია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა;
- სასწავლო დატვირთვის სქემები;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრიციპები და მეთოდოლოგია;
- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში

რეკომენდაციები:

4.2.1. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შეიმუშავოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, თითოეულ პროგრამაზე არსებული და მომავალი სტუდენტების რაოდენობის, პროგრამის სპეციფიკისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

4.2.2. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გაზარდოს მასწავლებლების რაოდენობა მედიცინის პროგრამისთვის.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- ➢ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- ➢ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა განსაზღვრა პროცედურები სტუდენტის სტატუსთან, მობილობასთან, კვალიფიკაციის მინიჭებასთან და განათლების აღიარებასთან დაკავშირებით, რაც აღწერილია შესაბამის დოკუმენტებში, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ინგლისურ და ქართულ ენებზე უნივერსიტეტის ვებგვერდზე. თუმცა, რადგან უსდ-ს ჰყავს მნიშვნელოვანი რუსულენოვანი სტუდენტური კონტიგენტი, აუცილებელია, რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს რუსულ ან ინგლისურ ენებზეც. წესები შეესაბამება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ და შეთანხმებულია უნივერსიტეტსა და ახლად მიღებულ სტუდენტებს შორის. ვიზიტის დროს ვებგვერდზე არ იყო ინფორმაცია საერთაშორისო აპლიკანტების მიღების პროცედურების შესახებ. თუმცა, ინტერვიუებში გაირკვა, რომ უსდ-ს აქვს პარტნიორობა ინდოეთში რეკრუტირების სააგენტოსთან. დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულების დოკუმენტი, თუმცა აღსანიშნავია, რომ მასში დაწესებულების ოფიციალური დასახელება არ არის ნახსენები. სამაგიეროდ, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განათლების აკადემია“ არის მხარის ოფიციალური სახელწოდება შეთანხმებაში. დაწესებულების ეს და სხვა ყოფილი/განსხვავებული სახელები მეორდება სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან შეთანხმებებსა და მემორანდუმებში, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ბუნდოვნად მიიჩნევს. ამ მემორანდუმების ვალიდურობა ზოგიერთ შემთხვევაში არ არის ნათელი (თარიღები მითითებული არ არის), სხვა შემთხვევებში (მემორანდუმი კოლეჯთან „Pacific Link College“, ევროპის უნივერსიტეტთან, (უკრაინა)) მემორანდუმები ძველია.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდმა მოამზადა სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სტუდენტის სტატუსის, უსდ-ის უფლებებისა და რეგულაციების შესახებ; თუმცა სტუდენტებს არ ახსოვდათ, რომ მათ ადმინისტრაციისგან მიიღეს ასეთი დოკუმენტი. ასევე, აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დღის წესრიგში მითითებული ზოგი სტუდენტი და კურსდამთავრებული არ დაესწრო გასაუბრებაზე. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო პირადად შვხვედროდა უცხოელ სტუდენტებს და მათგან მხოლოდ 2 დაუკავშირდათ ზუმის პლატფორმის საშუალებით. თუმცა იყო ძირითადი ტექნიკური და საკომუნიკაციო პრობლემები, რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით, შესაძლოა ნაწილობრივ განპირობებული ყოფილიყო ენობრივი ბარიერით. უცხოელი სტუდენტებისთვის დასმულ არც ერთ კითხვაზე ამ ექსპერტებს არ მიუღიათ დასაბუთებული პასუხი. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს მნიშვნელოვანი ხარვეზია შეფასების პროცესში, რადგან უსდ-ს ჰყავს უცხოელი სტუდენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ასევე, ეს გარემოება აჩენს ეჭვს უცხოენოვან პროგრამებზე სასწავლო პროცესის საერთო ხარისხის შესახებ.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ დაწესებულებას ჰყავს 533 აქტიური (297 უცხოელი სტუდენტი) და 873 შეჩერებული სტატუსის მქონე (867 უცხოელი) სტუდენტი. თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტს ჰყავს 700 აქტიური სტუდენტი, საიდანაც 454 უცხოელია. ეს ნიშნავს, რომ უსდ-მ გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში 167 ახალი სტუდენტი მიიღო. ადმინისტრაციამ ენობრივი ბარიერი დაასახელა, როგორც შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის ზრდის ძირითადი მიზეზი წლების განმავლობაში, მაგრამ ვერ დაასახელა რამემტკიცებულება, შემდგომი კვლევა ან ამ პრობლემის დაძლევი გეგმები. დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში საუბარია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტება სტუდენტთა სტატუსშეჩერების პროცედურას ახორციელებს საქართველოს

კანონის შესაბამისად. თუმცა, არგუმენტირებულ პოზიციაში არ არის ნახსენები სტუდენტების სტატუსშეჩერების გამომწვევი მიზეზები, რაც შესაძლოა ეფექტურად ყოფილიყო გამოყენებული საგანმანათლებლო და ადმინისტრიციული პროცესების გაუმჯობესებისათვის ან დაწესებულების ფუნქციონირების ხარვეზების იდენტიფიცირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა მოითხოვეს დამატებითი მტკიცებულებები მიღებული განათლების აღიარებისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით, დაწესებულებაში უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა აზერბაიჯანული და თურქული წარმოშობისაა (224 აზერბაიჯანელი, 180 თურქი). უსდ-ის მიღების წესებში ნათქვამია, რომ უცხოელი სტუდენტების მიღება ხდება ენის ტესტის ან გასაუბრების საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფისთვის არ არის ნათელი, ენის ტესტის ან გასაუბრების არჩევანი უნივერსიტეტის წარმომადგენლებზეა დამოკიდებული თუ თავად სტუდენტზე. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პანელისთვის წარმოდგენილი ენის ტესტების ნიმუშები არ აკმაყოფილებს უსდ-ის შესაბამისი წესით მოთხოვნილ ენობრივი კომპეტენციის B2 დონეს. უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა უშუალოდ ირიცხება მილენიუმის უნივერსიტეტში საქართველოს შესაბამისი კანონის საფუძველზე, ნაწილი კი მობილობით დაიშვება საქართველოში მოქმედ სხვა უნივერსიტეტებიდან. კრედიტის აღიარების წესი განსაზღვრულია დაწესებულების შესაბამის დოკუმენტში, რომელიც არ იძებნება ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

რაც შეეხება აპელაციის სისტემას, უნივერსიტეტის დებულებისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტუდენტის საჩივრის შემთხვევაში, რექტორი/დეკანი გამოსცემს ბრძანებას სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ საჩივრის განხილვის მიზნით.თუმცა, ინტერვიუებზე ასეთი შემთხვევა არ გამოვლენილა.

სტუდენტების ჩართულობა უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც ჩანს, ნომინალურია. მიუხედავად იმისა, რომ ფაკულტეტის საბჭოსა და თვითშეფასების ჯგუფს ჰყავთ სტუდენტი წარმომადგენლები, მათ არ ახსოვთ რამე საკითხის ან ინიციატივის მათი მხრიდან ინიცირების შემთხვევა. სტუდენტები ირჩევიან საყოველთაო კენჭისყრით. გაურკვეველია, სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში სტუდენტური თვითმმართველობის როლი და ჩართულობა. ინტერვიუს დაესწრო თვითმმართველობის ერთი წარმომადგენელი და თვითმმართველობის ხელმძღვანელი, რომელიც ახლად დანიშნული იყო და ვერ იძლეოდა დეტალურ ინფორმაციას თვითმმართველობის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. უნივერსიტეტის თვითმმართველობის წესდების თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის მსურველმა ნებისმიერმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სტუდენტური საქმიანობის ანგარიში და 1 წლიანი სამოქმედო გეგმა, ასევე თვითმმართველობის განვითარების ხედვა. თუმცა ინტერვიუზე, აღნიშნული პროცედურის ახსნა ახსნა ექსპერეტებისთვის ვერ მოხერხდა. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი გეგმავს სემესტრის ბოლომდე შეწყვიტოს საბაკალავრო პროგრამები ტურიზმისა და ჟურნალისტიკის მიმართულებით. თუმცა, ამ პროგრამების სტუდენტები არ იყვნენ ინფორმირებულები სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ ან რომელი პროგრამები შეიძლება შეესაბამებოდეს მათ მიერ მიღებულ კრედიტებს. ექსპერტების აზრით, ამ გარემოებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა

მოახდინოს სტუდენტების ინტერესებზე და შექმნას არაპროგნოზირებადი გარემო, რომელიც გამოიწვევს სტუდენტების უფლებების დარღვევას. არგუმენტირებული პოზიციიის თანახმად, უსდ-მ მიიღო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეთავაზებული მხოლოდ ერთი რეკომენდაცია და არ ეთანხმება ექსპერტთა ზემოხსენებულ მსჯელობას, პროცედურებისა და დოკუმენტაციის ნომინალურად არსებობის შესახებ. თუმცა, ექსპერტთა პანელი შეფასებას აკეთებს როგორც დოკუმენტების, ასევე ადგილზე ვიზიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე და ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, წინამდებარე შეფასების დოკუმენტი მნიშვნელოვნად არ შეიცვლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება; • სასწავლო პროცესის რეგულირების წესი; • თვითშეფასების ანგარიში; • მემორანდუმი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან; • გასაუბრებები; • უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: 5.1.1. საჭიროა სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მაღალი მაჩვენებლის მიზეზების კვლევა და ამის თანდათან შემცირების გეგმის შემუშავება. 5.1.2. უზრუნველყავით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ ორგანოებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა. 5.1.3. უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყველა საჭირო დოკუმენტაცია განათავსეთ რუსულ და ინგლისურ ენებზე. 5.1.4. მიაწოდეთ ტურიზმისა და ჟურნალისტიკის პროგრამების სტუდენტებს დეტალური ინფორმაცია პროგრამების შეწყვეტისა და სწავლის გაგრძელების სამომავლო შესაძლებლობებთან დაკავშირებით. პროცესი უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ნორმატიულ აქტებში აღწერილ წესებს. 5.1.5. სტუდენტური თვითმმართველობის აქტივობები მის წესდებას უნდა შეესაბამებოდეს, ხოლო საარჩევნო პროცესი შესაბამისი წესით წარიმართოს. 5.1.6. პროცესის მკაფიოდ განსაზღვრისთვის რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წესების დახვეწა. ასევე, ენის ტესტი უნდა შეესაბამებოდეს B2 დონეს, რომელიც მოთხოვნილია უსდ-ში მოქმედი წესით.
რჩევები: 5.1.1. ყველა ახლად ჩარიცხულ სტუდენტს მიეცით სახელმძღვანელო, რაც მათ დაეხმარება საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრაციასა და უსდ-ის რეგულაციების გაცნობაში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ში მოქმედებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმში სტუდენტების მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სერვისს ძირითადად კოორდინატორები და ინტერნაციონალიზაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტი უზრუნველყოფს. კოორდინატორები ძირითადად პასუხისმგებელნი არიან ტექნიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერაზე სტუდენტთა მიღებისა და სწავლის დასრულების პროცესში და თვით სწავლის განმავლობაში. ეს მოიცავს სტუდენტების დახმარებას ელექტრონული მონაცემთა ბაზისა და ონლაინ სასწავლო-პროგრამულ უზრუნველყოფაში, საგნების არჩევაში, უნივერსიტეტის მხრიდან დოკუმენტაციის მიღებაში, დოკუმენტის მოპოვებაში და ა.შ. რაც შეეხება აკადემიური მოსწრებისა და საგანმანათლებლო პროცესის შესახებ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას, დეპარტამენტის კოორდინატორის თქმით,ასეთი მოთხოვნის მქონე სტუდენტები იგზავნებიან დეკანატში ან ფაკულტეტზე. თუმცა, არ არსებობს შესაბამისი ჩარჩო ან დოკუმენტაცია იმისა, თუ როგორ ხორციელდება ეს პროცესი რეალურად პრააქტიკაში და ინტერვიუების დროს, ექსპერტთა ჯგუფს არ მიუღია აღნიშნული პროცესის მაგალითი ახლო წარსულიდან. გარდა ამისა, შეხვედრების განმავლობაში გამოიკვეთა, რომ სტუდენტები განიხილავენ და წყვეტენ თავიანთ საკითხებსა და პრეტენზიებს, ძირითადად, აკადემიური პერსონალთან უშუალო კონტაქტით. ამას ჩვეულებრივ ახორციელებენ ვებგვერდით და სოციალური ქსელებით, როგორიცაა Facebook და Messenger, ან/და უშუალოდ ელექტრონული ფოსტის გაგზავნით პირადი ელ. ფოსტის .საშუალებით განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაწესებულებაში ყველა ლექცია ამჟამად ტარდება ონლაინ. აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათ გამოცდილებაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომელიც მოითხოვდა ადმინისტრაციის ან ზედა რგოლის მენეჯმენტის ჩართულობას პრობლემის მოგვარებაში. პრაქტიკაში მათ არ ჰქონიათ ისეთი პრობლემა, რომელიც არ მოგვარდა მათი უშუალო ძალისხმევით,

ზემოხსენებულიმეთოდების გამოყენებით. ეს მიგნებები ექსპერტებისთვის შეშფოთების საფუძველია, კერძოდ, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებისა და მათი საჭიროებების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ამჟამად გამოყენებული ელექტრონული პორტალი ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე, რაც დიდი პრობლემაა, რადგან უსდ-ში ინგლისურენოვან და რუსულენოვან სტუდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა (აქტიური სტუდენტების 65%). ახალი პორტალი ჯერ კიდევ განვითარების ბოლო ეტაპზეა და კოორდინატორების ოფისის წარმომადგენლების განმარტებით, მომავალი სემესტრიდან პორტალი უცხო ენებზეც იქნება ხელმისწვდომი. თუმცა, ექსპერტთა პანელისთვის ბუნდოვანია, როგორ იყენებდნენ უცხოელი სტუდენტები პლატფორმას ბოლო წლებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს საკითხი არ გამოვლენილა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებულ კმაყოფილების კვლევებში ან გამოკითხვებში. აღნიშნულ კვლევები ექსპერტებისთვისაც იყო ხელმისაწვდომი.

კარიერული მხარდაჭერის სერვისი აერთიანებს ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტებს და ჰყავს მხოლოდ 3 თანამშრომელი ამჟამად, აქედან 1 სტუდენტი თანამშრომელია. აღნიშნულმა შეიძლება ხელი შეუშალოს ამ დეპარტამენტების ეფექტურ მუშაობას და განვითარებისთვის საჭირო ძირითადი ამოცანების შესრულებას; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ეს მიმართულება უნივერსიტეტის პრიორიტია. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ დეპარტამენტს ძირითადად ჰყავს ახალი თანამშრომლები და ბოლო პერიოდში უნივერსიტეტის რეორგანიზაცია რამდენჯერმე განხორციელდა, მათი აქტივობების დიდი ნაწილი დაგეგმვისა და განვითარების საწყის ეტაპზეა. უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციასა და სიმპოზიუმში, თუმცა სტუდენტთა მხრიდან ჩართულობა მცირეა. ისინი ძირითადად ესწრებიან საჯარო ლექციებსა და სემინარებს, რომლებსაც ატარებს უსდ ან ორგანიზაციები, რომლებთანაც დაწესებულებას აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები. ლექცია-სემინარის თემები, როგორც წესი, არის ინტერვიუსთვის მომზადება, სამოტივაციო წერილებისა და CV-ების წერა, კომუნიკაციის უნარების განვითარება და ა.შ.

ბოლო კვლევების მიხედვით, სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 30% არის დასაქმებული. ინტერვიუების დროს არ გამოვლენილა კონკრეტული გეგმები ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ყველა დამსაქმებელი ინტერვიუს დროს აღნიშნავდა, რომ ცოტა ხნის წინ გაეცნო უსდ-ს და თანამშრომლობას ხელი მოაწერა ვიზიტის წინ. ამგვარად, მათ არ გააჩნდათ პროგრამებისა და სასწავლო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობის გამოცდილება და არც მილენიუმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის ისტორია. უსდ-ს არ გააჩნია დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზა და სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შეზღუდულ შესაძლებლობებს სთავაზობს. არსებობს რამდენიმე მემორანდუმი და ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებიც მოიცავს პრაქტიკულ სამუშაო შესაძლებლობებს. მაგრამ ძალიან ცოტა მემორანდუმი (მათგან 2) შეიცავს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის პროგრამებსა და პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობებიც ძალიან შეზღუდულია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ბოლო 4 წლის დოკუმენტაციის მიხედვით, გაცვლითი პროგრამით

საზღვარგარეთ 3 სტუდენტი გაიგზავნა. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებამ მიაწოდა ერასმუსის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია ალკალას უნივერსიტეტსა (ესპანეთი) და GEU-ს (ქართული ევროპული უნივერსიტეტი) შორის, რომელიც ინტერვიუებზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით 2019 წელს გაერთიანდა სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმთან. ამრიგად, აღნიშნული დოკუმენტის ვალიდურობა ექსპერტთა ჯგუფისთვის ამჟამად უცნობია.2019-2020 სასწავლო წელს ალკალას უნივერსიტეტში (ესპანეთი) ამ ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ ერთმა სტუდენტმა მიიღო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ უსდ-მ გააფორმა მემორანდუმი პოზნანის უნივერსიტეტთან (პოლონეთი) და გეგმავს სტუდენტის გაგზავნას შემდეგ სემესტრში. თუმცა, დაწესებულებას არ აქვს სისტემატური მიდგომა სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების მიღების ხელშეწყობისთვის ან სტუდენტებისთვის პროფესიული ენობრივი კომპეტენციის განვითარებისთვის, რაც საჭიროა საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად. ინტერვიუს დროს არც ერთ სტუდენტს არ გამოუხატავს დაინტერესება ან ინფორმირებულობა მსგავსი ტიპის აქტივობების შესახებ და გამოკითხული სტუდენტები არც იცნობდდნენ მათ გარშემო ვინმეს, ვისაც მონაწილეობის სურვილი ექნებოდა.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები, რექტორის ბრძანებით,მოიცავს გადახდის მოქნილ სისტემას და გადასახადის შემცირებას. ზუსტი კრიტერიუმები, რომლითაც ხდება ამ მიზნით სტუდენტის არჩევა, აღწერილია დოკუმენტში „სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმებში“, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე ინგლისურ და ქართულ ენებზე, მაგრამ არა რუსულ ენაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- სტუდენტთა ხელშეწყობის მექანიზმები;
- სტუდენტთა ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა ანალიზი;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.

რეკომენდაციები:

5.2.1. საჭიროა საკონსულტაციო მომსახურების სისტემური მიდგომის შემუშავება, განსაკუთრებითსასწავლო პროცესთან და სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებით.

5.2.2. გაზარდეთ საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობები; უზრუნველყავით, რომ სტუდენტებმა შეიძინონ ამ აქტივობებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარები.

5.2.3. საჭიროა კურსდამთავრებულთა უფრო ღრმა კვლევების ჩატარება და პროგრამის შემუშავებაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. 5.2.4. უნდა შემუშავდეს კურსდამთავრებულთა შორის უმუშევრობის შემცირების გეგმა. 5.2.5. გააძლიერეთ დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. გაზარდეთ სტუდენტების სტაჟირების შესაძლებლობები. 5.2.6. შეიქმნას დასაქმების მონაცემთა ბაზა. საჭიროა დამსაქმებლებთან გრძელვადიანი პარტნიორობის/კომუნიკაციის დამყარება. 5.2.7. უზრუნველყავით სტუდენტური პორტალის დროული დანერგვა, უცხოენოვანი მხარდაჭერით.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
➢ უსდ, სახისა და დარგის სპეფიციკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ➢ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა ➢ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს თვითშეფასების ანგარიშში მითითებული აქვს, რომ მათ ფუნქციონირება დაიწყეს კოლეჯის სტატუსით და შესაბამისად, არ ჰყავს სამეცნიერო პერსონალი, თუმცა მხარს უჭერს თავისი აკადემიური პერსონალის მონაწილეობას სამეცნიერო აქტივობებში. ეს საკითხი უნივერსიტეტს 2022-2028 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის SWOT ანალიზში იდენტიფიცირებული აქვს როგორც სისუსტე. კვლევითი უნარების ინტეგრირება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საბაკალავრო ნაშრომებსა და განხორციელებულ სამეცნიერო

აქტივობებში. საბაკალავრო ნაშრომების თემატიკის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მიერ. სტუდენტი ვალდებულია საკვლევი თეზისი აირჩიოს სწავლის ბოლო წელს.

მისიის შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის მიზანია შექმნას ოპტიმალური სასწავლო და კვლევითი გარემო სტუდენტებისთვის და პროფესორებისთვის, რომელიც დაფუძნებული იქნება მულტიკულტურულ ღირებულებებზე.

დაწესებულებას აქვს ინტერნაციონალიზაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტი, სადაც მუშაობს 3 პერსონალი. ამ დეპარტამენტის პასუხისმგებლობაა საერთაშორისო კვლევითი, კარიერული და პროფესიული განვითარების აქტივობების კოორდინირება. თუმცა, ექსპერტთა პანელის მიერ ვერ მოიძებნა მტკიცებულება, რომ დაწესებულებაში ეფექტურად მიმდინარეობს კვლევითი დაგეგმარება და განხორციელება. ასევე, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათი უმეტესობა კვლევით საქმიანობას ახორციელებს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან აფილირებულია მათთან.

სამეცნიერო კვლევითი აქტივობების შიდა დაფინანსება და ბიუჯეტირება არის დაგეგმარების პროცესში. ფაკულტეტს აქვს პასუხისმგებლობა მხარი დაუჭიროს კვლევით და სამეცნიერო აქტივობებს, და გაუზიაროს შესაბამისი გეგმა რექტორსა და აკადემიურ საბჭოს. განხორციელებული გეგმის შესაბამისად, ფაკულტეტის მართავს სამეცნიერო და კვლევით აქტივობებს, მონაწილეობს თეზისების განხილვაში, აანალიზებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროექტებს, ადმინისტრირებას უწევს შიდა გრანტებს, ქმნის პროექტებს და წარუდგენს აკადემიური საბჭოს. ფაკულტეტს ასევე აქვს პასუხისმგებლობა განახორციელოს პლაგიატის აღმოჩენის პროცედურები უნივერსიტეტში. სასწავლო უნივერსიტეტს არ გააჩნია თავისი ანგარიში ანტი-პლაგიატის პლატფორმაზე, თუმცა აქვს წვდომა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საშუალებით, რომელსაც უგზავნის დოკუმენტებს და სტუ ამოწმებს მილენიუმისთვის. ეს მიდგომა ზღუდავს პერსონალისა და სტუდენტების შესაძლებლობას, რომ თავად შეამოწმონ თავიანთი კვლევითი ნაშრომები, და ხდება დამატებითი საქმე პერსონალისთვის.

სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა ფინანსური გეგმა, რომლის მიხედვითაც 280 000 ლარი არის განკუთვნილი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის და 35 000 ლარი კი სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებისთვის. ეს თანხები გამოყოფილია როგორც სტუდენტისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის. აკადემიურ საბჭოსთან ინტერვიუს დროს, საბჭოს წევრებმა ვერ წარმოადგინეს გეგმა თუ როგორ აპირებენ ზემოხსენებული თანხის ხარჯვის ორგანიზებას ფაკულტეტებისთვის და შესაბამისი აქტივობებისთვის. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ფლობენ მწირ ინფორმაციას დაფინანსებასთან დაკავშირებით, და ისინი არ იყვნენ ინფორმირებულნი სამეცნიერო აქტივობებში ფაკულტეტის მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

დაწესებულებას აქვს პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო აქტივობების შეფასების დოკუმენტი, ასევე საპრიზო რეგულაციაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტივობების შეფასების წესი მოიცავს სამეცნიერო ღონისძიებებში, კონფერენციებში, სამეცნიერო პუბლიკაციებისა და მონოგრაფიების შეფასების წესს. ინტერვიურების პროცესში, პერსონალს არ ჰქონდა ინფორმაცია სამეცნიერო აქტივობების შეფასების, და აკადემიური მიზნებით მივლინების არსებობის შესახებ.

სასწავლო უნივერსიტეტის თბილისის კამპუსში არის ლაბორატორიები ჯანდაცვის პროგრამებისთვის და ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით. ორივე მათგანი გაიხსნა ბოლო პერიოდში. უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი სამეცნიერო რესურსები არის - European Respiratory Journal, Royal Sciences Journal და კემბრიჯის ჟურნალების ბიბლიოთეკა. აღნიშნულ რესურსებთან დაწესებულებას აქვს შეზღუდული წვდომა და არ აქვს სპეციალური მომხმარებლის ანგარიში.

დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ისინი უწყვეტად განავითარებენ და გააძლიერებენ კვლევითი აქტივობების მხარდაჭერის მექანიზმებს.

ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, დაწესებულებამ წარმოადგინა სამეცნიერო აქტივობების სია, რომელიც რეგულირდება დოკუმენტით "სტუდენტებისა და პროფესორების სამეცნიერო კვლევით აქტივობებში ჩართვის მექანიზმი": დოკუმენტი დამტკიცებულია "ახალი უნივერსიტეტის" სახელის ქვეშ (2019-2021).

- საერთაშორისო კონფერენცია "მეცნიერებისა და განათლების თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები" (2019), კოლეგებმა ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან, აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან მიიღეს მონაწილეობა აღნიშნულ კონფერენციაში.
- სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია "პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება" (2019).
- "საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლვითი აქტივობების წარდგენა და წახალისება" - სამართლის მიმართულების პროცესორმა დარეჯან ლეკიაშვილმა მიიღო მონაწილეობა. (2019)
- საერთაშორისო კონფერენცია, ჩატარდა გერმანიაში, "ხალხი თანამედროვე სამყაროში, იდენტიფიცირება და ინტერკულტურული კომუნიკაცია", ორგანიზებული განათლების აკადემიის მიერ. (2019)
- საერთაშორისო კვლევა - ევრო სტუდენტი VII, პასუხისმგებელი პირი "განათლების აკადემიის" ვიცე რექტორი. (2019)
- საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია "აღმოსავლეთ პარტნიორობა"
- ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია სტუდენტებისთვის და პროფესორებისთვის. კონფერენციის მიზანი იყო კვლევითი დისკუსიის წახალისება.
- საერთაშორისო კონფერენცია "ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები და მათი საგარეო პოლიტიკა (2021)"
- საქართველო და გლობალური დათბობა (2021)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ აკადემიურ საბჭოსთან;
- პერსონალის შეფასების წესი;
- ბიუჯეტის დოკუმენტები;
- კვლევების განვითარების სტრატეგია.

რეკომენდაციები:

6.1.1. რეკომენდებულია, სასწავლო უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს კვლევითი სტრატეგია და სამეცნიერო აქტივობების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს დაფინანსების კომპონენტსაც.

6.1.2. რეკომენდებულია, სასწავლო უნივერსიტეტმა მოიზიდოს ისეთი კვლევითი პერსონალი, რომელიც არის კვალიფიციური და შეძლებს სტუდენტების დატრენინგებასა და სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

6.1.3. უზრუნველყავით, რომ ყველა აკადემიური პერსონალი იყოს ინფორმირებული ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული სამეცნიერო და კვლევითი მხარდაჭერის შესახებ.

6.3.1. განახორციელეთ ფაკულტეტის ყველა წევრის სამეცნიერო აქტივობების შეფასება.

6.3.2. შეფასების პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ აფილირებული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა კვლევითი საქმიანობის დაწყების მიზნით.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით და სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა გამოთქვა სურვილი გახდეს უფრო აქტიური კვლევის თვალსაზრისით.თუმცა, ამის განხორციელება რთულია, რადგან სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს ცოტა პერსონალი კვლევების მიმართულებით და მათგან უმეტესობა არ არის აფილირებული მილენიუმთან. დამატებით, ინტერვიუზე გამოჩნდა, რომ ვერც დაწესებულების მენეჯმენტმა და ვერც პროგრამების ხელმძღვანელებმა (გარდა ფარმაციის, მედიცინის და რეაბილიტაციისა, და საერთაშორისო ურთიერთობებისა, რომელთაც ექსპერტთა პანელი არ შეხვედრია) ვერ გადმოსცეს დაწესებულების მკაფიო კვლევითი მიმართულება. აღნიშნულის გარეშე, სასწავლო უნივერსიტეტი ვერ შეძლებს აქტიური პერსონალის მოზიდვას კვლევების მიმართულებით და მათ აფილირებას. ამის გარეშე კი ამჟამინდელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის გამოწვევა იქნება პროგრამების განვითარება და განხორციელება.

ინტერნაციონალიზაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიზნად ისახავს კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემის შექმნას. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ამტკიცებს საჯარო, გამჭვირვალე და ღია შიდა გრანტების გაცემის წესს. თვითშეფასების მიხედვით, რექტორის ბრძანების შესაბამისად, დამოუკიდებელ ექსპერტთა კომისია შეაფასებს პროექტებს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. ეს პროცედურები დარეგულირებული იქნება გრანტის და სამეცნიერო კვლევის დაფინანსების დოკუმენტის მიხედვით. კონკურსი იქნება ღია აკადემიური, კვლევითი, მოწვეული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. სასწავლო უნივერსიტეტი გეგმავს გამარჯვებული პროექტების დაფინანსებას. დაფინანსების მისაღებად, აუცილებელი წინაპირობაა სტუდენტთა საგრანტო პროექტების რეგისტრაცია.
ვიზიტის განმავლობაში უნივერსიტეტმა ექსპერტთა პანელს მიაწოდა სამეცნიერო აქტივობების დამატებითი სია, რომლებიც განახორციელა უახლოეს წარსულში.
2019 სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია
2019 - "აირჩიე შენი პროფესია " კვირეული
2019 სამეცნიერო კონფერენცია აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის "თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები მეცნიერებასა და განათლებაში"
2019 კაპადოკია, სტუდენტთა ფორუმი სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის სტუდენტების მონაწილეობით.
2019 სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები ეწვიენ პრაღას კულტურული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
2019 საჯარო ლექცია ჩატარდა. სპიკერი - რატი ქირია "ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ფსიქოლოგია"
2019 სამეცნიერო სტუდენტური კონფერენცია "გზა ევროკავშირისკენ და საქართველო"
2020 სტუდენტთა ესეების კონკურსი
2020 მუსიკის ფესტივალი
2021 საჯარო ლექცია "საჯარო ადმინისტრირების რეფორმა საქართველოში"
2021 საჯარო ლექცია "პანდემიური სიტუაციით შექმნილი პრობლემები საქართველოში“ და ა.შ.
არც ერთი აქტივობა არ განხორციელებულა მედიცინისა და სტომატოლოგიის მიმართულებით.
ჩატარდა შემდეგი ტრენინგები- კარიერის დაგეგმვა და განხორციელება, კომუნიკაცია და კოგნიცია, სწავლის შედეგები და შეფასება, MSQ კითხვების მომზადება თანამედროვე

სწავლა-სწავლების მეთოდებში, OSCE, CBL. კარიერის დაგეგმა და განვითარება 4, კომუნიკაცია და კოგნიცია 1, სწავლის შედეგები და შეფასება 6, თანამედროვე მეთოდოლოგიები სწავლასა და სწავლებაში 7 სერტიფიკატი იქნა გაცემული.

სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა გააფორმა მემორანდუმი ბიზნესის სწავლების ცენტრთან (ბოსნია ჰერცოგოვინა) 2021 წლის 7 მაისს, სტუდენტებისა და ფაკულტეტის წევრების გაცვლის მიზნით.

მილენიუმის სასწავლო უნივერსიტეტმა გააფორმა თანამშრომლობის შეთანხმება პოზნანის უნივერსიტეტთან, რაც გულისხმობს თანამშრომლობას კვლევის მიმართულებით ორივე უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის, ასევე პოსტდიპლომური სწავლების განვითარებას საზაფხულო კურსებისა და სხვა პროგრამების ორგანიზების გზით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაცვალონ სტუდენტები, 3 სტუდენტი თითოეული მხარიდან ყოველ აკადემიურ წელს. სტუდენტები უნდა იყვნენ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სწავლების საფეხურზე. სწავლების ენა ინგლისური, სწავლების ხანგრძლივობა 1 ან 2 სემესტრი, ტრანსპორტირება, საცხოვრებელი, დაზღვევა და ცხოვრების ხარჯები უნდა დაიფაროს თავად სტუდენტების მხრიდან. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერიდან 5 წლის განმავლობაში. შეთანხმებას ხელი მოეწერა 2021 წელს. მობილობის განხორციელების მტკიცებულება პანელისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა.

სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა წარმოადგინა აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც გულისხმობს ერთობლივად სამედიცინო სფეროს კვლევას მაგისტრანტებისთვის, დოქტორანტებისთვის, სპეციალისტებისთვის, ფაკულტეტის პროფესორებისთვის. თუმცა, აღნიშნულ მემორანდუმს ხელი მოეწერა 19.04.2022 წელს და სტუდენტების ან პერსონალის გაცვლის მტკიცებულება ექსპერტთა პანელისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა.

თანამშრომლობის შეთანხმება ასევე ხელმოწერილი იყო სტომატოლოგიის ესთეტიკურ სტუდიასთან, სადაც სტომატოლოგიის მიმართულების სტუდენტებს უნდა გაევლოთ სტაჟირება და განახორციელონ ერთობლივი პროექტები პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნული შეთანხმება ხელმოწერილი იყო უახლოეს წარსულში 18.03.2022. მტკიცებულება სტაჟირების განხორციელების შესახებ წარმოდგენილი არ ყოფილა ექსპერტთა პანელისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ტრენინგების სია, რომელიც განხორციელდა სასწავლო უნივერსიტ მილენიუმის მიერ;
- სამეცნიერო აქტივობები, რომელიც განხორციელდა სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ;
- გასაუბრებები;
- საგრანტო განაცხადების წარდგენის პროცედურა;
- მემორანდუმები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი 2022.

რეკომენდაციები:

6.2.1. განხორციელეთ სამეცნიერო და კვლევითი აქტივობები მედიცინისა და სტომატოლოგიის მიმართულებით.

6.2.2. უზრუნველყავით, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა და პარტნიორ უნივერსიტეტში მათი დარჩენა, საერთაშორისო კომპონენტის სასწავლო უნივერსიტეტის მხარდაჭერის გეგმაში ინტეგრირების მიზნით.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

- უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს აქვს ფორმალიზებული სამეცნიერო კვლევების შეფასების კრიტერიუმები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის.

სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიზანია, რომ შეფასება გაკეთდეს ფაკულტეტის ხელმძღვანელის, ინტერნაციონალიზაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის მიერ. პასუხისმგებლობა განაწილებულია თანაბრად ამ ორ შემფასებელს შორის. შეფასების კრიტერიუმები არის:

- მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში;
- სამეცნიერო პუბლიკაციები (ქართულ და უცხოურ გამოცემებში);
- გამოქვეყნებული მონოგრაფიები;
- სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა;
- სასწავლო კომპონენტი სამეცნიერო საგრანტო პროექტებში;
- სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა;
- ციტირების მაჩვენებელი;
- კონსულტირება და საექსპერტო მომსახურება;
- სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო კონფერენციებში (სამეცნიერო ხელმძღვანელობა);
- სხვა სამეცნიერო ღონისძიები.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სამეცნიერო პერსონალის სასწავლო აქტივობების შეფასება.

სასწავლო უნივერსიტეტმა თვითშეფასებაში წარმოადგინა მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასება, თუმცა შეზღუდულად, რადგან არ იყო შესაძლებელი აკადემიური პერსონალის შეფასება იმ მიზეზით, რომ სამედიცინო პროგრამა არ იყო აკრედიტირებული. მთლიანობაში, მათ განაცხადეს, რომ 11 აფილირებული აკადემიური პერსონალი იყო შეფასებული როგორც "კარგი" და "ძალიან კარგი".

სტომატოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალი შეფასებული არ ყოფილა.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ახორციელებს ინდივიდუალურ სამეცნიერო აქტივობებს. ეს ნახსენები იყო ინტერვიუს დროსაც.თუმცა აღნიშნული ინდივიდუალური კვლევითი აქტივობების შესახებ მცირე ინფორმაცია ან ნაკლები დეტალი იქნა წარმოდგენილი ექსპერტთა პანელისთვის. შესაბამისად, ექსპერტთა პანელისთვის იყო რთული ადეკვატურად შეეფასებინა თავად პროცესი და მისი ეფექტურობა კვლევის შედეგებთან დაკავშირებით.

აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია კვლევის შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით, რომელიც ბოლო პერიოდში შეიქმნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კვლევის განვითარების სტრატეგია;
- კვლევის აქტივობების შეფასების მექანიზმები და შეფასების შედეგები;
- პერსონალის შეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

6.3.1. თანაბრად განხორციელდეს ფაკულტეტის წევრების სამეცნიერო აქტივობების შეფასება

6.3.2. შეფასების პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ აფილირებული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა კვლევითი საქმიანობის დაწყების მიზნით.

6.3.1. განახორციელეთ ფაკულტეტის ყველა წევრის სამეცნიერო აქტივობების შეფასება.

6.3.2. შეფასების პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ აფილირებული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა კვლევითი საქმიანობის დაწყების მიზნით.

რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები
➢ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ➢ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ➢ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ➢ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს აქვს საკუთრებაში 2 შენობა თბილისსა და ბათუმში. ძირითადი შენობა, რომელიც გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის მდებარეობს თბილისში. თბილისის კამპუსი 3 სართულიანია. ბათუმის ფილიალი განთავსებული არის მულტიფუნქციური შენობის ნაქირავებ 2 სართულზე. შენობები მოიცავს: 1. სასწავლო ოთახებს - უზრუნველყოფილია პროექტორით, მაგიდებით, სკამებით, კომპიუტერებით, ვენტილაციითა და გათბობის სისტემით, თეთრი დაფებით. თუმცა სივრცე 1050 სტუდენტისთვის თბილისის კამპუსში და 400 სტუდენტისთვის ბათუმის ფილიალში არ არის საკმარისი. არ არსებობს კონკრეტული შეფასების შედეგები ან კალკულაციის ფორმულა, რომ ნათელი გახდეს აღნიშნული რაოდენობის კონტიგენტის საჭიროება საკლასო ოთახების, ლაბორატორიების, აკადემიური პერსონალისა თუ სხვა რესურსის მხრივ. ინტერვიუების განმავლობაში, ნახსენები იყო, რომ სტუდენტთა განაწილება 1050/400 თბილისისა და ბათუმის შენობებში არის შესაძლებელი, თუმცა

შესაბამისი დოკუმეტი რითაც ეს დამტკიცდებოდა, წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, შეუძლებელია შეფასდეს, თუ რამდენად არის მზად ბათუმის ფილიალი, რომ იქ განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამა.

2. სიმულაციების ცენტრები - არის რამდენიმე ოთახი სხვადასხვა სიმულაციის განხორციელებისთვის:

2.1 მედიცინა და ოდონტოლოგია - თბილისის კამპუსში არსებობს სხვადასხვა ტიპის მულაჟები ანატომიის, პირველადი დახმარების, შინაგანი მედიცინის, ქირურგიის და სხვა კლინიკურ-პრაქტიკული კომპონენტის სწავლის მიზნით, რაც გათვალისწინებულია კურიკულუმში. ადგილზე ვიზიტის დროს ასევე წარმოდგენილი იყო მარაგი მულაჟების სხვადასხვა ნაწილების. სტომატოლოგიის ოთახს გააჩნდა მასალები სწავლების მიზნებისთვის. პრე-კლინიკური სიმულაციის ცენტრი აღჭურვილი იყო ვიდეო მონიტორინგით ოსკის ოთახებისთვის. ბათუმის ფილიალში, არ იყო წარომდგენილი მსგავსი რესურსები.

2.2 თბილისის კამპუსში სატელევიზიო სტუდია - კარგად აღჭურვილია.

2.3 თბილისი ოფისში სიმულაციისთვის სასამართლო - კარგად აღჭურვილია.

2.4 თბილისი კამპუსში "ბანკის ოფისი" კარგად აღჭურვილია.

2.5 კომპიუტერული ოთახები კარგად აღჭურვილია, თუმცა რაოდენობა არ არის საკმარისი 1050+400 სტუდენტისთვის.

3. ლაბორატორიები (მიკრობიოლოგიისა და ფარმაციისთვის) არის აღჭურვილი, თუმცა უსაფრთხოების მხრივ მოწყობილობები არ არის საკმარისი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

4. ადმინისტრაციული სივრცე (ოთახები ადმინისტრაციული და აკადემიური თანამშრომლებისთვის) იძლევა საშუალებას განხორციელდეს საქმიანობა თბილისის კამპუსში, თუმცა ბათუმის ფილიალი არ არის მზად ამ ფუნქციის შესასრულებლად.

5. თბილისის კამპუსის ბიბლიოთეკას აქვს კომპიუტერები და ელექტრონული სისტემები და საკმარისია მაქსიმუმ 30 სტუდენტისთვის ერთდროული სარგებლობისთვის, თუმცა ბათუმის ფილიალში აქვს ბიბლიოთეკის ცარიელი სივრცე მხოლოდ რამოდენიმე კომპიუტერით. აქ არ არის წარმოდგენილი წიგნები და სხვა საჭირო მოწყობილობები.

6. არქივი - სივრცე არ არის საკმარისი (დაახლოებით 5 კვ. მ) ყველა დოკუმენტისთვის. ინტერვიუს დროს ნახსენები იყო, რომ დამატებითი სივრცე იქნა მოთხოვნილი არქივისთვის, თუმცა ჯერ კიდევ ეს საკითხი არ გადაწყვეტილა. არქივის სივრცეშივე არის კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემები მოქცეული. არქივში არ ხდება დოკუმენტების კატეგორიზაცია. ბათუმის ფილიალში არქივი არ არის.

7. თბილისის ფილიალში ლიფტი არის აღჭურვილი და ადამტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ბათუმის ფილიალის შემთვევაში, ლიფტს არ აქვს სივრცე ადაპტირებისთვის.

8. სანიტარული ოთახები - ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ბათუმის კამპუსში, თუმცა თბილისის კამპუსში არ არის სივრცე ადაპტირებისთვის. სპეციალური ტუალეტები არ არსებობს თბილისისა და ბათუმის ფილიალებში.

9. კაფეტერია კარგად აღჭურვილია თბილისის ოფისში, თუმცა არ არსებობს ბათუმის ფილიალში.
10. სტადიონი კარგად აღჭურვილია თბილისის ოფისში.
11. შესასვლელში არის პოსტი უსაფრთხოების სამსახურისთვის, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებას. უსაფრთხოების თანამშრომლებს შეუძლიათ პირველადი დახმარების გაწევა, თუ საჭირო გახდა.
12. რეკრეაციული არე (სტადიონი და ეზო პარკინგით უზრუნველყოფილია) არის თბილისის კამპუსში.
13. ცენტრალური გათბობა უზრუნვეყოფილია თბილისში, მაგრამ არ არის ბათუმის ოფისში. ბათუმის შენობაში გათბობა დამონტაჟებულია ერთი ყველა სართულზე.
14. პარკინგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის - არ არის ცალკე სივრე გამოყოფილი არც თბილისის ან ბათუმის კამპუსში.
15. თბილისის კამპუსს აქვს სათადარიგო გასასველი, თუმცა რკინისგან დამზადებული. ბათუმის შენობის შემთხვევაში, მესამე და მეოთხე სართულები არის ნაქირავები მულტიფუნქციურ შენობაში. სათადარიგო გასასვლელი არის ერთადერთი გასასველი ამ შენობისთვის. უწყვეტი ელექტროენერგიის მომარაგება არის უზრუნველყოფილი როგორც თბილისის, ისე ბათუმის შენობებისთვის.
16. სამედიცინო ოთახი უზრუნველყოფილია თბილისის კამპუსში. ოთახი აღჭურვილია ყველა საჭირო მასალით (მედიკამენტები, თერმომეტრი და ა.შ.) ბათუმის ფილიალშიც არის სამედიცინო ოთახი, თუმცა არ ფუნქციონირებს ისე როგორც სხვა ადმინისტრაციული ოთახები.
17. ვიდეო მონიტორინგი უსაფრთხოების მიზნით უზრუნველყოფილია როგორც შენობის შიგნით, ასევე გარეთ თბილისის კამპუსში, მაგრამ არ არსებობს ბათუმის ფილიალში.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ მატერიალური რესურსები - ლაბორატორიები, IT მოწყობილობები, საკლასო მოწყობილობები ბათუმის ფილიალში ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას, რაც მითითებულია თვითშეფასებაში. დაწესებულებამ არ მიუთითა თვითშეფასებაში პროგრამები, რომლებიც უმჯობესია განხორციელდეს ბათუმის ფილიალში. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ყველა რესურსი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, რაც წერია თვითშეფასებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შენობების რუკა და დასკვნები;
- სამხარაულის ეროვნული ბიუროს დასკვნა;
- საჯარო რეესტრიდან საკუთრების დოკუმენტები;
- შეთანხმებები და დასკვნები უსაფრთხოების, ვენტილაციისა და გათბობის სისტემებთან დაკავშირებით;
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს;
- კამპუსის დათვალიერების ტური ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

7.1.1. უზრუნველყოფილ იქნეს თბილისის კამპუსისა და ბათუმის ფილიალის აღჭურვა მატერიალური რესურსებით (კომპიტერებით, ლაბორატორიებით, სასწავლო და რეკრეაციული სივრცეებით, საბიბლიოთეკო რესურსებით), რომ საკმარისი იყოს 1450 სტუდენტისთვის.

7.1.2. ბათუმის ფილიალი უნდა იყოს აღჭურვილი ყველა საჭირო რესურსით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით

7.1.3. შეიქმნას უსაფრთხო გარემო ლაბორატორიაში

7.1.4. გამოიყოს შესაბამისი სივრცე არქივისთვის ბათუმის ფილიალში და თბილისის კამპუსში

7.1.5. ყველა შენობა უნდა იყოს ხელმისაწვდომი საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის როგორც ბათუმის ფილიალში, ასევე თბილისის კამპუსში.

7.1.6. სანიტარული ოთახები აღიჭურვოს და გახდეს ადაპტირებული სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის როგორც თბილისის ფილიალში, ასევე ბათუმის კამპუსში.

7.1.7. ცენტრალური გათბობა უნდა იყოს დამონტაჟებული ბათუმის ფილიალში.

7.1.8. დამატებითი სათადარიგო გასასვლელი უნდა იყოს უზრუნვეყოფილი და ფუნქციონირებადი საჭიროების შემთხვევაში როგორც ბათუმის ფილიალში, ასევე თბილისის კამპუსში.

7.1.9. უზრუნველყოფილ იქნეს ვიდეო მონიტორინგი უსაფრთხოების მიზნით როგორც შენობის გარეთ, ასევე შიგნით ბათუმის ფილიალში.

7.1.10. ბათუმის ფილიალში სამედიცინო ოთახი აღიჭურვოს ყველა საჭირო რესურსით (მედიკამენტებით, თერმომეტრით და ა.შ.)

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. ბიბლიოთეკის რესურსები

- ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიბლიოთეკა არის დამოუკიდებელი 2 სართულიანი სივრცე ადმინისტრაციული და საკითხავი დარბაზით. არსებობს მაგიდები აღჭურვილი კომპიუტერებით. ინტერნეტი მუშაობს შეფერხებით. ბიბლიოთეკარი მუშაობს სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, ეხმარება წიგნებისა და ელ. რესურსების მოძიებაში. ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში ექვსი დღის განმავლობაში. ასევე, ბიბლიოთეკარს შეუძლია ონლაინ კონსულტაციაც გაუწიოს სტუდენტს. მაგალითად, სტუდენტი უკავშირდება ბიბლიოთეკას მეილით და ყველა რესურსს ის მიიღებს მეილით. ეს მეთოდი ძალიან პოპულარული იყო პანდემიის პერიოდში. თუმცა, სივრცე და რესურსები (კომპიუტერები, მაგიდები, პრინტერები, წიგნები და ა.შ.) არის საკმარისი მაქსიმუმ 30 სტუდენტისთვის ერთდროულად.

ბიბლიოთეკა იყენებს ელექტრონულ კატალოგს "openbiblio"-ს 2016 წლიდან. ეს არის ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა, რომელიც საბიბლიოთეკო რესურსების ელექტრონულად მიწოდების საშუალებას იძლევა. ასევე, სისტემაში შესაძლებელია მკითხველის, წიგნისა და რესურსის რეგისტრაცია. შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მხარი დაუჭირა სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს ელექტრონული რესურსების ბაზის განვითარების მხრივ. შეთანხმებას ხელი მოეწერა და სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს აქვს უფლებამოსილება გამოიყენოს შემდეგი ბაზები - ScienceDirect- ის სტატიების სრული ვერსიები და Scopus- ის სამეცნიერო ნაშრომები.

საბიბლიოთეკო რესურსების განახლება ხდება ბიბლიოთეკის რეგულაციების შესაბამისად. აკადემიურმა პერსონალმა შესაძლოა მოითხოვოს ახალი ლიტერატურა, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოვლინდა ბიბლიოთეკის განახლების მაგალითები ბიზნესის ფაკულტეტის მოთხოვნის შესაბამისად. თუმცა, ბიბლიოთეკაში არ არის საკმარისი წიგნი ყველა პროგრამისთვის, მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამებისთვის. ლიტერატურა არსებობს მხოლოდ ელექტრონულ ფორმატში ან სხვადასხვა წიგნის ქსეროასლები ადგილზე. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტებს არ აქვთ წვდომა საკითხავ მასალებთან სახლიდან ან კამპუსის გარდა სხვა ადგილიდან.

ექსპერტებმა მოითხოვეს ბიბლიოთეკის დირექტორთან დამატებითი შეხვედრა, რომ მას ეჩვენებინა ელ. რესურსებთან წვდომა. თუმცა, ბიბლიოთეკის დირექტორმა ვერ მოახერხე ვერც ერთი მოთხოვნილი პუბლიკაციის გახსნა. ბათუმის კამპუსში ბიბლიოთეკისთვის არ არის საკმარისი ადგილი. არ არსებობს წიგნები ან სხვა საჭირო ინვენტარი.

ბიბლიოთეკას აქვს საბიბლიოთეკო რესურსების ელექტრონული კატალოგი.

ბიბლიოთეკის ფუნციონირებისთვის და განვითარებისთვის გამოყოფილია 20 000 ლარი, რაც არ არის საკმარისი ბათუმისა და თბილისის საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის დებულება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შეთანხმება საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმთან, ინტეგრირებული ინფორმაციული ქსელი;
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს;
- მონიტორინგი ადგილზე ვიზიტის დროს;

- საბიბლიოთეკო რესურსების სარგებლობის სტატისტიკური მონაცემები (2019-2020 იანვარი).

რეკომენდაციები:

7.2.1. გაიზარდოს მედიცინისა და სტომატოლოგიის მიმართულებით წიგნების რაოდენობა

7.2.2. უზრუნველყოფილ იქნეს წვდომა საბიბლიოთეკო რესურსებზე უნივერსიტეტის გარე სივრციდან, რომ სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს სახლიდან გამოყენება

7.2.3. უნივერსიტეტმა შესთავაზოს ტრენინგები აკადემიურ პერსონალს, რათა გაიზარდოს ბიბლიოთეკით სარგებლობის მაჩვენებელი

7.2.4. განვითარდეს სასწავლო მასალების გამოყენების მონიტორინგის სისტემა საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების მიზნით.

7.2.5. რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ადეკვატური საბიბლიოთეკო რესურსები (ელ. წიგნები, ჟურნალები) ყველა საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით.

7.2.6. უზრუნველყოფილ იქნეს წიგნები და სხვა მასალები ბათუმის ფილიალში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით

7.2.7. გაიზარდოს ბიუჯეტი ბიბლიოთეკის განვითარებისთვის, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამა იყოს საბიბლიოთეკო რესურსით უზრუნვეყოფილი როგორც ბათუმის ფილიალში, ასევე თბილისის კამპუსში.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არა

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსები

- უსდ-მ შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა არის უზრუნველყოფილი.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნეს პორცესების უწყვეტობას.
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებ-გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისი, რომელსაც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური. არსებობს 24/7 ინტერნეტი და უფასო WIFI ყველა შენობაში. თუმცა, WIFI არ მუშაობს უხარვეზოდ. ვიზიტის დროს, რთული იყო უფასო ინტერნეტის გამოყენება, რადგან WIFI-ის დაფარვა თბილისის კამპუსში იყო დაბალი. WIFI მუშაობდა ტექნიკური ხარვეზებით. ამან გამოიწვია პრობლემები ონლაინ სესიების დროს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ონლაინ შეხვედრები თავად უნივერსიტეტის მიერ იყო მოთხოვნილი. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს ჰყავს 2 თანამშრომელი - 1 თბილისში და 1 ბათუმში.

როგორც ვახსენეთ, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ეკონტაქტება სტუდენტებს პირადი ელ.ფოსტით, რადგან არ არსებობს კორპორატიული ელ. ფოსტა. ეს კი არ არის უსაფრთხო და ადეკვატური.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდეუბლი დოკუმენტებით, 120 კომპიუტერი, 10 მულტიმედია პროექტორი და 15 დიდი ეკრანის ტელევიზორის მონიტორი აქვს სასწავლო უნივერსიტეტს. აღნიშნული რაოდენობა არასაკმარისია 1450 თანამშრომლისთვის.

არსებობს სტუდენტთა შეფასებისა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერის ელექტრონული პორტალი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის. ეს პორტალი ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე. შესაბამისად, აღნიშნული პორტალი არ არის უცხოელი სტუდენტების მოხმარებისთვის. ეს პორტალი გაკეთდა გასული წლის განმავლობაში.

სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ვებგვერდი, რომელიც მუშაობს ტექნიკური ხარვეზით. ხშირ შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, რთულია, სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად შეფასდეს თუ არის წარმოდგენილი ორივე ენაზე დოკუმენტები: დაწესებულების მისია, მისი აქტივობები, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები და ჩარიცხვის კრიტერიუმები, მოსალოდნელი სასწავლო შედეგები, კვალიფიკაციები, სწავლა-სწავლების პროცედურები და შეფასება, ადმინისტრაციული/ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტორნული კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების გეგმა, წლიური ანგარიშები, ფინანსური ანგარიშები, მიმდინარე და განხორციელებული კვლევები (შედეგები), სტატისტიკა, სერვისებზე ხელმისაწვდომობა, დასაქმების შესაძლებლობები და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://millennium.edu.ge/en/home-page/ კონტრაქტი საინფორმაციო უზრუნველყოფის სერვისთან;
- თვითშეფასების დანართი საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯმენტთან დაკავშირებით;
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს;
- მონიტორინგი ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

7.3.1. გაიზარდოს კომპიუტერების რაოდენობა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

7.3.2.	განახლდეს ელექტრონული პორტალი ინგლისურ და რუსულ ენებზე უცხოელი სტუდენტებისთვის.
7.3.3.	გაიზაროდოს Wifi-ის დაფარვა და ინტერნეტის ხარისხი.
7.3.4.	შეიქმნას დაწესებულების კორპორატიული ელ. ფოსტის სისტემა.
7.3.5.	განვითარდეს დაწესებულების ვებგვერდის ტექნიკური მხარდაჭერა, რომ ვებგვერდი ფუნქციონირებდეს რეგულარულად და ახლდებოდეს ინფორმაცია.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

- ☐ სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსები

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია.
- უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და შუალედური სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას.
- უსდ-ს ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირების/განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს ფინანსური რესურსების ალოკაციას. ბიუჯეტი მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ისე ტექნიკურ ხარჯებს. დაწესებულების ფინანსური შემოსავალი არის მხოლოდ სტუდენტების გადასახადი. ბიუჯეტში მითითებული ფინანსური რესურსები შეუძლებელია მიჩნეული იქნას როგორც მდგრადი და ეკონომიკურად მიღწევადი. სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს სტუდენტთა დიდი რაოდენობა შეჩერებული სტატუსით და ძირითადად, შემოსავალი დამოკიდებულია საერთაშორისო ან მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულებას აქვს ბევრი გასავითარებელი და შესაცვლელი. ამ მიზნისთვის კი დაწესებულების ფინანსები არ არის ადეკვატური და საკმარისი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში მითითებული აქტივობების შესასრულებლად. სასწავლო უნივერსიტეტს სჭირდება ფინანსური რესურსები სწავლა-სწავლების რესურსების მდგრადი განვითარებისთვის, ადამიანური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის გაძლიერებისთვის. სასწავლო უნივერსიტეტს სჭირდება ფინანსური რესურსები ფუნქციონირებისთვის და მატერიალური/საინფორმაციო

რესურსების განვითარებისთვის, ბიბლიოთეკისთვის. ბათუმის კამპუსისთვის საჭიროა მეტი ფინანსები. კვლევითი აქტივობების ღირებულება ან აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა დაწესებულების მიერ განსაზღვრულია, თუმცა არ არსებობს სამეცნიერო პროექტების დაფინანსების გაზომვადი კრიტერიუმები. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილზე ვიზიტის განმავლობაში და ინტერვიუს პროცესში, აკადემიურ პერსონალს არ ჰქონდა ინფორმაცია სამეცნიერო -კვლევითი აქტივობების დაფინანსებასთან დაკავშირებით. დაფინანსების დინამიკა ან ხარჯ-ეფექტიანობის თანაფარდობა არის ზოგადი და არ იძლევა საშუალებას გაკეთდეს დასკვნები კურიკულუმის მდგრად განვითარებაზე, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასა და კვლევების განხორციელაბზე. სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყო ფინანსური აუდიტის დასკვნა, რომელიც მომზადდა M Audit-ის მიერ 27.04.2022 და ფინანსური მდგომარეობა შეფასებულია პოზიტიურად. თუმცა სასწავლო უნივერსიტეტს არ აქვს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემა, რომ მოახდინოს ინსტიტუციური მიზნების მიღწევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026; • სტრატეგიული განვითარების გეგმა -2022-2028 (8.12.2021); • 2022 წლის ფინანსური გეგმა; • ფინანსური აუდიტის დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია აუდიტორიული კომპანიისს LLC M AUDIT-ის მიერ 27.04.2022; • ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს; • მონიტორინგი ადგილზე ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: 7.4.1 მეტი ფინანსები უნდა გამოიყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით. 7.4.2. უფრო მეტი ფინანსური რესურსებია საჭირო სასწავლო და სამეცნიერო აქტივობების, ადამიანური რესურსების და ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარებისთვის. 7.4.3 შესაბამისი ფინანსური რესურსები არის საჭირო მატერიალური და საინფორმაციო რესურსების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და მუდმივი განვითარებისთვის, განსაკუთრებით ბათუმის ფილიალის შემთხვევაში. 7.4.4 ჩატარდეს 2 განსხვავებული ავტორიზებული აუდიტორული შემოწმება კომპანიის მიერ შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებით. 7.4.5. უზრუნველყოფილ იქნეს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საფინანსო მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემა დაწესებულების მიზნების მიღწევის მიზნით.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან